დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

ლია ჯალაღონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
გოგი ლატარია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნონა ბეროშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ანგელინა ეფრემიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	221300107

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი წყალტუბო
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი წყალტუბო
საფოსტო ინდექსი	5400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/840
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	soptskaltubo@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0436221012

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება N MES 4 26 0000300189 2026 წლის 11 მარტი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 06-07 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი წყალტუბო 26-ე ქუჩა, N13 (ერთი შენობა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლება, მე-6 ქუჩა, N8 (ერთი შენობა).
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი წყალტუბო 26-ე ქუჩა, N13 (ერთი შენობა)

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი წყალტუბო 26-ე ქუჩა, N13 (ერთი შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 11 მარტის N MES 4 26 0000300189 ბრძანების საფუძველზე 2026 წლის 06-07 აპრილს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა და დამუშავებული დოკუმენტაციის განხილვა, რის საფუძველზეც ექსპერტების მიერ განხორციელდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, შემუშავებულ იქნა შეხვედრის აქტი, რომელშიც მკაფიოდ გაიწერა ექსპერტთა ჯგუფის შესასრულებელი საქმიანობა, ფუნქციების გადანაწილება და პასუხისმგებელი პირები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. სკოლის მხრიდან იყო სრული მზაობა თითოეული სტანდარტის შესაბამისად დასმულ შეკითხვაზე მყისიერად წარმოედგინათ შესაბამისი მტკიცებულება, სკოლის მხრიდან ამგვარმა კონსტრუქციულმა მიდგომამ განაპირობა დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად ახორციელებს თემზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი სოციო-ეკონომიკური კონტექსტის ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. სკოლა სისტემატურად იკვლევს მიკრორეგიონის საჭიროებებსა და პერსპექტიულ მიმართულებებს, რაც საფუძვლად უდევს მისი საგანმანათლებლო დაწესებულების გარეთ მიმართულ ინიციატივებს.

ადგილობრივ მეწარმეებთან და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობით, სკოლის ტერიტორიაზე გაშენდა მოცვისა და ვარდების ღია ორანჟერეა. დაგეგმილია აღნიშნული ინიციატივის გაფართოება ვაზის განსაკუთრებული ჯიშების გაშენებით, რაც სკოლას აქცევს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების კერად. საგანმანათლებლო პროცესის გასამდიდრებლად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება თანამშრომლობს წარმატებულ აგრო-ბიზნესებთან (მაგ., სათბურების კომპლექსი „ჰერბია“). მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, ადგილზე გაეცნონ თანამედროვე აგროტექნოლოგიებს, შეისწავლონ მცენარეთა მოვლის სტანდარტები და გაიაზრონ სოფლის მეურნეობის, როგორც მომავალი პროფესიული სფეროს მნიშვნელობა. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი მცენარეთა მოვლა-პატრონობის სრულ ციკლში. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება ხდება სკოლის ეზოში არსებულ სასწავლო სივრცეებში, სადაც მოსწავლეები დამოუკიდებლად უვლიან კულტურებს, რაც მათ უვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობასა და მზრუნველ დამოკიდებულებას ბუნების მიმართ.

მსგავსი პროექტების განხორციელება პირდაპირ პასუხობს მოსწავლეთა ინტერესებს, შეიძინონ ისეთი პრაქტიკული და პროფესიული უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის. მოსწავლეთა უკუკავშირი ადასტურებს, რომ მსგავსი აქტივობები ზრდის მათ მოტივაციას, გაიაზრონ საკუთარი შესაძლებლობები და დაგეგმონ კარიერული წინსვლა აღნიშნულ სფეროში. აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს სკოლის წარმატებულ მცდელობას, დააკავშიროს ფორმალური განათლება რეალურ ცხოვრებასთან. ეს ინიციატივა არა მხოლოდ აუმჯობესებს სკოლის ინფრასტრუქტურას, არამედ აყალიბებს მოსწავლეებში შრომისმოყვარეობის, გუნდური მუშაობისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ღირებულებებს, რითაც სკოლა გარდაიქმნება თემის განვითარების მნიშვნელოვან რესურსად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -------240-------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*1. რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ძირითადი შენობის მესამე სართულზე ნალექის დროს შენობაში წყლის ინფილტრაციის პრობლემის მოგვარების მიზნით უზრუნველყოს სახურავის რეაბილიტაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 1 ოქტომბრისა.* *2. რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის (საკადასტრო კოდი N 29.05.38.751) სრული შემოღობვა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.* *3. რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის სრულყოფა, რაც მოიცავს როგორც ძირითადი შენობის შიდა სივრცეებისა და გარე პერიმეტრის, ისე მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის (საკადასტრო კოდი N 29.05.38.751) სრულ ვიდეომონიტორინგს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა;* *4. რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს ძირითადი შენობის სახანძრო უსაფრთხოების სისტემების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან, რაც გულისხმობს*

		2021 წლის 2 ივლისის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტით (N89) გაწერილი რეკომენდაციების შესრულებას და შესაბამისი დადებითი დასკვნის მოპოვებას, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა; 5. *რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და მდგრადობის დამადასტურებელი ოფიციალური დასკვნის მოპოვება, რაც უნდა ფარავდეს როგორც ძირითად შენობას, ისე სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ დაწყებითი სკოლის შენობას, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2027 წლის 1 ოქტომბრისა*
3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	1. *რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული დაწყებითი სკოლის შენობაში (საკადასტრო კოდი N 29.05.38.751) სამედიცინო კაბინეტის/პუნქტის მოწყობა და ფუნქციონირება, რომელიც აღჭურვილი იქნება მოქმედი სტანდარტების შესაბამისი მატერიალური რესურსით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, აქტივობის განხორციელების დაწყების თარიღიდან (2026 წლის 1 ოქტომბრიდან) ერთი წლის ვადაში - არაუგვიანეს 2027 წლის 10 ოქტომბრისა* 2. *რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალის დასაქმება, რაც გულისხმობს ისეთი კადრის შერჩევას, რომლის კომპეტენცია და აკადემიური ხარისხი სრულად პასუხობს ,, სკოლაში სამედიცინო პუნქტის ფუნქციონირების წესისა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის მიმართ წაყენებული მოთხოვნების“ სტანდარტებს,*

		შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.
3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის შენობაში (საკადასტრო კოდი: 29.05.38.751) უზრუნველყოს შენობის შესასვლელში პანდუსის მოწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
2.2.2.3.	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი ლაბორატორიული გარემოს მოწყობა, რაც მოიცავს სივრცის აღჭურვას სათანადო ინვენტარით (მჟავატუტოვანი ზედაპირიანი მაგიდა, გამწოვი კარადა), ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*რჩევა: სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალიტი.*

3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*რჩევა: სკოლის ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე კვალიფიციური კადრის მოზიდვისა და კონკურენციის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია, სპეციალიზებულ პორტალზე (www.teacherjobs.ge) განთავსებულ განცხადებასთან ერთად, სკოლამ გამოიყენოს ვაკანსიების მართვის სხვა ელექტრონული პლატფორმებიც (მაგალითად, www.hr.gov.ge). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელებას სამედიცინო სფეროს პროფესიონალთა შორის და ხელს შეუწყობს ვაკანტური პოზიციის ოპერატიულად შევსებას შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტით.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*(ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)*	***რჩევა***
	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	
ინდიკატორი N2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*მიზანშეწონილია პედაგოგებმა გააგრძელონ მუშაობა ციფრული რესურსების კიდევ უფრო მეტ გამრავალფეროვნებაზე და კურიკულუმში პერიოდულად ასახონ ისეთი ახალი პლატფორმები (მაგ: ხელოვნური ინტელექტის ელემენტები ან ახალი ვიზუალური პროგრამირების ხელსაწყოები), რომლებიც კიდევ უფრო გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს შეუწყობს ცოდნის ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში.*
ინდიკატორი N2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ*	*სასურველია სკოლამ გააგრძელოს მუშაობა საკუთარი ციფრული ბანკის შექმნაზე, სადაც თავმოყრილი იქნება პედაგოგის და სხვა მასწავლებლების მიერ შექმნილი საუკეთესო ელექტრონული რესურსები და კომპლექსური დავალებების ნიმუშები, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილების გაზიარებას კათედრის ფარგლებში.*

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	
ინდიკატორი N2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა სხვა საგნის პედაგოგებთან ერთად დაგეგმონ ინტეგრირებული დავალებები, რაც საშუალებას მისცემს განსხვავებული ინტერესების მქონე მოსწავლეებს, თავიანთი ტექნოლოგიური უნარები გამოიყენონ მათთვის საინტერესო სხვა სფეროებში (მაგ. ისტორია, ხელოვნება, ბუნებისმეტყველება).*
ინდიკატორი N2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა დანერგონ ციფრული პორტფოლიოების სისტემა (მაგ: OneDrive-ის ან სხვა ღრუბლოვანი სერვისების გაზაზე), სადაც მოსწავლეები განათავსებენ თავიანთ ნამუშევრებსა და მათზე გაკეთებულ უკუკავშირებს წლის განმავლობაში. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, თვალსაჩინოდ დაინახონ საკუთარი პროგრესი დროში და გააძლიეროს შეფასების პროცესის დოკუმენტირება.*
ინდიკატორი N2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*სასურველია, პედაგოგებმა გააძლიერონ საგნობრივი კათედრის ფარგლებში გამოცდილების გაზიარება დაგეგმარების პროცესზე, რათა მოხდეს წარმატებული პრაქტიკის (მაგალითად, რომელიმე კონკრეტული აქტივობის ეფექტურობის) ასახვა მომავალი წლის კურიკულუმებში.*
ინდიკატორი N2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*სასურველია მასწავლებლებმა პერიოდულად ჩაატარონ „შეფასების ვერიფიკაცია“ კოლეგებთან ერთად (მაგალითად, ერთი და იმავე ნამუშევრის შეფასება სხვადასხვა მასწავლებლის მიერ), რათა კიდევ უფრო გამყარდეს შეფასების ობიექტურობა და მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრის ფარგლებში*
ინდიკატორი N2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო*	*სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა მეტად წაახალისონ მოსწავლეები, რათა მათ თავად შექმნან სასწავლო ციფრული რესურსები (მაგალითად, ვიდეო-გაიდები ან ელექტრონული წიგნები*

	რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	*თანატოლებისთვის), რაც გააძლიერებს მათ მეტაკოგნიტურ უნარებსა და შემოქმედებითობას.*
ინდიკატორი N2.2.2.2.	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან ამ გამოცდილი და საუკეთესო რესურსების ერთგვარი ციფრული ბიბლიოთეკა/ბანკი, რაც გაამარტივებს მათ გამოყენებას მომავალში და დაეხმარება ახალ კოლეგებს გამოცდილების სწრაფად გაზიარებაში წყალტუბოს საჯარო სკოლის შიდა სასკოლო სივრცეში.*
ინდიკატორი N2.2.2.3.	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სასურველია სკოლამ გააგრძელოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერიოდული განახლება და განიხილოს კომპიუტერული ლაბორატორიის დამატებითი აქსესუარებით (მაგ: ყურსასმენები, მიკროფონები) აღჭურვა, რაც კიდევ უფრო გაუმჯობესებს მულტიმედიურ პროექტებზე მუშაობის ხარისხს.*
		უცხო ენა
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*სასურველია, უცხოური ენის საგნობრივ კურიკულუმებში იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალება, ვიდრე წარმოდგენილია ამ ეტაპზე. ამასთან, შესაბამის სვეტში გაიწეროს რელევანტური კონტექსტ-მაგალითები, როგორიცაა, მაგალითად, III და IV კლასების ინგლისური ენის კურიკულუმებში შემოქმედებითი ტიპის დავალებებისთვის განსაზღვრული კონტექსტ-მაგალითები.*
ინდიკატორი N2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ*	*რჩევა: კურიკულუმებში რესურსების სვეტში მიუთითონ ყველა დამატებითი რესურსი, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში.*

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	
ინდიკატორი N2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*რჩევა: სასურველია კურიკულუმში მითითებულ იქნას ყველა დამატებითი სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კათედრა საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს და სამუშაო რვეულის მითითებისას, სასურველია დაკონკრეტდეს გვერდები.*
	მათემატიკა	
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*მე-11 კლასის კურიკულუმში დაემატოს თემები: კოსინუსების თეორემა, სინუსების თეორემა.*
ინდიკატორი N2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.*
N2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია, სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.* *სასურველია, განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას პედაგოგებმა მეტად გამოიყენონ ესგ-ს მიხედვით სამიზნე ცნებები და შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისთვის.*

	დაწყებითი საფეხური	
ინდიკატორი N2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*სასურველია საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის დროს მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომები შემოქმედებით პროდუქტში აისახოს.*
ინდიკატორი N2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები.*
ინდიკატორი N2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*სასურველია,ბუნებისმეტყველების კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული ელ.რესურსების ბმულები.*
	საზოგადოებრივი მეცნიერებები	
ინდიკატორი N2.1.1.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	• *სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს სკოლის სახელწოდება.* • *სასურველია, მე და საზოგადოების მე-4 კლასის კურიკულუმში თემა „განათლების“ სახელწოდება შეიცვლაოს როგორც „სად და როგორ ვიღებ განათლებას“, რათა იგი უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს.*

		• *სასურველია, მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში შეიცვალოს სავალდებულო თემების სახელწოდება, რათა უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს.* • *სასურველია, მე-12 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმში შეიცვალოს სავალდებულო თემების სახელწოდება, რათა უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს.* • *სასურველია, მე-12 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმს დაემატოს სავალდებულო თემა - „გლობალური ეკონომიკა და საქართველო“, რათა უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს.*
ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	• *სასურველია, კურიკულუმებში სამიზნე ცნებებთან ერთად შესაბამისი ქვეცნებებიც აისახოს.* • *სასურველია, საშუალო საფეხურის ისტორიის კურიკულუმებში სტანდარტით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო თემაში, დაემატოს სამიზნე ცნება - წყარო.* • *სასურველია, საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში სტანდარტით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო თემაში, დაემატოს სამიზნე ცნება - წყარო.* • *სასურველია, მე-10 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში, თემა: გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები, აისახოს სამიზნე ცნებები: გეოგრაფიული გარსი; გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი.*
ინდიკატორი N2.1.1.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია, ყველა შეფასების რუბრიკა ეყრდნობოდეს ეროვნული სასწავლო გეგმაში მოცემულ სამიზნე ცნებებს*

ესთეტიკური აღზრდა		
ინდიკატორი N2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ V-VI კლასების მუსიკის სახელმძღვანელოები ორი გამომცემლობის „წყაროსთვალისა“ და „კლიოს“ (ავტორები ნ. ქუმსიშვილი, რ. ჯულაყიძე, მ. ოთიაშვილი, ი. მიქაძე, ი. გაბუნია) ერთობლივ პროდუქტს წარმოადგენენ და სასურველია, რომ კურიკულუმებში ორივე გამომცემლობა მიუთითოთ.*
ბუნებისმეტყველება		
ინდიკატორი N1.1.2.4.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*სასურველია კონკრეტული აქტივობების ან დავალებების შესრულებისას მასწავლებლებმა შეიმუშაონ შესაბამისი რუბრიკები კონკრეტული მისაღწევი შედეგებით. ასევე, მივეცი რჩევა, რომ მოსწავლეებს წინასწარ გააცნონ შეფასების კრიტერიუმები, რაც აძლევს მათ საშუალებას ორიენტირებულნი იყვნენ სასწავლო მიზანზე და შედეგზე.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია კორესპონდენცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმაში ასახული ღონისძიებები. წარმოდგენილი არგუმენტაციისა და დაგეგმილი აქტივობების გათვალისწინებით, სტანდარტები შეფასდა შემდეგნაირად: პირველი სტანდარტი -შესაბამისად; მეორე სტანდარტი - მეტწილ შესაბამისად; მესამე სტანდარტი - ნაწილობრივ შესაბამისად; მეოთხე სტანდარტი - შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რადგან დაწესებულების პრიორიტეტები ორიენტირებულია მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე, კონკურენტუნარიანი უნარების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებაზე. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2024-2031) ეფუძნება სკოლის მისიას და ითვალისწინებს ისეთ პრიორიტეტებს, როგორიცაა უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა და მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმების დანერგვა, რაც პასუხობს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ საგანმანათლებლო სტანდარტებსა და მოზარდის პიროვნული განვითარების ინტერესებს. სკოლის მიერ თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი არგუმენტაცია, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება და სამეურვეო საბჭოს ოქმები (№7, 17.10.2024) ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი საგანმანათლებლო სივრცეში და მისი საქმიანობა მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევისაკენ.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიისა და ხედვის დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულება საკუთარ როლს ხედავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნაში. მისიის ტექსტში აქცენტი გაკეთებულია თითოეულ მოსწავლეში „განსაკუთრებული უნარების აღმოჩენასა“ და „შემოქმედებითი აზროვნების გაღვივებაზე“, რაც მიუთითებს სკოლის, როგორც პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებული სივრცის გააზრებაზე. სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2024-2031) ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოკვეთილია „უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ამუშავება“, რაც მოიცავს როგორც

ფიზიკურ, ისე ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებას. სკოლის ხედვაში ასახული პერსპექტივა, რომ ჩამოყალიბდეს „ადგილობრივ ჰაბად“ პროფესიული განვითარებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, უზრუნველყოფს დაწესებულების გარდაქმნას სოციო-კულტურულ ცენტრად, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციასა და მათი ინტერესების რეალიზებას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დასტურდება, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი წარიმართა დემოკრატიულობისა და ჩართულობის პრინციპების დაცვით. სკოლის დირექტორის ბრძანებით (№2-67, 09.08.2024) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ადმინისტრაციასთან ერთად შედიოდნენ მასწავლებლები, მშობელი და თემის წარმომადგენელი. სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობის უზრუნველსაყოფად სკოლამ გამოიყენა სამეტაპიანი კვლევის მეთოდი. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის ოქმით (18.08.2024) დამტკიცდა ანონიმური კითხვარი (შევსებული კითხვარები სკოლას სრულად აქვს შენახული/დაარქივებული), რომელიც მოიცავდა კითხვებს სკოლის როლის, პრიორიტეტული ღირებულებებისა და სასწავლო გარემოს შესახებ. კვლევის შედეგების ანალიზი (ოქმი №1/ა, 20.08.2026 და SWOT ანალიზი) აჩვენებს, რომ სხვადასხვა მხარის მოსაზრებები გახდა დოკუმენტის პროექტის ფორმირების საფუძველი. აღნიშნული პროცესი დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტის დროს გამართული შეხვედრებით: პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ინფორმირებული იყო კვლევის შესახებ და აქტიურად მონაწილეობდა სკოლის პრიორიტეტების განსაზღვრაში. წარმოდგენილი ოქმები და ფოტომასალა, ინტერვიუების შედეგებთან ერთობლიობაში, ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფიის განსაზღვრა არ ყოფილა მხოლოდ ადმინისტრაციული გადაწყვეტილება და მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ხედვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის მიერ. დოკუმენტის პროექტის ფორმირების შემდეგ, სკოლამ უზრუნველყო მისი ფართო განხილვა. კერძოდ, წარმოდგენილია თითოეული კლასის მშობელთა კრების ოქმები (20.09.2024 - 25.09.2024), სადაც დამრიგებლებმა მშობლებს დეტალურად გააცნეს სკოლის ფილოსოფია და სტრატეგიული პრიორიტეტები.

ოქმებიდან იკვეთება მშობელთა პოზიტიური დამოკიდებულება და მზაობა თანამშრომლობისთვის, განსაკუთრებით პროფესიული ორიენტაციისა და უსაფრთხო გარემოს მიმართულებით. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი №6/ნ, 04.09.2024) მოხდა მისიისა და ხედვის საბოლოო შეთანხმება მასწავლებელთა მხრიდან. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა გასაუბრებებმა (მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან) დაადასტურა, რომ საზოგადოება არა მხოლოდ ინფორმირებულია სკოლის მისიის შესახებ, არამედ იზიარებს მასში გაწერილ პრინციპებს და საკუთარ თავს მოიაზრებს მისი განხორციელების პროცესში. სასკოლო საზოგადოების მიერ მისიისა და ხედვის გაზიარება დასტურდება მრავალფეროვანი სასკოლო აქტივობებითა და პროექტებით, რომლებშიც მშობლები და მოსწავლეები ერთობლივად არიან ჩართულნი. სკოლაში განხორციელებული პროექტები (მაგალითად, პროფესიული ორიენტაციის) პასუხობს სკოლის ხედვაში დეკლარირებულ პრიორიტეტებს და მათი დაგეგმვისა თუ განხორციელების პროცესში მოსწავლეთა და მშობელთა მაღალი აქტივობა მიუთითებს საერთო ღირებულებების ირგვლივ მათ მიერ სკოლის ფილოსოფიის გაზიარებაზე. ვიზუალური მტკიცებულებები (ფოტოები, საინფორმაციო დაფა, პირველ სართულზე განთავსებული მონიტორზე მიწოდებული ინფორმაცია) აჩვენებს, რომ სკოლის მისია და ხედვა თვალსაჩინოდაა განთავსებული სკოლის სივრცეში, რაც ხელს უწყობს საერთო ღირებულებების ირგვლივ საზოგადოების კონსოლიდაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას როგორც სასკოლო საზოგადოების, ისე თემისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდსა და ვებგვერდზე, ხოლო შენობის შიდა სივრცეში ინფორმაცია გამოკრულია საინფორმაციო დაფებზე. აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებულ ეკრანზე მუდმივ რეჟიმში ტრიალებს პრეზენტაცია, სადაც სკოლის პრიორიტეტები მოსწავლეებისთვის გასაგებ ენაზეა გადმოცემული. ინფორმაციის გაზიარება მოხდა სხვადასხვა ფორმატით: პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებსა და კლასის საათების ფარგლებში მოსწავლეებთან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინფორმირებულობას. გარდა ამისა, სკოლამ თემშიც გაავრცელა საინფორმაციო ბროშურები, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალეობასა და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობას სკოლის პრიორიტეტების შესახებ. აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობა დადასტურდა სკოლაში ფიზიკური ვიზიტის დროსაც: დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფმა იხილა როგორც ვიზუალური მასალები, ისე ციფრული პრეზენტაცია, ხოლო მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გამართული გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათთვის სკოლის ფილოსოფია ნაცნობია სწორედ აღნიშნული მრავალფეროვანი საჯაროობის მექანიზმების წყალობით

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულების ოფიციალური სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N 448 ბრძანება). სკოლის მიერ წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილება (MES 3 19 01011614, 02.08.2019), რომლის საფუძველზეც სკოლას მიენიჭა ეროვნული მასშტაბით აღიარებული საერო პირის - ნიკო ლორთქიფანიძის სახელი. საჯარო რეესტრის ამონაწერითა და სკოლის წესდებით დასტურდება, რომ სრული სახელწოდებაა - სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა, სადაც მკაფიოდაა მითითებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა (სსიპ) და სტატუსი (საჯარო სკოლა). სკოლის მიერ გამოყენებული აბრა, ბეჭედი და ოფიციალური ბლანკი (შტამპიანი ფურცელი) იდენტურია კანონმდებლობით დამტკიცებული სახელწოდებისა. აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობა დადასტურდა სკოლაში ფიზიკური ვიზიტის დროსაც: ადმინისტრაციულ დოკუმენტაციასა და შენობის ფასადზე განთავსებული სახელწოდება შეესაბამება მინიჭებულ სტატუსს.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმა (2024-2031);
- სკოლის თვითშეფასების ფორმა (16.02.2026);
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-67 (09.08.2024);
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (16.08.2024, 18.08.2024, 20.08.2024, 11.10.2024);
- სკოლის ფილოსოფიის ფორმირების კვლევის კითხვარი;
- ჩატარებული კვლევის ანალიზის დოკუმენტი (SWOT ანალიზი);
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი №6/ნ (04.09.2024);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები №7 (17.10.2024) და №3 (04.09.2025);
- მშობელთა კრების ოქმები (III, VI, VIII, XI კლასები);
- საინფორმაციო ბროშურები;

- სკოლის Facebook გვერდისა და ვებგვერდის ბმულები/სქრინები;
- სკოლის შენობის (დაფები, ეკრანი, ფასადი) ფოტომასალა;
- განათლების სამინისტროს წერილი №MES 3 19 01011614 (02.08.2019);
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის წესდება.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია დაგეგმვის სისტემური მიდგომა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „მისიის, ხედვის და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს დაგეგმვის პროცესის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებსა და ჩართულ მხარეებს. მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული (შვიდწლიანი) და სამოქმედო (ერთწლიანი) გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის მექანიზმები. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემას, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის ციკლურობასა და

განვითარებაზე ორიენტირებულობას. აღნიშნული დადასტურდა სკოლაში ფიზიკური ვიზიტის დროსაც: ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს ამ მეთოდოლოგიით, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობას დაგეგმვის ფაზაში. მეთოდოლოგია ადეკვატურად ასახავს სკოლის საჭიროებებს და ქმნის მყარ საფუძველს გრძელვადიანი მდგრადობისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა შედგენილია შვიდწლიან პერიოდზე (2024-2031 წწ.) და ატარებს ციკლურ ხასიათს. დოკუმენტი ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას (მისიას, ხედვასა და ღირებულებებს). გეგმაში ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიზნები, როგორიცაა „ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფა“, „უსაფრთხო და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნა“ და „სკოლის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება“, თავსებადია სკოლის მისიასთან. თითოეული სტრატეგიული მიზანი დაშლილია კონკრეტულ ამოცანებად, რაც ქმნის ერთგვარ ბმას სკოლის ხედვასა და მისაღწევ შედეგებს შორის. აღნიშნული შესაბამისობა დადასტურდა სკოლაში ფიზიკური ვიზიტის დროს გამართული გასაუბრებისას: ადმინისტრაციასა და სამეურვეო საბჭოს წევრებს გააზრებული აქვთ გეგმის შინაარსი და ადასტურებენ, რომ მასში ასახული პრიორიტეტები გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოებისა თუ სოფლის თემის საერთო ღირებულებებიდან. გეგმის ციკლურობა უზრუნველყოფილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით, რაც საშუალებას იძლევა სტრატეგიული მიზნები პერიოდულად დაექვემდებაროს რევიზიას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ავტორიზაციის ვიზიტის დროს დაწესებულების შესწავლით დასტურდება, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს დაგეგმვის ციკლური პრაქტიკა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (მაგ: 2025-2026 სასწავლო წლის) წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის (2024-2031) რეალიზაციის ძირითად ინსტრუმენტს. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესი ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ შიდა თვითშეფასებას, რომელიც ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში. ამ პროცესისთვის სკოლა იყენებს წინა წლის ანგარიშებსა და მთელი წლის განმავლობაში ე.წ. საჭიროებების კვლევით მიღებულ მონაცემებს. სკოლაში ფუნქციონირებს სტრატეგიული განვითარების

როგორც დაგეგმვის ასევე მონიტორინგის ჯგუფები. მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული ანალიზი ხდება მომდევნო წლის თვითშეფასებისა და შესაბამისად სამოქმედო გეგმის შედგენის საფუძველი. აღნიშნული დადასტურდა სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სტრუქტურულად გამართულია და მოიცავს დაგეგმვის ყველა აუცილებელ კომპონენტს. დოკუმენტში თითოეული სტრატეგიული მიზანი და ამოცანა დაშლილია კონკრეტულ აქტივობებად, რომლებიც ლოგიკურ კავშირშია მისაღწევ შედეგებთან. გეგმაში თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები (მაგ: მომზადებული ანგარიშების რაოდენობა, ჩატარებული ინვენტარიზაციის აქტი, დამტკიცებული შაბლონები). აქტივობების განხორციელების ვადები გაწერილია სასწავლო წლის კალენდრის გათვალისწინებით და არის რეალისტური. გეგმაში მკაფიოდ არის გამიჯნული პასუხისმგებლობები და მითითებულია შემსრულებელი სტრუქტურული ერთეულები თუ პოზიციები (მაგ: დირექტორის მოადგილე, საქმისწარმოების მენეჯერი, სამუშაო ჯგუფი). რესურსების ნაწილში სკოლას იდენტიფიცირებული აქვს როგორც ადამიანური, ისე მატერიალური და ფინანსური საჭიროებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-03 (20.01.2025) „მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმა (2024-2031);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წლის);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №4/ა (21.10.2025) „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვისა და დამტკიცების შესახებ“;

- სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის ჯგუფის დამტკიცების დოკუმენტი;
- წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- საჭიროებების კვლევა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „მისიის, ხედვის და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული ბრძანებით №2-03) მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტებს. დოკუმენტის მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებში დეტალურადაა გაწერილი პროცესის მიმდინარეობა. კერძოდ, მეთოდოლოგია ადგენს მონიტორინგის პერიოდულობას, განსაზღვრავს სტატუსებს აქტივობების შესრულების ხარისხის მარკირებისთვის („შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“) და აკონკრეტებს მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირების წესს. მეთოდოლოგიაში გამიჯნულია მონიტორინგისა და შეფასების პროცესები: მონიტორინგი ორიენტირებულია მიმდინარე აქტივობების კონტროლზე, ხოლო შეფასება - მიღწეული შედეგების ანალიზსა და სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაზე. მნიშვნელოვანია, რომ მეთოდოლოგია ითვალისწინებს უკუკავშირის მექანიზმსაც - მონიტორინგის ანგარიშების საფუძველზე შესაძლებელია გეგმებში ცვლილებების ინიცირება. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე იმუშავა დირექტორის ბრძანებით დაამტკიცებულმა დაგეგმვარების ჯგუფმა, თუმცა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია რადგან არ მოიცავს მხოლოდ განცალკევებულ დაგეგმვას და წარმოადგენს ერთიან ციკლს, მათ შორის მონიტორინგსა და შეფასებას, სკოლის დირექტორის ბრძანებით ასევე დამტკიცებულია სტრატეგული განვითარების მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მუშაობის მექანიზმიც გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვარების მეთოდოლოგიიდან.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აღწერილი სამუშაო პროცესი ადასტურებს, რომ დაწესებულებაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სისტემურად, მეთოდოლოგიის დაცვით. სკოლაში ჩამოყალიბებულია მკაფიო ანგარიშვალდებულების სისტემა: სასწავლო პროცესის მიმდინარეობას კოორდინაციას უწევს დირექტორის მოადგილე, რომელსაც საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები პირველი სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს წარუდგენენ დეტალურ ანგარიშებს გაწეული მუშაობის, განხორციელებული აქტივობებისა და გამოკვეთილი პრობლემების შესახებ.

პარალელურად, სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის ჯგუფი (ბრძანება №2-132), რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ახორციელებს ორ შუალედურ მონიტორინგსა და ორ შეფასებას. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია ჯამდება და სასწავლო წლის დასასრულს განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, სადაც ხდება სკოლის წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და ახალი სასწავლო წლის აქტივობების დაგეგმვა პროცესის სრულყოფის მიზნით. ანგარიშვალდებულების ციკლი სრულდება სკოლის დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოს წინაშე წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშით (მაგ: 2024-2025 წლის ანგარიში წარდგენილ იქნა 2025 წლის ოქტომბერში, ხოლო მორიგი ანგარიშგება დაგეგმილია 2026-2027 სასწავლო წლისთვის).

აღნიშნული სისტემური მიდგომა დადასტურდა სკოლაში ფიზიკური ვიზიტის დროს გამართული გასაუბრებისას: მონიტორინგის ჯგუფის წევრები სრულად ფლობენ ინფორმაციას მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროცედურების შესახებ და ადასტურებენ, რომ შეფასების მექანიზმები მათ ეხმარებათ საქმიანობის კორექტირებასა და გაუმჯობესებაში.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების მექანიზმი, რაც დასტურდება შიდა მონიტორინგის ოქმებით (№1-2025, №2-2025, №1-2026) და სხვადასხვა სოციალური თუ საგანმანათლებლო პროექტის ანალიზით. მაგ., სკოლა აქტიურად იყენებს ფოკუს-ჯგუფებს (ოქმი №1-გ) და ანონიმურ კითხვარებს (ოქმი №1-ნ) მშობლების, მოსწავლეებისა და თემის წარმომადგენლების მოსაზრებების შესასწავლად. უკუკავშირის გათვალისწინების თვალსაჩინო მაგალითია სოციალური პროექტი „დედები ჯანსაღი არჩევანისთვის“ (ოქმი №1-2026), სადაც მონიტორინგის ჯგუფმა შეაფასა მშობელთა ჩართულობის დონე და მისი გავლენა სასკოლო გარემოზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ანგარიშგებისა და შედეგების საჯაროობას სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის. დოკუმენტური ანალიზით დასტურდება, რომ სკოლის დირექტორი რეგულარულად წარადგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ სამეურვეო საბჭოს წინაშე (მაგ: 2024-2025 წლის ანგარიში წარდგენილ იქნა 2025 წლის ოქტომბერში), რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის გამჭვირვალობასა და მშობელთა თუ მასწავლებელთა ინფორმირებულობას. მონიტორინგის შედეგები ასევე განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, სადაც ხდება მიღწეული პროგრესის საჯარო შეფასება.

სკოლა აქტიურად იყენებს საინფორმაციო არხებს შედეგების პოპულარიზაციისთვის. განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაცია (მაგ: სოციალური პროექტი „დედები ჯანსაღი არჩევანისთვის“, „ჩემი სოფლისა და სკოლის სიამაყე“) ხელმისაწვდომია სკოლის სოციალურ გვერდზე. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების დეტალური შედეგების სისტემატურად განთავსებას სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც კიდევ უფრო გაზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას გარე დაინტერესებული მხარეებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში დანერგილია მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის პრინციპი, სადაც მონიტორინგისა და შეფასების შედეგები ხდება შემდგომი დაგეგმარების საფუძველი. სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ აქტივობების შესრულების აღრიცხვით, არამედ ახდენს შედეგების სიღრმისეულ ანალიზს სასკოლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით. ანალიზის პროცესი მოიცავს რამდენიმე საფეხურს: კათედრის ხელმძღვანელების მიერ სემესტრულად წარდგენილი ანგარიშები და შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული შუალედური დასკვნები (მაგ: ოქმი №1-2026, ოქმი №2-2025) განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე. სწორედ ამ შედეგებზე დაყრდნობით ხდება მომავალი წლის პრიორიტეტების განსაზღვრა და სტრატეგიული მიზნების კორექტირება. მაგალითად, საჭიროებების კვლევისა (ოქმი №3) და მასწავლებელთა წლიური შეფასების (ბრძანება №2-47) შედეგების საფუძველზე, სკოლამ დაგეგმა კონკრეტული ნაბიჯები ტექნოლოგიების ინტეგრაციისა და პროექტული სწავლების გაძლიერების მიმართულებით. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები (ოქმი №3) აჩვენებს, რომ დირექტორის მიერ წარდგენილი ანგარიშის განხილვისას საბჭოს წევრები აქცენტს აკეთებენ მიღწეული შედეგების მდგრადობაზე და მხარს უჭერენ ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებას წინა წლის გამოწვევების გათვალისწინებით. აღნიშნული დადასტურდა სკოლაში ფიზიკური ვიზიტის დროს გამართული გასაუბრებისას: სკოლის ადმინისტრაციამ და მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს

არგუმენტირებული ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ ტრანსფორმირდება შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები ახალ სტრატეგიულ ინიციატივებად.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-03 (20.01.2025) „მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-132 (29.11.2024) „სტრატეგიული განვითარების, მისიისა და ხედვის დანერგვისა და მხარდაჭერის მუდმივმოქმედი კომისიის (მონიტორინგის ჯგუფის) შექმნის შესახებ“;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმები: №1 (2025 წ.), №2 (2025 წ.) და №1 (2026 წ.);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №3 (21.09.2025) – დირექტორის ანგარიში 2024-2025 წლის გეგმის შესრულებაზე;
- სასკოლო საჭიროებების კვლევის კომისიის სხდომის ოქმი №3 (01.04.2026) – კვლევის შედეგების ანალიზი და შეჯამება;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-39 (23.02.2026) „სასკოლო საჭიროებების კვლევის ჩატარების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-47 (23.03.2026) „მასწავლებელთა წლიური შეფასების განხორციელების შესახებ“;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები: №1-ბ, №1-გ, №2, №1-ნ (2024 წ.) – ფოკუს-ჯგუფებისა და ანკეტირების შედეგების განხილვა;
- სასკოლო საჭიროებების კვლევის ანკეტები (მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებობს ორგანიზაციული მოწყობის გამართული სისტემა, სადაც თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ არის რეგლამენტირებული. წარმოდგენილია სხვადასხვა პოზიციის (მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, საქმისწარმოების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დამლაგებელი, დარაჯი) შრომითი ხელშეკრულებები, რომელთა განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სამუშაო აღწერილობები. აღნიშნული დოკუმენტები დეტალურად განსაზღვრავს დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს, სამუშაო დროსა და ანგარიშვალდებულების ჯაჭვს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სკოლა ფუნქციების დელეგირებას ახდენს სათანადო სამართლებრივი აქტებით, მაგალითად, დამრიგებლის ფუნქციის დაკისრების შესახებ ბრძანებით (№1/კ-09), სადაც მითითებულია კონკრეტული პასუხისმგებლობები ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. ასევე, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ (ოქმი №1, 22.01.2026) ქმნის მყარ ჩარჩოს გამჭვირვალე და ობიექტური მართვისთვის, რაც უზრუნველყოფს სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობასა და დასახული მიზნების მიღწევას. ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა გამორიცხავს მოვალეობათა დუბლირებას და ხელს უწყობს სამუშაო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში მოქმედებს მკაფიოდ სტრუქტურირებული ორგანიზაციული მოწყობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით (№2-124, 16.12.2025) დამტკიცებულია „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა“, რაც უზრუნველყოფს თითოეული რგოლის როლისა და პასუხისმგებლობის

დეტალურ რეგლამენტირებას.სკოლა ფუნქციურად დაყოფილია შესაბამის ერთეულებად, რომელთა საქმიანობაც მიმართულია საერთო სტრატეგიული მიზნების მიღწევისკენ. კერძოდ:

ადმინისტრაციული და მართვის რგოლი: დეტალურადაა გაწერილი დირექტორის მოადგილის, საქმისწარმოების მენეჯერის, ბუღალტრისა და ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქციები;

აკადემიური და საგანმანათლებლო რგოლი: მკაფიოდ არის განსაზღვრული საგნობრივი კათედრების, პედაგოგებისა და დამრიგებლების (ბრძანება №1/კ-09) მოვალეობები;

მხარდაჭერისა და რესურსების რგოლი: გაწერილია ბიბლიოთეკარის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისა და სპეციალური მასწავლებლის ფუნქციური დატვირთვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პერსონალის უმეტესობას ფუნქციები გაწერილი აქვს როგორც შრომით ხელშეკრულებებში, ისე ერთიან სტრუქტურულ დოკუმენტში. გამონაკლისს წარმოადგენს დაცვის თანამშრომლის პოზიცია, რომლის ფუნქციებიც, საქმიანობის სპეციფიკიდან და ხელშეკრულების პერიოდული განახლების (რამდენიმე თვეში ერთხელ) პრაქტიკიდან გამომდინარე, ასახულია უშუალოდ შრომით ხელშეკრულებაში (მაგ. ხელშეკრულება №5-37). ეს მიდგომა უზრუნველყოფს სამუშაო პირობების მოქნილობას და მუდმივ შესაბამისობას სკოლის უსაფრთხოების საჭიროებებთან.

ფუნქციების ასეთი მკაფიო დანაწილება ხელს უწყობს მართვის ეფექტიანობას და გამორიცხავს პასუხისმგებლობათა დუბლირებას. სკოლაში მოქმედი ორგანიზაციული მოდელი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ რგოლთა ერთობლიობას, სადაც თითოეული პირის საქმიანობა პირდაპირ თუ ირიბად ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას (ხარისხიანი განათლების მიწოდებას უსაფრთხო გარემოში).

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-124 (16.12.2025) „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების დამტკიცების შესახებ“;
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერილობის დოკუმენტი (ბრძანება №2-124-ის დანართი №1);
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და სამუშაო აღწერილობები:

- სკოლის დირექტორის ბრძანება №1/კ-09 (30.09.2025) – დამრიგებლის ფუნქციის დაკისრებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №1 (22.01.2026) – „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ;
- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის სისტემა ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა (შრომის კოდექსი, კანონი ზოგადი განათლების შესახებ) და სკოლის შიდა რეგულაციებს. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ (ოქმი №1, 22.01.2026) განსაზღვრავს კადრების შერჩევის, მიღების, ადაპტაციის, განვითარებისა და გათავისუფლების გამჭვირვალე პროცედურებს. დოკუმენტების ანალიზით იკვეთება, რომ სკოლა მკაცრად იცავს დადგენილ პირობებს: შრომითი ხელშეკრულებები (მაგ: №5-06, №5-30) შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, სადაც გათვალისწინებულია სამუშაო დროის, დასვენების, შვებულებისა და შრომის ანაზღაურების ნორმები; პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს მართვის მექანიზმებს, მათ შორის წახალისების სისტემას, რომელიც ეფუძნება შესრულების ხარისხის შეფასებას; პერსონალის მართვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესით, რომელიც ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დასაქმებულთა უფლებების დაცვას და ქმნის სტაბილურ სამუშაო გარემოს, რაც აისახება სკოლის ფუნქციონირების ხარისხზე. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მართვის პროცესები თანხვედრაშია სკოლის პრიორიტეტებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და ზოგადი განათლების შესახებ კანონთან. დაწესებულებაში მოქმედებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ (22.01.2026), რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესის უწყვეტობასა და კანონიერებას. კადრების მოზიდვისა და ვაკანსიის გამოცხადების პროცესი სკოლაში ხორციელდება „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით.
პრევენციული ნაწილი: სკოლას თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებული აქვს წერილობითი ხელშეკრულება, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სამუშაო დრო, დასვენების პერიოდი და ანაზღაურების პირობები; პერსონალის სამუშაოზე გამოცხადება და სამუშაო დროის გამოყენება კონტროლდება „მოსვლა-წასვლის ჟურნალის“ მეშვეობით (ეს პრევენციული მექანიზმი გამორიცხავს სამუშაო დისციპლინის დარღვევას და უზრუნველყოფს პერსონალის მობილიზებულობას); გამოცხადების ჟურნალში დაფიქსირებული მონაცემები ასახულია ყოველთვიურ სახელფასო ტაბელში (რაც უზრუნველყოფს შრომის სამართლიან და კანონშესაბამის ანაზღაურებას).
ინტერვენციული ნაწილი: მასწავლებლის მიერ სამუშაოს გაცდენის შემთხვევაში (ავადმყოფობა, გადაუდებელი აუცილებლობა), სკოლის დოკუმენტაციაში (პერსონალის მართვის პოლიტიკა) გაწერილია ჩანაცვლების მკაფიო მექანიზმი, რათა სკოლამ ოპერატიულად აღადგინოს სასწავლო პროცესი და არ დაუშვას საგაკვეთილო ცხრილის ჩავარდნა; სკოლაში მოქმედი შინაგანაწესი და დისციპლინური კომიტეტი (ოქმი №2-124-ის მიხედვით) ახდენს ინტერვენციას ნებისმიერი გადაცდომის შემთხვევაში, რაც მიზნად ისახავს პროცესების მართვას დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების ფარგლებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში კადრების მოზიდვისა და ვაკანსიის გამოცხადების პროცესი ხორციელდება გამჭვირვალობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვით, რაც რეგლამენტირებულია „პერსონალის მართვის პოლიტიკით“. ვაკანსიის წარმოშობისთანავე სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას სპეციალიზებული პლატფორმებისა (მაგალითად, teacherjobs.ge) და სოციალური ქსელების მეშვეობით, რათა მოიზიდოს მაღალკვალიფიციური და სკოლის ღირებულებებთან თავსებადი კანდიდატები. შერჩევის პროცედურა არის მრავალეტაპიანი და მოიცავს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატთა შეფასებას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით (საბუთების გადარჩევა, გასაუბრება, საჩვენებელი გაკვეთილი), რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და გარანტიას იძლევა, რომ ვაკანტურ პოზიციას დაიკავებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი. სკოლა ინახავს შერჩევის პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას

(კომისიის ოქმები, შეფასების სქემები), რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს პროცესის სამართლიანობაში დარწმუნების შესაძლებლობას. პირად საქმეებში თანამშრომლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ, ასევე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ნარკოლოგიური აღრიცხვის, პირის მსჯავრდებისა და ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ადგილზე ვიზიტისას პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში, ისე ვაკანსიების განაცხადებში. დასაქმებული პერსონალი (გარდა ექიმისა) არიან დაკავებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციით, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი eSchool-ის ბაზა, რომელშიც ასახულია მასწავლებლების სტატუსი. ასევე, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ მატერიალური ფორმით შენახული კადრის კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინა. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება მოხერხდა eSchool-ის ბაზაში ასახულ საათობრივ დატვირთვასთან - ირკვევა, რომ სკოლის კადრი, გარდა მათი საკვალიფიკაციო შესაბამისობის საგნებისა, დატვირთული ძირითადად არ არის სხვა საგნობრივი ჯგუფების საათებით. გამონაკლისს წარმოადგენს საგანი მუსიკა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები რიგ კლასებში ასწავლიან საგან მუსიკას მიუხედავად იმისა რომ მათი კვალიფიკაცია არ შეესაბამება აღნიშნული საგნის სწავლებას, თუმცა სკოლამ წარმოადგინა მუსიკის საათებზე გამოცხადებული ვაკანსია და ჩაშლილი კონკურსი (არ ჰქონდა მომართვიანობა), ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა რომ სასწავლო წლის განმავლობაში კვლავაც აპირებს სკოლა საგან მუსიკაში ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის გამოცხადებას. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლის მტკიცებულებებში იკითხება დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფს მუსიკის მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადებას, ჩატარებას და კადრის დანიშვნას.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, სკოლაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დიპლომის მიხედვით, მას მინიჭებული ჰქონდა „დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი სამკურნალო საქმის სპეციალობით“, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების (№41/ნ; №01-23/ნ) მოთხოვნებთან. აღნიშნული კანონმდებლობა სკოლის ექიმისთვის სავალდებულო პირობად განსაზღვრავს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს შემდეგ სპეციალობებში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“ ან „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდებოდა პერსონალის შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაცია და სახელმწიფო სერტიფიკატის ფლობა კანონით მოთხოვნილ სპეციალობებში, ექიმის კვალიფიკაცია ვერ მიიჩნა დადგენილ სტანდარტთან შესაბამისად და შეფასებულ იქნა როგორც ხარვეზი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას საგანმანათლებლო დაწესებულების, სკოლის ექიმის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი დოკუმენტების ძირითადი არსი მდგომარეობს სკოლის ექიმის ვაკანტური პოზიციის გამოცხადებას, მისი შევსების მცდელობასა და მასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ პროცედურებს, რაც ადასტურებს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას/დაძლევას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკა და დაწესებულებაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის რეალურ ჩართულობას, რაც დასტურდება სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობით, სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფების მრავალფეროვანი შემადგენლობით, სადაც ადმინისტრაციასთან ერთად თანამშრომლობენ სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. გუნდური მუშაობის კულტურა განსაკუთრებით ვლინდება საგნობრივი კათედრებისა და შიდა მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობაში, სადაც პედაგოგები ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროექტებს, ახდენენ გამოწვევების ანალიზს და უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. მართვის ეფექტიანობისა და გუნდურობის მიზნით, სკოლაში დანერგილია მართვითი საკითხების დელეგირების პრაქტიკა; კერძოდ, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის მონიტორინგის მნიშვნელოვანი ნაწილი დელეგირებულია დირექტორის მოადგილეზე, რომელიც კათედრების ხელმძღვანელებთან მჭიდრო კოორდინაციით უზრუნველყოფს აკადემიური საქმიანობის მართვას. მონაწილეობითი მართვის ხარისხს ამაღლებს სკოლაში დანერგილი ორგანიზაციული კლიმატის კვლევის პრაქტიკა და ანონიმური გამოკითხვები, რაც საშუალებას იძლევა, პერსონალის მოსაზრებები და საჭიროებები

პირდაპირ აისახოს სკოლის განვითარების გეგმებში. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში პერსონალთან გამართული გასაუბრებით გამოიკვეთა მაღალი კორპორაციული პასუხისმგებლობის გრძნობა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული გარემო, სადაც მონიტორინგისა და შეფასების პროცესი აღქმულია როგორც ერთობლივი განვითარების ინსტრუმენტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში ჩამოყალიბებულია პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების სისტემა, რომელიც ეფუძნება ობიექტურობის პრინციპს და ორიენტირებულია თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებაზე. აღიარების მექანიზმი ხორციელდება როგორც ინსტიტუციურ დონეზე - პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე მასწავლებელთა მიღწევების განხილვითა და წახალისების ღონისძიებების დაწესებით, ისე საჯარო სივრცეში სოციალური ქსელების მეშვეობით, სადაც სკოლა პერიოდულად გამოხატავს მადლობას პერსონალის მიმართ და აცნობს მათ წარმატებებს ფართო საზოგადოებას. გამოცდილების გაზიარების პროცესი ინტეგრირებულია სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში კათედრების თვითშეფასების ინსტრუმენტების, ურთიერთდასწრებისა და სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის, მათ შორის ვერიფიკატორთა გუნდის ფუნქციონირების გზით, რაც პედაგოგებს საშუალებას აძლევს, ურთიერთგაცვალონ საუკეთესო პრაქტიკა და ინოვაციური მიდგომები. აღნიშნული მიდგომა, რომელიც ასევე ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და 2025 წლის ბიუჯეტში პერსონალის განვითარების მხარდაჭერის კუთხით, ქმნის პოზიტიურ ორგანიზაციულ კულტურას, სადაც თითოეული თანამშრომლის ძალისხმევა ხილვადი, დაფასებული და სასკოლო საზოგადოების საერთო პროგრესის საფუძველია.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები №1, №3 და №6;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები №1 და №7;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-17 „საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-30 „ვაკანტური პოზიციის შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადებისა და კომისიის შექმნის შესახებ“;
- ვაკანტური პოზიციის შესავსებად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები;

- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-27 „ვერიფიკატორთა გუნდის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-61 „ავტორიზაციის პროცესის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის პირადი საქმეები და eSchool-ის ბაზის მონაცემები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრების თვითშეფასების ინსტრუმენტი;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა;
- მასწავლებელთა მიერ ტრენინგის გავლის სერთიფიკატები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს პერსონალის შეფასებისა და განვითარების საჭიროებათა იდენტიფიცირების ერთიანი მიდგომა, რომელიც მოიცავს როგორც პედაგოგიურ, ისე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს. შეფასების პროცესი ეყრდნობა დირექტორის ბრძანებით (№2-17) დამტკიცებულ „საკვალიფიკაციო მოთხოვნებს“.

პედაგოგიური პერსონალის საჭიროებების დადგენა ხორციელდება მრავალმხრივი ინსტრუმენტებით. სკოლაში დანერგილია „კათედრის თვითშეფასების“ მექანიზმი, სადაც მასწავლებლები თავად ახდენენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას. ამას ემატება შიდა მონიტორინგის ჯგუფისა და „ვერიფიკატორთა გუნდის“ (ბრძანება №2-27) მუშაობა, რომელიც შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გზით ავლენს საგნობრივ თუ მეთოდურ ხარვეზებს და აგენერირებს ინტერვენციის გეგმებს (ბრძანება №2-37). შეფასების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კათედრების ხელმძღვანელებსა და დირექტორის მოადგილეს, რომლებიც სასწავლო პროცესზე დაკვირვებითა და ოქმების ანალიზით ადგენენ კონკრეტულ პროფესიულ საჭიროებებს. ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება ფუნქციური მოვალეობების შესრულების ხარისხის კონტროლის საფუძველზე. კერძოდ, სკოლაში ხორციელდება საქმის წარმოების სისტემური მონიტორინგი (ბრძანება №2-56 და №2-57), რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ადმინისტრაციული გუნდის ეფექტიანობა დოკუმენტბრუნვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით. გამოვლენილი საჭიროებები, როგორიცაა ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა ან დამატებითი ტექნიკური აღჭურვილობა, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომებზე (მაგ. ოქმი №6), სადაც ხდება პრიორიტეტების განსაზღვრა და შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა. პერსონალის საჭიროებების დადგენის პროცესი მონაწილეობითია - თანამშრომლებს საშუალება აქვთ პედაგოგიური საბჭოსა (ოქმი №7) და სამეურვეო საბჭოს ფორმატებში თავად დააყენონ საკითხი პროფესიული მხარდაჭერის ან სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესი ეყრდნობა წინასწარ დაგეგმილ ღონისძიებებს, რომლებიც პასუხობს გამოვლენილ საჭიროებებს. სკოლის მიერ შემუშავებული „ინტერვენციის გეგმები“ (ბრძანება №2-37) წარმოადგენს პერსონალის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს, სადაც აკადემიური აცდენების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულია მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები. აღნიშნული გეგმები მოიცავს როგორც მეთოდურ გადამზადებას, ისე პრაქტიკული უნარების დახვეწას კონკრეტულ საგნებში.
სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის მიხედვით. პროფესიული განვითარების დაგეგმვა ეფუძნება პერსონალის შეფასების, შიდა მონიტორინგისა და თვითშეფასების პროცესში მიღებულ მონაცემებს, რაც უზრუნველყოფს განვითარების ღონისძიებების მიზნობრიობასა და შესაბამისობას სკოლის საგანმანათლებლო პრიორიტეტებთან. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლა ადგენს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმას, რომელშიც განსაზღვრულია განვითარების მიმართულებები, დაგეგმილი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. გეგმა ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ საჭიროებებს და მოიცავს ტრენინგებს, სემინარებს, შიდა სამუშაო შეხვედრებსა და პროფესიული მხარდაჭერის სხვა ფორმებს.

პროფესიული განვითარების გეგმის განხორციელება მიმდინარეობს ეტაპობრივად და ექვემდებარება მონიტორინგს. სკოლის ადმინისტრაცია აფასებს დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს გეგმის კორექტირებას მიღებული შედეგების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს პერსონალის კომპეტენციების გაძლიერებას და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. გამოვლენილ საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების დაგეგმვა უზრუნველყოფს სკოლის ადამიანური რესურსების მუდმივ განვითარებას, თანამშრომელთა მოტივაციის ზრდას და სკოლის საქმიანობის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან.
გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების გეგმაც, რაც გამოიხატა საქმის წარმოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით ჩატარებულ მონიტორინგსა (ბრძანება №2-56) და შემდგომ ინსტრუქტაჟებში. პერსონალის განვითარება არ შემოიფარგლება მხოლოდ გარე ტრენინგებით; სკოლის სამოქმედო გეგმა აქცენტს აკეთებს შიდა რესურსების გამოყენებაზე - კოლეგიალურ გაზიარებასა და ვერიფიკატორთა გუნდის მიერ გაცემული რეკომენდაციების იმპლემენტაციაზე, რაც უზრუნველყოფს განვითარების პროცესის უწყვეტობასა და მიზნობრიობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლაში ჩამოყალიბებულია პერსონალის კარიერული წინსვლისა და პროფესიული ზრდის მხარდაჭერის სისტემა. კარიერული ზრდის ხელშეწყობა ხორციელდება როგორც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, ისე შიდაორგანიზაციული დაწინაურების მექანიზმებით. სკოლა ორიენტირებულია შიდა კადრების პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებაზე, რაც დასტურდება მართვითი ფუნქციების დელეგირებითა და სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების (ვერიფიკატორთა გუნდი, ავტორიზაციის ჯგუფი) ხელმძღვანელებად გამოცდილი პედაგოგების დანიშვნით.

კარიერული ზრდის ხელშეწყობის პრაქტიკული ასპექტები მოიცავს:

სტატუსობრივი წინსვლის მხარდაჭერა: სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მასწავლებლებს სტატუსის ამაღლების პროცესში, რაც აისახება პედაგოგიური საბჭოს ოქმებში (№1, №7), სადაც ხდება წარმატებული პრაქტიკის აღიარება და რეკომენდაციების გაცემა.

ადმინისტრაციული დაწინაურება: სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს შიდა რესურსს მართვით პოზიციებზე, რაც დასტურდება ბრძანებით №2-124, სადაც ფუნქციები განაწილებულია არსებულ კადრებზე მათი კომპეტენციების გათვალისწინებით (მაგ. დირექტორის მოადგილის, კათედრის ხელმძღვანელებისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა).

ფინანსური მხარდაჭერა: 2025 წლის ბიუჯეტში პერსონალის განვითარების მუხლის (22104) არსებობა, მიუხედავად სიმბოლური თანხისა, ადასტურებს სკოლის მზაობას, მატერიალურად დაუჭიროს მხარი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც კარიერული ზრდის წინაპირობაა.

გამოცდილების გაზიარება და ლიდერობა: სკოლა სტიმულს აძლევს პედაგოგებს, გახდნენ შიდა ტრენერები და ფასილიტატორები, რაც მკაფიოდ ჩანს კათედრების თვითშეფასების პროცესში, სადაც ლიდერი მასწავლებლები წარმართავენ ხარისხის გაუმჯობესების პროცესს.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში პერსონალთან გამართული გასაუბრებით დადასტურდა, რომ თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან კარიერული წინსვლის შესაძლებლობების შესახებ და გრძნობენ ადმინისტრაციის მხარდაჭერას ამ მიმართულებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციისა და ადაპტაციის ეფექტიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს ახალი კადრების სწრაფ ჩართვას სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში. ინტეგრაციის პროცესი ეყრდნობა პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულ ინდუქციის მექანიზმებს, რაც მოიცავს ახალი თანამშრომლისთვის სკოლის შინაგანაწესის, მისიის, ღირებულებებისა და სტრუქტურული მოწყობის გაცნობას. სამუშაო გარემოსთან შეგუების პროცესს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ფუნქციების მკაფიო გადანაწილება და საკვალიფიკაციო მოთხოვნების წინასწარი განსაზღვრა (ბრძანება №2-17), რაც დასაქმებულს აძლევს მკაფიო წარმოდგენას საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობებზე. პერსონალის ინტეგრაცია ასევე ხორციელდება მათი ჩართვით სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში, რაც ხელს უწყობს კოლეგიური კავშირების დამყარებასა და გუნდური მუშაობის პრინციპების ათვისებას. ადმინისტრაციასთან და პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში არსებული ორგანიზაციული კულტურა ორიენტირებულია ახალი თანამშრომლების მხარდაჭერაზე, რაც ამცირებს ადაპტაციის პერიოდს და ზრდის შრომის ნაყოფიერებას

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში პერსონალის ინიციატივების წახალისება სისტემური ხასიათისაა და დასტურდება როგორც მეთოდოლოგიური დოკუმენტებით, ისე ვიზიტისას იდენტიფიცირებული პრაქტიკული მაგალითებით. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაცია მზად არის განიხილოს და დააფინანსოს ნებისმიერი იდეა, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე, რაც პრაქტიკულად რეალიზდა ბრძანება №2-131-ით დამტკიცებული „თანამშრომელთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმით“. აღნიშნული მექანიზმი თანამშრომლებს აძლევს გარანტიას, რომ მათი ხედვები პოულობს ადმინისტრაციულ, სივრცით და ფინანსურ მხარდაჭერას.

პერსონალის აზრის გათვალისწინებისა და ინიციატივების რეალიზების დასტურდება შემდეგი ფაქტებით:
-ვიზიტისას დადასტურდა ხელოვნების მასწავლებლის ინიციატივა სასკოლო სივრცის (კედლების) მოხატვასთან დაკავშირებით, რაც სკოლამ არა მხოლოდ მოიწონა, არამედ უზრუნველყო საჭირო მასალებითა და დროით. ასევე, პროექტების ნუსხაში (2025 წ.) ფიქსირდება პედაგოგთა ინდივიდუალური წამოწყებები, როგორიცაა პროექტები ბგერის ფიზიკაზე და „ჩვენი მომავლის სკოლა“, რაც მასწავლებელთა ავტონომიურობისა და კრეატიულობის აღიარებაზე მიუთითებს;
-სკოლაში საკლუბო მუშაობისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები წახალისებული და განხორციელებულია;
-პედაგოგიური საბჭოს №6 ოქმი ადასტურებს, რომ სტრატეგიული გეგმის განხილვისა და საათობრივი დატვირთვის გადანაწილებისას პერსონალის მიერ გამოთქმული არგუმენტირებული მოსაზრებები პირდაპირ აისახება საბოლოო გადაწყვეტილებებში. ეს პრაქტიკა ემთხვევა თვითშეფასების ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც სკოლა ორიენტირებულია მონაწილეობით მართვაზე;
-სკოლა პერსონალის მოთხოვნის საფუძველზე ახდენს ფინანსური რესურსის მობილიზებას (2025 წლის ბიუჯეტი, მუხლი 22104) და ქმნის სპეციალურ სამუშაო სივრცეებს, რაც პერსონალის მიერ გამოკითხვებისას დასახელებული საჭიროება იყო. ეს ყოველივე ქმნის გარემოს, სადაც პერსონალი თავს აღიქვამს ცვლილებების აქტიურ მონაწილედ, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ პროფესიულ პასუხისმგებლობასა და მოტივაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-131 „თანამშრომელთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-17 „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;
- 2025 წლის განხორციელებული პროექტების ნუსხა (21 პედაგოგის ინდივიდუალური ინიციატივა);
- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №6 (საბიუჯეტო პრიორიტეტებისა და საჭიროებების განხილვა);
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები №1, №6 და №7 (საპროექტო სამუშაოების, დატვირთვებისა და პერსონალის განვითარების განხილვა);
- კათედრების თვითშეფასების ინსტრუმენტები და პედაგოგთა რეფლექსიის ფორმები;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-27 „ვერიფიკატორთა გუნდის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-37 „ინტერვენციის გეგმების დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-56 და №2-57 „პერსონალის პირადი საქმეებისა და საქმის წარმოების მონიტორინგის შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-124 „სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-61 „ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დირექტორის ბრძანებით (№2-05) დამტკიცებულ „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“. დოკუმენტში გაწერილი პროცესების რუკები (სქემა 4 და 5) ადასტურებს, რომ მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი ციკლის (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე) პრინციპით.
ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის პრაქტიკული რეალიზება სკოლის საქმიანობაში ვლინდება შემდეგი ეტაპებით:
დაგეგმვა : კონცეფციის თანახმად, სკოლა გეგმავს სწავლა-სწავლების პროცესს მონაცემების ანალიზის საფუძველზე.
დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულია ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები (მაგ. ვერიფიკატორთა გუნდის დებულება).
განხორციელება: საგანმანათლებლო პროცესი და სკოლის პროექტები (მაგ. 2025 წლის პროექტების ნუსხა) მიმდინარეობს დადგენილი პრიორიტეტების შესაბამისად, სადაც თითოეული რგოლი (კათედრა, ადმინისტრაცია) ასრულებს თავის ფუნქციას.
შემოწმება: კონცეფციაში მოცემული „ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების რუკა“ ითვალისწინებს მონაცემთა შეგროვებასა და კვლევას. პრაქტიკაში ეს ხორციელდება ვერიფიკატორთა გუნდის მიერ შეფასების სისტემის შემოწმებით, საჭიროებების კვლევით, კათედრების სემესტრული შეფასებებითა და შიდა მონიტორინგით.
ცვლილებები: პროცესების რუკის თანახმად, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, სტრუქტურული ერთეულები (კათედრები, საბჭოები) იღებენ გადაწყვეტილებებს ცვლილებების შესახებ. ამის მაგალითია „ინტერვენციის გეგმები“ (ბრძანება №2-37), რომლებიც სწორედ გამოვლენილი აცდენების საპასუხოდ შემუშავდა.
კონცეფცია ხაზს უსვამს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა ემსახურება სკოლის მისიას და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, რაც ხელს უწყობს სკოლაში ხარისხის კულტურის დანერგვასა და მართვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანი წარმართვის მიზნით იდენტიფიცირებული და სტრუქტურირებულია ყველა მნიშვნელოვანი პროცესი. „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში“ წარმოდგენილი პროცესების რუკები (სქემა 4 და სქემა 5) ადასტურებს, რომ სკოლაში გამიჯნულია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე ფუნქციები. პროცესების აღწერილობა მოიცავს შემდეგ დონეებს:

მმართველობითი პროცესები: მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმვას, ხარისხის პოლიტიკის განსაზღვრასა და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებს. კონცეფციის თანახმად, მმართველობითი რგოლი (ადმინისტრაცია, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები) უზრუნველყოფს მონაცემთა ანალიზის საფუძველზე სკოლის განვითარების ვექტორის განსაზღვრას.

ძირითადი პროცესები: ეს არის უშუალოდ სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც აღწერილია „პროცესების რუკა ა“-ში (სქემა 4). იგი მოიცავს სასწავლო გეგმის შემუშავებას, სწავლებას, შეფასებას და შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. ამ პროცესის მთავარი მონაწილეები არიან კათედრები და პედაგოგები.

დამხმარე პროცესები: იდენტიფიცირებულია ის პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ მიმდინარეობას. ესენია: ადამიანური რესურსების მართვა (ბრძანება №2-56), მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურება (ბრძანება №2-18), საქმისწარმოება და პერსონალურ მონაცემთა დაცვა (ბრძანება №2-16).

პროცესების ასეთი დეტალური აღწერა და ურთიერთკავშირი უზრუნველყოფს საქმიანობის გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილებას. ვიზიტისას დადასტურდა, რომ პერსონალი პროცესების რუკების შესაბამისად მოქმედებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციულ წესრიგსა და ხარისხის სტაბილურობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში დანერგილია საჩივრებისა და განცხადებების განხილვის სისტემა, რომელიც სამართლებრივად გამყარებულია დირექტორის ბრძანებით №2-130 და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის - თანამშრომლებისთვის, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს საჩივრის განხილვის ციკლს, რომელიც მოიცავს რეგისტრაციას (1-3 სამუშაო დღე) და შინაარსობრივ შესწავლას 4-15 სამუშაო დღის ვადაში, რაც პროცესის ოპერატიულობასა და დროულობას განაპირობებს. სისტემა ორიენტირებულია ობიექტურობასა და კონფიდენციალურობაზე, სადაც საჩივრის განხილვის მთავარი მიზანი ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრაა, რაც ავტომატურად გულისხმობს მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენციას. საჭიროების შემთხვევაში, მექანიზმი ითვალისწინებს საკითხის გადამისამართებას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში, როგორიცაა დისციპლინური კომიტეტი ან სამეურვეო საბჭო, რაც უზრუნველყოფს მხარეთა უფლებების დაცვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამართლიანობის პრინციპის განმტკიცებას

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები, რაც სამართლებრივად რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და მობილობის წესით (ბრძანება №2-20) და სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის უფლება-ვალდებულებებს, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტს (ბრძანება №2-16), რაც უზრუნველყოფს პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობას. უფლებების დაცვის პრაქტიკულ გარანტიას წარმოადგენს საჩივრებისა და განცხადებების განხილვის სისტემა (ბრძანება №2-130), რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას, დაიცვას საკუთარი ინტერესები დადგენილ ვადებში. ამ მექანიზმების საზოგადოებისთვის გაცნობა და ხელმისაწვდომობა დასტურდება როგორც მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, ისე პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმებით, სადამრიგებლო საათების შინაარსითა და სკოლის შიდა ნორმატიული აქტების საჯაროობით, რაც საერთო ჯამში ქმნის სამართლებრივად დაცულ და ნდობაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-05 და დანართი №1 „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-130 და დანართი №1 „განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-27 „ვერიფიკატორთა გუნდის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-24 „ინტერვენციის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-37 „საშუალო საფეხურზე ინტერვენციის გეგმების დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-124 „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-20 „მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-16 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“;

- სკოლის შინაგანაწესი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები (მაგ. №6);
- კათედრების თვითშეფასების ინსტრუმენტები და სემესტრული ანალიზის ოქმები;
- სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- 2025 წლის პროექტების ნუსხა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში ჩამოყალიბებულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მრავალფეროვანი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესების გამჭვირვალობას. ინფორმაციის გავრცელება და უკუკავშირის მიღება ხორციელდება როგორც ინსტიტუციურ დონეზე, ისე ინდივიდუალური კომუნიკაციის არხებით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის თანახმად, სკოლა იყენებს სისტემურ კვლევებს დაინტერესებული მხარეების (მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები) კმაყოფილების დასადგენად. აღნიშნული კვლევების შედეგები წარმოადგენს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს. სკოლაში მოქმედებს მშობელთა ინფორმირების მკაფიო წესი, რომელიც მოიცავს პირად შეხვედრებს (დაგეგმილი გრაფიკით თვეში ერთხელ, დაუგეგმავი გრაფიკით კვირაში ერთხელ - პარასკევ დღეს შეუძლია მშობელს მისვლა სკოლაში მასწავლებლებთან ზოგადი გასაუბრების მიზნით), სატელეფონო/მოკლე შეტყობინებებს ოპერატიული საკითხებისთვის, ელექტრონულ კომუნიკაციას ჟურნალისა და კლასის ჯგუფების მეშვეობით. სკოლას დანერგილი აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (ბრძანება №2-130), რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, მიიღოს პასუხი მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. სისტემა ორიენტირებულია ხარვეზების გამოვლენასა და მათზე დროულ რეაგირებაზე. პედაგოგიური საბჭოს ოქმები (მაგ. №6) ადასტურებს, რომ სკოლის მართვის პროცესში, როგორიცაა სასწავლო გეგმის შემუშავება და საათობრივი დატვირთვის განაწილება, აქტიურად არიან ჩართული კათედრები და პედაგოგები. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას საინფორმაციო დაფების, მონიტორისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, სადაც განთავსებულია გასაჩივრებისა და ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ მშობლები და პერსონალი ფლობენ ინფორმაციას უკუკავშირის მექანიზმების შესახებ და სკოლა ახდენს ადეკვატურ რეაგირებას მიღებულ ინფორმაციაზე, რაც ხელს უწყობს ნდობაზე დაფუძნებული გარემოს შენარჩუნებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ჩამოყალიბებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მართვის პროცესებში ჩართულობის მექანიზმები, სადაც მართვა ხორციელდება კოლეგიურობის პრინციპით და უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურ მონაწილეობას. მოსწავლეთა ჩართულობა სამართლებრივად რეგულირდება დირექტორის ბრძანებით №2-14 დამტკიცებული „თვითმმართველობის დებულებით", რომელიც განსაზღვრავს მათ როლს სასკოლო ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პერსონალის მონაწილეობა ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს ფორმატში, სადაც კენჭისყრის საფუძველზე მტკიცდება სასწავლო გეგმა, საათობრივი დატვირთვა და საგნობრივი კურიკულუმები, ასევე მათი ჩართულობით ფუნქციონირებს შიდა მონიტორინგისა და ვერიფიკატორთა სპეციალური სამუშაო ჯგუფები. მშობელთა ჩართულობა გარანტირებულია სამეურვეო საბჭოს მუშაობითა და ინფორმირების სპეციალური წესით, რაც ხელს უწყობს სკოლასა და ოჯახს შორის მჭიდრო თანამშრომლობას. სასკოლო ცხოვრების დინამიკურობას დამატებით განაპირობებს პერსონალის მიერ ინიცირებული 21-ზე მეტი საპროექტო აქტივობა, რომლებშიც მოსწავლეები და პედაგოგები გუნდურად არიან ჩართულნი საერთო მიზნების მისაღწევად. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ კოლეგიური ორგანოების მუშაობა არის რეალური და ეფუძნება მხარეთა პოზიციების გათვალისწინებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება №2-14 სკოლის თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი №6 მართვის ორგანოების ფორმირება და გეგმების დამტკიცება;
- თანამშრომელთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი - ბრძანება №2-131.
- 2025 წლის განხორციელებული პროექტების ნუსხა;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია (დაინტერესებული მხარეების სქემა);
- 2025 წლის განხორციელებული პროექტების ნუსხა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება: სკოლის შენობაში შესვლა-გასვლა კონტროლდება მკაცრად, რისთვისაც ფუნქციონირებს რეგისტრაციის ჟურნალი, სადაც ფიქსირდება ყველა შემომსვლელის ვინაობა და მიზანი. ტერიტორიის ფიზიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი, რომლის ფუნქციებია პერიმეტრის მონიტორინგი დაწესრიგის დაცვაა. ამასთან, საგანმანათლებლო პროცესის პარალელურად, დერეფნებსა და რეკრეაციულ ზონებში სისტემურად ხორციელდება მასწავლებელთა მორიგეობა, რაც გამორიცხავს მოსწავლეთა მეთვალყურეობის გარეშე დატოვებას და უზრუნველყოფს დისციპლინის დაცვას. სკოლაში დანიშნულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის უფლებამოსილებები და ფუნქციები შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების უსაფრთხოების სტანდარტებს. მიმდინარე წლის გაზაფხულზე აღნიშნულ პოზიციაზე განხორციელებული საკადრო ცვლილების კვალდაკვალ, სკოლამ მიმართა სამინისტროს პასუხისმგებელი პირის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით. ამავდროულად,

დანიშნულია თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია უკონტაქტო დათვალიერებაზე. სკოლაში ძალადობისა და რისკების პრევენციისთვის დანიშნულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N 2-77). ეს პირი უზრუნველყოფს მოსწავლის მიმართ ძალადობის ან სხვა სახის საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი რეფერირების პროცედურების დაცვას, შესაბამის უწყებებთან (პოლიცია, სოციალური სამსახური) კოორდინირებულ მუშაობას და თითოეული შემთხვევის დოკუმენტირებას, რაც სრულ შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებს (ბრძანება N 2-16 და დანართი N1), რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა და პერსონალის მონაცემების კონფიდენციალურობას. ამ მიზნით, რესურსცენტრიდან გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფებზე. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებითა და სხვა შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, რომელიც განთავსებულია სკოლის შენობის პირველ სართულზე სპეციალურ დაფაზე. ცეცხლმაქრები განთავსებულია სკოლის შენობის სამივე სართულზე. შენობის სამივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112) და საევაკუაციო გეგმა, გაკრულია გასასვლელების მიმართულებით ისრების პოსტერები. სკოლაში წესრიგის დაცვისა და სხვათა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, ხორციელდება თამბაქოს მოხმარების მონიტორინგი, შენობის ორივე სართულზე გამოკრულია თამბაქოს აკრძალვის პოსტერები. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სკოლის დარაჯებთან და დამლაგებლებთან. სკოლაში არ მუშაობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **რჩევა: სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალიტი.**

სკოლის ძირითადი შენობის მესამე სართულის რამდენიმე მონაკვეთში წვიმის დროს ფიქსირდება წყლის ჩამოსვლა. სკოლის დირექცია აქტიურად ახორციელებს პრობლემის აღმოსაფხვრელ ღონისძიებებს (მათ შორის წყალი რა ნაწილშიც ჩამოდის იმ მონაკვეთში შენობის შიგნით შეკიდული ჭერის/„ამსტრონგის“ ჭერის ფილების დროებით დემონტაჟს უსაფრთხოების მიზნით), სკოლის სახსრებით დაზიანებული სახურავის მონაკვეთების შეკეთებას და ინტენსიურად თანამშრომლობს შესაბამის უწყებებთან პრობლემის სრულფასოვანი აღმოფხვრისათვის. აღნიშნული გარემოება ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მხრიდან ყურადღებით დათვალიერდა და შესწავლილ იქნა. სკოლის შენობის მესამე სართულის სივრცეები სადაც წყალი სახურავიდან წვიმის დროს წვეთავს არ გამოიყენება სასწავლო პროცესში, ამიტომ ამ ეტაპზე არ წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებისთვის ფიზიკურ საფრთხეს. თუმცა ადმინისტრაცია თავადვე ასახელებს პრობლემის მოგვარების ადგილობრივ/სასკოლო და სკოლის გარედან მოსაძიებელი რესურსების აქტივობების საჭიროებას, რათა შენობის ლოკალურმა პრობლემამ მომავალში არ გამოიწვიოს უსაფრთხოების რისკების ზრდა. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მხრიდან აღიწერა ხარვეზი, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი შენობის მესამე სართულზე ფიქსირდება სახურავის დაზიანება, რაც ნალექის დროს იწვევს შენობაში წყლის ინფილტრაციას. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ხარვეზი ასახა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და მიმართა ქალაქის თვითმმართველობას რის შედეგადაც სკოლა ჩასმულია რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ 2026 წლისთვის პრიორიტეტულად

განსაზღვრული სკოლების ნუსხაში, რომლებიც რეალურად საჭიროებენ გადაუდებელი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას. **რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ძირითადი შენობის მესამე სართულზე ნალექის დროს შენობაში წყლის ინფილტრაციის პრობლემის მოგვარების მიზნით უზრუნველყოს სახურავის რეაბილიტაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 1 ოქტომბრისა.**

სკოლის ძირითადი შენობის (საკადასტრო კოდი N 29.05.35.779) მიმდებარე ტერიტორია კაპიტალურად არის შემოღობილი. სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში განთავსებული სასწავლო შენობის (საკადასტრო კოდი N 29.05.38.751) ეზო, რომელიც დიდ გაშლილ სივრცეს წარმოადგენს, მხოლოდ ნაწილობრივაა შემოსაზღვრული. სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს ეზოს სრულად შემოღობვისთვის საჭირო რესურსების მოსაპოვებლად; კერძოდ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობით უკვე გაგზავნილია შესაბამისი მიმართვები კომპეტენტურ ორგანოებთან, რაც ადასტურებს ადმინისტრაციის მიზანმიმართულ ძალისხმევას სასკოლო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მოსწავლეთა უსაფრთხოების დასაცავად, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებელთა მიერ ხორციელდება სისტემური მორიგეობა, რაც გამორიცხავს მოსწავლეთა მეთვალყურეობის გარეშე დარჩენას. ავტორიზაციის თვითშეფასების წარმოდგენისას სკოლამ ეზოს შემოღობვის საჭიროება დააფიქსირა „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“, თუმცა აღნიშნულ გეგმაში ინდიკატორის არასწორი იდენტიფიკაციის გამო, საკითხი შეფასდა ხარვეზად, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის (საკადასტრო კოდი N 29.05.38.751) ეზო არ არის სრულად შემოღობილი. თუმცა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ ხარვეზი ასახა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ასევე სკოლის მიერ განხორციელდა მიმართვა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასთან, ეზოს შემოღობვის თაობაზე. **რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის (საკადასტრო კოდი N 29.05.38.751) სრული შემოღობვა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.**

სკოლაში ამ ეტაპზე არ მუშაობს მანდატურის სამსახური, თუმცა სკოლამ წარმოადგინა კორესპონდენცია, რომლის მიხედვითაც სკოლამ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს და მიიღო დადებითი პასუხი სკოლაში აღნიშნული სამსახურის შემოსვლასთან დაკავშირებით. ამასთან, სკოლას არ გააჩნია სრულყოფილი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, რაც საფრთხეს უქმნის უსაფრთხოების სტანდარტების ეფექტიან დაცვას. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დასკვნის პროექტში აღიწერა ხარვეზი, რომ სკოლის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა არასრულყოფილია - კერძოდ, კამერები დამონტაჟებულია მხოლოდ ძირითადი შენობის მესამე სართულზე, ხოლო დანარჩენი შიდა სივრცეები, გარე პერიმეტრი და მე-2 უბნის დასახლებაში არსებული შერწყმული სკოლა მოკლებულია ვიდეომონიტორინგს; არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ ხარვეზი ასახა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ასევე პრობლემის მოგვარების მიზნით სკოლის მიერ განხორციელდა მიმართვა განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტორსთან. **რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის**

სრულყოფა, რაც მოიცავს როგორც ძირითადი შენობის შიდა სივრცეებისა და გარე პერიმეტრის, ისე მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის (საკადასტრო კოდი N 29.05.38.751) სრულ ვიდეომონიტორინგს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა;

სკოლამ ავტორიზაციის ვიზიტის მიმდინარეობისას წარმოადგინა შესაბამისი კორესპონდენცია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლამ დაიწყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების პროცედურები და მხარეებს შორის მიმდინარეობს კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტაცია მიუთითებს ადმინისტრაციის მიერ გადადგმულ ქმედით ნაბიჯებსა და უსაფრთხოების სტანდარტების დასაკმაყოფილებლად დაწყებულ სამუშაო პროცესზე, თუმცა ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში შეფასდა როგორც ხარვეზი, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ოფიციალურად შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ დაძლია ხარვეზი, კერძოდ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ოფიციალურად შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (რომელიც მოიცავს როგორც ძირითად შენობას ასევე შერწყმული სკოლის შენობას).

საგანმანათლებლო დაწესებულებამ 2026 წლის 26 მარტს ოფიციალურად მიმართა სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს , რათა დადგინდეს სკოლის შენობების (ძირითადი შენობა 2802 კვ.მ. და სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული შენობა 158.03 კვ.მ.) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღსანიშნავია, რომ სკოლას გააჩნია 2021 წლის 2 ივლისის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტი N89 , რომელშიც გაწერილია არაერთი შეუსრულებელი რეკომენდაცია: საჭიროა სახანძრო სატუმბი სადგურის მოწყობა , არანაკლებ 54-ტონიანი წყლის რეზერვუარის უზრუნველყოფა (არსებული 10-ტონიანი სისტემა არ შეესაბამება მოთხოვნებს) , დახურული კიბის უჯრედების კარების ცეცხლმედეგი კარებით ჩანაცვლება , ავტოსაშხეფი სისტემის (სპრინკლერების) დამონტაჟება ვინაიდან ფართობი აღემატება 1200 კვ.მ-ს , და საევაკუაციო გეგმების გამოკვრა. რეკომენდაციები ეხება მხოლოდ ძირითად შენობას, არ აქვს განსაზღვრული შესრულების ვადები და დღემდე ძირითადი რეკომენდაციები არ არის შესრულებული, ხოლო სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული შენობა საერთოდ არ ფიგურირებს ძველ დოკუმენტაციაში. სკოლის მიერ მიმართვა სააგენტოსადმი 2026 წლის მარტში ეხება სკოლის ორივე შენობას, ამიტომ მე-2 უბანის დასახლებაში არსებულ შენობაზე (რადგან აქამდე შემოწმების აქტში არაფერი ფიქსირდება აღნიშნულ ნაგებობაზე) მიმართვის არსებობა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. ავტორიზაციის ვიზიტისას საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითად შენობაზე ინდიკატორი შეფასდა როგორც ხარვეზი: საგანმანათლებლო დაწესებულებას, ძირითადი შენობის ნაწილში, არ გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა, ვინაიდან 2021 წლის 2 ივლისის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტით (N89) გაწერილი რეკომენდაციები დღემდე შეუსრულებელია; არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ აღნიშნული პრობლემის მოგვარების უკვე განხორციელებულ აქტივობების მტკიცებულებებად წარმოადგინა

კორესპონდენციები, სადაც ჩანს რომ სკოლა, სახანძრო უსაფრთხოების ხარვეზების აღმოსაფხვრელად, აქტიურად თანამშრომლობს რესურსცენტრსა და რეგიონული განვითარების სამინისტროსთან ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად. შეუსაბამობა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ამიტომ სკოლას მიეცეს **რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს ძირითადი შენობის სახანძრო უსაფრთხოების სისტემების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან, რაც გულისხმობს 2021 წლის 2 ივლისის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტით (N89) გაწერილი რეკომენდაციების შესრულებას და შესაბამისი დადებითი დასკვნის მოპოვებას, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.**

სკოლამ, ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2026 წლის 22 იანვარს მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობების მდგრადობის დასკვნის მომზადების თაობაზე. კვლევა მოიცავდა როგორც ძირითადი სკოლის შენობას (საკადასტრო კოდი N 29.05.35.779), ისე მასთან შერწყმული მე-2 უბნის დასახლების დაწყებითი სკოლის შენობას (საკადასტრო კოდი N 29.05.38.751). ვინაიდან ექსპერტიზის მომსახურების ღირებულება (დაახლოებით 4200 ლარი) აღემატებოდა სკოლის ფინანსურ შესაძლებლობებს, სკოლამ 2026 წლის 10 თებერვალს შუამდგომლობით მიმართა ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რათა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხრიდან უზრუნველყოფილიყო შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ უარი განაცხადა დაფინანსებაზე, ვინაიდან ადგილობრივ ბიუჯეტში აღნიშნული მიზნობრივი ხარჯი გათვალისწინებული არ არის. სკოლის დირექციასთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლა კვლავ აპირებს შუამდგომლობით მიმართვას, თუმცა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული გარემოება შეფასდა როგორც ხარვეზი: საგანმანათლებლო დაწესებულებას არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და მდგრადობის დამადასტურებელი ოფიციალური დასკვნა, რაც ვრცელდება როგორც ძირითად, ისე სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული დაწყებითი სკოლის შენობაზე. არგუმენტირებული პოზიციის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის დირექცია მიმართავს საქართველოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული შერწყმული დაწყებითი სკოლის შენობის (საკადასტრო კოდი: 29.05.38.751) მდგრადობის დოკუმენტის მომზადების თაობაზე, რაც მეტყველებს სკოლის მხრიდან პრობლემის აღმოსაფხვრელად აქტიურ მუშაობაზე. ასევე სკოლამ შეუსაბამობა გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. დაწესებულებას მიეცეს **რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და მდგრადობის დამადასტურებელი ოფიციალური დასკვნის მოპოვება, რაც უნდა ფარავდეს როგორც ძირითად შენობას, ისე სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ დაწყებითი სკოლის შენობას, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2027 წლის 1 ოქტომბრისა;**

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის №2-18 ბრძანებით), რომელიც არეგულირებს სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს საჯარო სკოლაში პირველადი დახმარების გაწევის წესებსა და პროცედურებს. დოკუმენტის ძირითადი შინაარსი მოიცავს: პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტებისა და ქმედებების განსაზღვრას ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად; კონკრეტული სამედიცინო მანიპულაციების აღწერას; სააღრიცხვო ფორმებს (მაგ.,სამედიცინო მომსახურების აღსაწერად ფორმები, სადაც ფიქსირდება პაციენტის ვინაობა, სტატუსი, მომართვის თარიღი და დრო და ა.შ.)

სკოლის ძირითადი შენობა (საკადასტრო კოდი N 29.05.35.779): სკოლაში მოწყობილია ექიმის კაბინეტი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა, რომ კაბინეტში რიგი მედიკამენტები არ იყო განთავსებული; თუმცა, სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 7 აპრილის შესყიდვის დამადასტურებელი ინვოისი (რომელშიც სწორედ ის მედიკამენტებია ასახული რაც სამედიცინო კაბინეტს აკლდა), რომელიც ცხადყოფს, რომ ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს სამედიცინო კაბინეტის მედიკამენტებითა და აუცილებელი რესურსებით მომარაგებას/განახლებას;

სკოლის სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული დაწყებითი სკოლის შენობაში (საკადასტრო კოდი N 29.05.38.751)

ამ ეტაპზე არ არის მოწყობილი სამედიცინო კაბინეტი ან პუნქტი, რაც არ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. სკოლის ადმინისტრაციას აღნიშნული ხარვეზი იდენტიფიცირებული აქვს თვითშეფასების პროცესში და, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, 2026 წლის 5 თებერვალს წერილობით (N MES 3 26 0000119469) მიმართა ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. წერილში სკოლა ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული სივრცის არარსებობა წარმოადგენს ავტორიზაციის პირობების შეუსრულებლობას, რაც საფრთხეს უქმნის სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას, და ითხოვს ცენტრალურ მხარდაჭერას კაბინეტის მოსაწყობად საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად. სკოლის დირექციასთან გასაუბრებითა და შენობის დათვალიერებით დგინდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია ფიზიკური სივრცე სამედიცინო კაბინეტის მოსაწყობად და შესაბამისი თანხმობაც. რადგან აღნიშნული გარემოება, ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში არ არის ასახული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც ხარვეზი: სკოლის სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული დაწყებითი სკოლის შენობაში არ ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი ან პუნქტი.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას აღნიშნული ხარვეზი სკოლამ ასახა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, ამასთან სკოლა მე-2 უბანში არსებულ შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობის საკითხზე აქტიურად მუშაობს - საგანმანათლებლო დაწესებულებამ განახორციელა თხოვნა განათლების მეცნიერებისა და ახლაგაზრდობის სამინისტროსთან

შეუსაბამობის აღმოფხვრისთვის. **რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული დაწყებითი სკოლის შენობაში (საკადასტრო კოდი N 29.05.38.751) სამედიცინო კაბინეტის/პუნქტის მოწყობა და ფუნქციონირება, რომელიც აღჭურვილი იქნება მოქმედი სტანდარტების შესაბამისი მატერიალური რესურსით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, აქტივობის განხორციელების დაწყების თარიღიდან (2026 წლის 1 ოქტომბრიდან) ერთი წლის ვადაში - არაუგვიანეს 2027 წლის 10 ოქტომბრისა**

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალს წარმოდგენილი დოკუმენტის (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი, 2010 წ.) თანახმად მინიჭებული აქვს „დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი სამკურნალო საქმის სპეციალობით“, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ ადასტურებს სახელმწიფო სერტიფიკატის ფლობას ისეთ სპეციალობებში, როგორებიცაა „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“ ან „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“, რაც სავალდებულოა სკოლაში დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის განსახორციელებლად. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა ხარვეზი: სკოლაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (№41/ნ; №01-23/ნ, 2022) დადგენილ მოთხოვნებს. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყობს, რომ სკოლის მიერ უკვე ორჯერ გამოცხადდა კონკურსი სკოლის ექიმის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად და ორჯერვე ჩაიშალა, რადგან არცერთი განაცხადი არ დარეგისტრირებულა ვაკანსიის განთავსების ადგილზე - www.teachers.jobs.ge -ზე. სკოლას შეუსაბამობა გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაშიც.
რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალის დასაქმება, რაც გულისხმობს ისეთი კადრის შერჩევას, რომლის კომპეტენცია და აკადემიური ხარისხი სრულად პასუხობს „სკოლაში სამედიცინო პუნქტის ფუნქციონირების წესისა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის მიმართ წაყენებული მოთხოვნების“ სტანდარტებს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.
რჩევა: სკოლის ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე კვალიფიციური კადრის მოზიდვისა და კონკურენციის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია, სპეციალიზებულ პორტალზე (www.teacherjobs.ge) განთავსებულ განცხადებასთან ერთად, სკოლამ გამოიყენოს ვაკანსიების მართვის სხვა ელექტრონული პლატფორმებიც (მაგალითად, www.hr.gov.ge). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს

ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელებას სამედიცინო სფეროს პროფესიონალთა შორის და ხელს შეუწყობს ვაკანტური პოზიციის ოპერატიულად შევსებას შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტით.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის შინაგანაწესისა და თვითშეფასების დოკუმენტაციის საფუძველზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სისტემა სკოლაში მოიცავს როგორც ფიზიკური უსაფრთხოების მონიტორინგს, ისე დისციპლინური ჩარჩოს მკაცრ დაცვას. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად განსაზღვრულია წესრიგის დამრღვევთა მიმართ რეაგირების მექანიზმები, რაც მაგ., დასტურდება მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირების გამოყოფით (ბრძანება N 2-76). უსაფრთხოების მონიტორინგი ასევე მოიცავს მასწავლებელთა სისტემურ მორიგეობას დერეფნებსა და რეკრეაციულ ზონებში, რაც სკოლის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, წარმოადგენს უსაფრთხოების პრევენციული ღონისძიებების განუყოფელ ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ მანდატურის სამსახური ამ ეტაპზე ფიზიკურად არ მუშაობს, სკოლის ადმინისტრაციამ მოიპოვა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ოფიციალური დადებითი პასუხი, რაც წარმოადგენს თვითშეფასების პროცესში იდენტიფიცირებული უსაფრთხოების გაძლიერების მთავარი გამოწვევის გადაჭრის გზას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სისტემა ასევე ეყრდნობა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს“ (ბრძანება N 2-77), რომელიც სკოლას ავალდებულებს ძალადობის ნებისმიერი ფაქტის მყისიერ და კანონიერ რეაგირებას, რაც ინტეგრირებულია სკოლის შიდა ინსტრუქციებში და უზრუნველყოფს გარემოს დაცულობას კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც სისტემატიურად ფუნქციონირებს. სკოლაში, სართულებზე განთავსებულია მანდატურის სამსახურის, 112-ის, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის და სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონის ნომრები. სასკოლო საზოგადოებაში სისტემატურად ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები, სადამრიგებლო საათები და პროექტები ისეთ თემებზე, რომელიც ეხება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლის დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის ბრძანებით (N 2-08)

დამტკიცებულია „ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი“. აღნიშნული მექანიზმი განსაზღვრავს იმ კონკრეტულ ნაბიჯებსა და პრინციპებს, რომლებსაც სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ უსაფრთხო გარემოს შექმნა გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ემოციურ უსაფრთხოებას, რისთვისაც სკოლა იყენებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მყარ პროცედურებს. ბრძანება N 2-77-ის საფუძველზე, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (დირექტორის მოადგილე), რომელიც უზრუნველყოფს ძალადობის ნებისმიერი ფორმის აღმოჩენას, რეაგირებასა და კანონმდებლობით დადგენილი წესით მოქმედებას, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის უწყებებთან კოორდინაციას. სკოლის თვითშეფასების ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ სასკოლო გარემოს ემოციური უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული პედაგოგებისა და მშობლების თანამშრომლობასთან, რაც დასტურდება მშობელთა ინფორმირების წესით და ურთიერთპატივისცემის პრინციპების დაცვით. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსწავლეთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები. ამასთან, გასაუბრების პროცესში სკოლა ადასტურებს, რომ დანერგილი მექანიზმები და პროცედურები ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების დაცვას და ქმნის მხარდამჭერ, უსაფრთხო გარემოს სწავლისა და განვითარებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა მოიცავს ადმინისტრაციულ, ინფრასტრუქტურულ და მონიტორინგის კომპონენტებს. სკოლის შენობებში დაცულია სისუფთავე და ჰიგიენის სტანდარტები, რაც დასტურდება როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ისე სათანადო დოკუმენტური მტკიცებულებებით. დასუფთავების პროცესს უზრუნველყოფს 3 დამლაგებელი, რომლებთანაც გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს მათ კონკრეტულ ფუნქცია-მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას. სკოლაში თითოეულ სართულზე მოწყობილია გენდერულად გამიჯნული საპირფარეშოები, ხოლო პირველ სართულზე ფუნქციონირებს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილები, რაც უზრუნველყოფს გარემოს ინკლუზიურობას. საპირფარეშოები აღჭურვილია წყლის, განათებისა და განიავების მუდმივი წყაროებით, ასევე ჰიგიენის დაცვის აუცილებელი საშუალებებით (ქაღალდი, თხევადი საპონი, ერთჯერადი ხელსახოცები, დახურული ნარჩენების კალათები). სკოლაში გამოკრულია დასუფთავებისა და მონიტორინგის განრიგი, რაც მიუთითებს პროცესის სისტემურობაზე. სათავსოებში ხდება დასუფთავების ხსნარებისა და ინვენტარის უსაფრთხო, მარკირებული შენახვა, რაც გამორიცხავს მათ არასწორ გამოყენებას. ნარჩენების მართვა ხორციელდება სატერფულიანი ურნების მეშვეობით, რაც შეესაბამება ჰიგიენის სტანდარტებს. საკლასო ოთახები და სხვა შიდა სივრცეები უზრუნველყოფილია ბუნებრივი (ფანჯრები, რომლებიც იხსნება) და სკოლის ცენტრალური

ვენტილაციით. სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ, შეზღუდული წვდომის სივრცეში, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებას. სკოლა დაკავშირებულია ცენტრალურ წყალმომარაგების სისტემასთან და დამატებით უზრუნველყოფილია წყლის რეზერვუარით, რაც სკოლაში წყლის უწყვეტი მიწოდების გარანტიას ქმნის.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას, რითაც გარანტირებულია სასკოლო საზოგადოების კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოება. სკოლის დირექტორის ბრძანებით (N 2-16) დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების მიზნები, პრინციპები და წვდომის უფლებამოსილებები. სკოლის მოსწავლეებისა და დასაქმებული პირების პერსონალურ მონაცემებზე წვდომა მკაცრად განსაზღვრულია და აქვს მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირებს. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება ადმინისტრაციის ოთახში, სპეციალურად დაცულ და ჩამკეტ კარადაში, რომლის გასაღები ჩაბარებული აქვს პასუხისმგებელ პირს, ხოლო საარქივო მასალები განთავსებულია სათანადოდ დაცულ სივრცეში. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების შესრულებას. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ; სკოლას მიღებული აქვს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების წერილობითი თანხმობა ფოტო/ვიდეო მასალის სამუშაო სივრცეში და გამოცდილების გასაზიარებლად ციფრულ და არაციფრულ გარემოში გამოსაქვეყნებლად, რაც ადასტურებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების სრულფასოვან დანერგვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში არსებული ინფორმაცია დაცულია და არ ხდება მათი გამჟღავნება. მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები ინახება დაკეტილ კარადაში. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე. დოკუმენტში განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები , მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვა. სკოლის

მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. მოსწავლეთა პირადი საქმეები, საარქივო დოკუმენტაცია, მათ შორის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები ინახება დირექტორის კაბინეტთან არსებულ ოთახსა, დირექტორის კაბინეტში განთავსებულ კარადებსა და არქივში, რომელიც იკეტება და ხელმისაწვდომი არ არის გარეშე პირებისთვის. არქივში ასევე ინახება მოსწავლეთა დაარქივებული შემაჯამებლები და მსგავსი დოკუმენტაცია. სკოლის კომპიუტერებზე დაყენებულია პაროლი. სკოლა ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, ინფორმაცია და შესაბამისად მასზე წვდომა აქვთ უფლებამოსილ პირებს სისტემაში შესვლის სპეციალური პაროლის მეშვეობით. სკოლაში გამოყოფილია ინფორმაციულ ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პიროზების" საფუძველზე შემუშავებული აქვს სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა. სკოლაში უსაფრთხოების მექანიზმების შეფასება ხორციელდება დაგეგმილი შიდა მონიტორინგის, თვითშეფასებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემოწმებების მეშვეობით. შეფასების პროცესში გაანალიზებულია როგორც ადამიანებთან დაკავშირებული ფაქტორები (მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოება, პასუხისმგებლობების შესრულება, ინფორმირებულობა), ასევე პროცესებთან დაკავშირებული მექანიზმები (პროცედურების ეფექტიანობა, რეაგირების სისწრაფე, პრევენციული ზომები). შეფასების შედეგები დოკუმენტურად ფიქსირდება და გამოიყენება უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით. გამოვლენილი ხარვეზების ან გასაუმჯობესებელი მიმართულებების საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს შესაბამის კორექტირებას, დამატებით ინსტრუქტაჟებს, პროცედურების განახლებას ან ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების გაძლიერებას.

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, შექმნილია დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. საბჭოს მუშაობა ხასიათდება მაღალი აქტივობით, რაც დასტურდება წარმოდგენილი სხდომათა ოქმებით; დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სხდომები იმართება სისტემურად, განსაზღვრული

პერიოდულობითა და საჭირო რაოდენობით. ოქმებში დეტალურად არის ასახული უსაფრთხოების მექანიზმების განხილვა, მათი ეფექტიანობის შეფასება და საბჭოს მიერ შემუშავებული კონკრეტული რეკომენდაციები. სკოლის ადმინისტრაცია აღნიშნულ შეფასების შედეგებს აქტიურად იყენებს უსაფრთხოების არსებული მექანიზმების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, რაც უზრუნველყოფს სასკოლო გარემოში უსაფრთხოების კონტროლსა და განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის გაგზავნილი წერილი;
- რესურსცენტრისადმი გაგზავნილი შუამდგომლობა დაფინანსების შესახებ;
- წყალტუბოს მერიის ოფიციალური პასუხი დაფინანსების შესახებ;
- 2021 წლის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტი N89;
- 2026 წლის 26 მარტის განცხადებები სერვისების სააგენტოსადმი სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დადგენის თაობაზე;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (დირექტორის ბრძანება N2-18);
- მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი ინვოისი;
- რესურსცენტრისადმი გაგზავნილი წერილი სამედიცინო კაბინეტის მოწყობის თაობაზე;
- ექიმის კვალიფიკაციის დოკუმენტი (დიპლომი);
- მანდატურის სამსახურისგან მიღებული პასუხი მანდატურის გამოყოფის შესახებ;
- ბრძანება N 2-76 მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირის შესახებ;
- ბრძანება N 2-77 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესის შესახებ;
- დამლაგებლების შრომითი ხელშეკრულებები;
- სანიტარული დასუფთავებისა და მონიტორინგის განრიგი;
- დირექტორის ბრძანება N 2-16 პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის შესახებ;
- მშობლების მიერ ხელმოწერილი თანხმობის ფორმები (ფოტო/ვიდეო მასალის გამოყენებაზე);
- დირექტორის ბრძანება N 2-08 „ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“;
- მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი შენობა:

სკოლა განთავსებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამის, 5 წლის წინ აშენებულ სამსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის მონაცემებით (საკადასტრო კოდი: 29.05.35.779), სკოლა ფუნქციონირებს 14733.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ხოლო შენობა-ნაგებობა (N1) მოიცავს 2282.01 კვ.მ. ფართს. შენობის დაგეგმარება და ტექნიკური მახასიათებლები სრულად შეესაბამება 250 მოსწავლის სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. ამონაწერში ფიქსირებული სამი იჯარის ხელშეკრულება შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ქონების კანონიერი მართვის პრაქტიკას.

ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია და ინკლუზიურია: შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, ფუნქციონირებს ლიფტი, ხოლო ადაპტირებული სველი წერტილები ხელმისაწვდომია ყველა სართულზე. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებითა და სკამებით, რაც სრულად აკმაყოფილებს მოსწავლეთა მოთხოვნებს. სკოლაში მოწყობილია სპეციალიზებული კაბინეტები, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორია (პროექტორებით, ლეპტოპებითა და

ინტერნეტით), კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციული ოთახები, სამასწავლებლო, კლუბური და თვითმმართველობის სივრცეები, ასევე სააქტო დარბაზად გამოყენებულია ერთ-ერთი დიდი ოთახი, დერეფნები და სართულებზე არსებული სივრცეები მოწყობილია მოსწავლეთა სამუშაო თუ მოსასვენებელ სივრცეებად (განთავსებულია დაფები, კომფორტული ავეჯი, ე.წ. „პუფები“, მაგიდა-სკამები და ა.ს. ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად პირველ სართულზე ფუნქციონირებს რესურსოთახი შესაბამისი სველი წერტილით.

სკოლა უზრუნველყოფილია მდგრადი ტექნიკური სისტემებით, მათ შორის: ცენტრალური გათბობით, ბიოლოგიური ფილტრაციის კანალიზაციის სისტემით, ცენტრალური ვენტილაციით, წყლის სარეზერვო ავზებითა და ელექტროენერგიის ავტონომიური გენერატორით. ეზო სრულად კეთილმოწყობილია მწვანე ზონებით, დასასვენებელი სივრცეებითა და გარე სპორტული მოედნით.

შენობის ექსპლუატაციის პროცესში, მესამე სართულის რამდენიმე მონაკვეთში, წვიმის დროს ფიქსირდება წყლის ჩამოსვლა. სკოლის დირექცია საკითხს უდგება საპასუხისმგებლო მენეჯმენტით: ხორციელდება პრევენციული ზომები (უსაფრთხოების მიზნით ჭერის კონსტრუქციების დროებითი დემონტაჟი), სკოლის სახსრებით სახურავის ლოკალური შეკეთება, სკოლა თანამშრომლობს შესაბამის ორგანოებთან ინფრასტრუქტურული რესურსების მოძიებისა და სახურავის სრულფასოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვის მიზნით. აღწერილი პრობლემა ამ ეტაპზე სკოლის ინფრასტრუქტურას საგანმანათლებლო პროცესისთვის არ ზღუდავს, რადგან ამ ადგილების გამოყენება არ ხდება წვიმის დროს. თუმცა აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია მომავალში შენობის მდგრადობის შენარჩუნებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ (მომავალში რომ არ გახდეს რისკების შემცველი), რის შესახებაც სკოლა აწარმოებს მუდმივ მონიტორინგს.

სკოლის ძირითად შენობაში არსებული ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სრულად პასუხობს 250 მოსწავლის კონტინგენტის საჭიროებებს და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მეორე/შემოერთებული შენობა (სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლება)**:**

სკოლის მეორე სასწავლო შენობა (საკადასტრო კოდი: **29.05.38.751**) წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, რომელიც განთავსებულია 8409 კვ.მ. ფართობზე და ძირითადი შენობიდან დაშორებულია 3.8-4 კილომეტრით. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდისთვის შენობაში დასრულებულია სარემონტო სამუშაოები, რის შედეგადაც კეთილმოეწყო ოთხი საკლასო ოთახი, სამასწავლებლო და საერთო დერეფანი. ინფრასტრუქტურა სრულად აკმაყოფილებს ამჟამინდელი კონტინგენტის (17 მოსწავლე) საჭიროებებს. შენობაში განთავსებულია საპირფარეშოები, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არ სწავლობს შშმ პირი თუმცა დირექტორთან

გასაუბრებითა და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით დაგეგმილია პანდუსის მოწყობა, რომელიც სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომი პერიოდისთვის არის გათვალისწინებული.

სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის შენობაში გამოყოფილია საკლასო ოთახები, ადმინისტრაციული სივრცე (სამასწავლებლო) და უსაფრთხო სათავსო. მიუხედავად იმისა, რომ შენობაში ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს ცალკე ისტ-კაბინეტი, სკოლა უზრუნველყოფს ციფრულ წვდომას პორტატული კომპიუტერებისა და პროექტორების მეშვეობით, ხოლო ელექტროქსელი სრულად პასუხობს ტექნიკის სტაბილური ფუნქციონირების მოთხოვნებს.

შენობის გათბობა უზრუნველყოფილია ელექტროგამათბობლების მეშვეობით, ხოლო საგანგებო სიტუაციებისთვის დაზღვეულია ალტერნატიული რესურსით (ბრიკეტები და ღუმელები), რაც ადასტურებს სკოლის მზაობას გათბობის სტაბილური რეჟიმის შესანარჩუნებლად ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟებამდე. შენობა უზრუნველყოფილია წყალმომარაგების ცენტრალური სისტემით.

სკოლას გააჩნია განვითარების რეალისტური გეგმა: მოპოვებულია თანხმობა ექიმის კაბინეტის მოწყობაზე და გამოყოფილია სივრცეები სამომავლო ბიბლიოთეკისა, ექიმის კაბინეტის მოსაწყობად, რაც აჩვენებს ადმინისტრაციის მიზანმიმართულ მუშაობას ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსწავლეები ინტენსიურად სარგებლობენ მთავარი შენობის რესურსებით (ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი), რაც სკოლის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ფუნქციონირებას ადასტურებს. სკოლის ეზო არის ფართო და კეთილმოწყობილი, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, ეზო გამოიყენონ სპორტული აქტივობებისა და დასვენებისთვის. არსებული ინფრასტრუქტურა და რესურსები შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს.

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ცხადდება, რომ სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ შენობაში (საკადასტრო კოდი: 29.05.38.751) სკოლამ ადგილზე მოაწყო სათანადო ინვენტარითა და წიგნადი ფონდით აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცე და კომპიუტერული ლაბორატორია. პარალელურად, დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის N 2-63 ბრძანებით, შეიმუშავა „რესურსებზე ხელმისაწვდომობის წესი“, რომელიც დოკუმენტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა სისტემურ წვდომას როგორც ადგილობრივ, ისე ძირითადი შენობის ბიბლიოთეკასა და ისტ ლაბორატორიაზე. აღნიშნული მიდგომით დაწესებულებამ უზრუნველყო მე-2 უბნის შერწყმული სკოლის მოსწავლეთათვის თანაბარი საგანმანათლებლო ინფრაქტრუქტურული გარემოს შექმნა და ინფორმაციულ რესურსებზე სრულფასოვანი ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის შენობების ფიზიკური დათვალიერებითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები შეუფერხებლად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს აქვთ თავისუფალი წვდომა როგორც ძირითად, ისე მეორე შენობაში არსებულ სივრცეებზე.

სკოლის ძირითად შენობაში არსებული მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურა, მათ შორის: ბიბლიოთეკა (თავისი ბიბლიოთეკის მუშაობის დებულებით), კომპიუტერული ლაბორატორია (თავისი მუშაობის წესით), კლუბური და მოსწავლეთა თვითმმართველობის ოთახები, სააქტო სივრცე და შიდა სპორტული მოედანი, სრულად ადაპტირებულია და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის (მათ შორის ლიფტისა და პანდუსის საშუალებით). სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული მცირეკონტინგენტიან სკოლის მოსწავლეებს, სასწავლო პროცესის პარალელურად, აქვთ წვდომა ძირითად შენობაში განთავსებულ რესურსებზე, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბიბლიოთეკით, სპორტული მოედნითა და საერთო სასკოლო ღონისძიებებით რეგულარული სარგებლობის პრაქტიკა.

ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური ადაპტირების საშუალებებით (ლიფტი, პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე), ისე რესურსების გონივრული გადანაწილებით. როგორც მოსწავლეებთან, ისე პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო თუ არაფორმალური აქტივობების დროს მათ აქვთ შეუზღუდავი წვდომა არსებულ სივრცეებზე და მატერიალურ რესურსებზე (კომპიუტერული ტექნიკა, ლაბორატორიული რესურსები და სხვ.). შენობებს შორის ინფრასტრუქტურული რესურსები და მათი გააზრებული გადანაწილება ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტეგრაციას და უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრების ეფექტიან და ინკლუზიურ წარმართვას. აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მეორე უბანში არსებულ შენობაში სასწავლო პროცესი მხოლოდ ორი კვირაა აღდგა სარემონტო სამუშაოების სრულად დასრულების შემდგომ. აღნიშნულ პერიოდამდე, მოსწავლეები სასწავლო პროცესს გადიოდნენ ძირითად შენობაში, სადაც სრულად ჰქონდათ წვდომა დაწესებულების ყველა რესურსზე. ამჟამად, მიუხედავად მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის ცალკე სასწავლო სივრცის ფუნქციონირებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინარჩუნებს ერთიან საგანმანათლებლო გარემოს, სადაც მოსწავლეები რეგულარული ინტენსივობით სტუმრობენ ძირითად შენობას სპორტული შეჯიბრებების, ღონისძიებებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული რესურსებით სარგებლობის მიზნით. აღნიშნული ურთიერთქმედება ამ ეტაპზე ხორციელდება ადმინისტრაციული კოორდინაციის გზით, თუმცა პროცესის სისტემური მდგრადობისა და რესურსების ხელმისაწვდომობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სასურველია აღნიშნული მექანიზმის დოკუმენტურად გაწერა. ამიტომ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლაც მიეცა **რჩევა:**

სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს შიდა რეგულაცია, რომელიც დოკუმენტურად განსაზღვრავს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის შენობის მოსწავლეთა მიერ ძირითადი შენობის ინფრასტრუქტურული რესურსებით სარგებლობის წესსა და პროცედურებს. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლამ აღნიშნული რჩევა სრულად გაითვალისწინა. კერძოდ, სკოლის დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის N 2-63 ბრძანებით დამტკიცდა „რესურსებზე ხელმისაწვდომობის წესი“ , რომელიც დოკუმენტურად არეგულირებს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული შენობის მოსწავლეთა მიერ ძირითადი შენობის ინფრასტრუქტურული რესურსებით (ბიბლიოთეკა, ისტ ლაბორატორია) სარგებლობის წესსა და პროცედურებს. დოკუმენტი განსაზღვრავს რესურსებით სარგებლობის ფორმებს , პასუხისმგებელ პირებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო, ორგანიზებულ ტრანსპორტირებას სკოლის ავტობუსით, წინასწარ გაწერილი გრაფიკის შესაბამისად.**

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას დოკუმენტურად გაწერილი და დამტკიცებული წესების შესაბამისად. სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანებით (N 2-13) დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება)“, რომელიც წარმოადგენს საბიბლიოთეკო მომსახურების მარეგულირებელ ძირითად შიდა ნორმატიულ აქტს. აღნიშნული დებულება (დანართი N1) სრულყოფილად განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების პრინციპებს, კერძოდ: მომხმარებელთა ვალდებულებებსა და უფლებებს (დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი წიგნადი ფონდის მოვლა-პატრონობის, ბიბლიოთეკაში ქცევის წესებისა და წიგნების გაცემა-დაბრუნების პროცედურები) და(აღრიცხვის სისტემას (დებულების თანახმად, თითოეულ წიგნს ენიჭება საინვენტარო ნომერი და ინდექსი, ხოლო ფონდი აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, რაც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსების გამჭვირვალე მართვას).

საბიბლიოთეკო სერვისები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ შენობაში ამ ეტაპზე ფიზიკური ბიბლიოთეკის სივრცე მოწყობის პროცესშია, სკოლის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ამ სერვისის უწყვეტობას - სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის მოსწავლეები ინტენსიურად სარგებლობენ ძირითადი შენობის ბიბლიოთეკის რესურსებით, რაც დასტურდება სასწავლო პროცესის ორგანიზებით. შესაბამისად, სკოლა სრულად ასრულებს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების მოთხოვნას როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციული კუთხით. მეორე შენობაში ბიბლიოთეკის სივრცის მოწყობა სკოლას ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესში გატანილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის

გეგმაში, ამირომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში მიეცა რეკომენდაცია: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ სკოლის შენობაში (საკადასტრო კოდი: 29.05.38.751) უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობა და მისი შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსებით აღჭურვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას საბიბლიოთეკო სერვისების ხელმისაწვდომობა ადგილზე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2027 წლის 15 თებერვლისა.“ **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ცხადდება, რომ სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ შენობაში (საკადასტრო კოდი: 29.05.38.751) შეუსაბამობა უკვე დაძლეულია: სკოლამ ადგილზე მოაწყო სათანადო ინვენტარითა და წიგნადი ფონდით აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცე და პარალელურად, დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის N 2-63 ბრძანებით, შეიმუშავა „რესურსებზე ხელმისაწვდომობის წესი“, რომელიც დოკუმენტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა სისტემურ წვდომას როგორც ადგილობრივ, ისე ძირითადი შენობის ბიბლიოთეკასა და ისტ ლაბორატორიაზე.**

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რაც დადასტურებულია როგორც ფიზიკური ინფრასტრუქტურის ადაპტირებით, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების მხარდამჭერი რესურსების არსებობით. **ძირითად შენობაში** სრულად არის დაცული ფიზიკური ხელმისაწვდომობის სტანდარტები: მოწყობილია პანდუსი, ფუნქციონირებს ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე. პირველ სართულზე განთავსებულია სპეციალურად აღჭურვილი რესურსოთახი, რომელიც ქმნის მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს. **სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ სკოლის შენობაში** დაწესებულებამ გაითვალისწინა ინკლუზიურობის პრინციპი და შენობის შიდა სივრცეში მოაწყო ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას პანდუსის მონტაჟი სამომავლო გეგმებშია გაწერილი, სკოლის ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ სკოლის შენობაში (საკადასტრო კოდი: 29.05.38.751) უზრუნველყოს შენობის შესასვლელში პანდუსის მოწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2027 წლის 15 თებერვლისა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ სკოლამ შეიმუშავა პანდუსის პროექტი და აქტიურად დაიწყო შეუსაბამობის აღმოფხვრა. ასევე შესაბამისობის ახალ გეგმაში წარმოადგენილია შესრულების განსხვავებული ვადები, რომელთაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება, ამიტომ სკოლას ახლიდან

მიეცეს **რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის შენობაში (საკადასტრო კოდი: 29.05.38.751) უზრუნველყოს შენობის შესასვლელში პანდუსის მოწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა**

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლებისა და სოციო-კულტურული აქტივობების მხარდასაჭერად. შენობის დაგეგმარება ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას, მათ მიერ სხვადასხვა კლუბურ თუ თვითმმართველობის საქმიანობებში ჩართვას და სასკოლო საზოგადოების ერთიან კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ძირითადი შენობის ინფრასტრუქტურა მოიცავს სივრცეებს, რომლებიც სპეციალურად არის გამოყოფილი მოსწავლეთა სოციალური ურთიერთქმედებისთვის: სააქტო და მცირე საკონფერენციო დარბაზები, კლუბური და თვითმმართველობის სამუშაო ოთახები, ასევე ფოიეში მოწყობილი მრავალფუნქციური დასასვენებელი და სამუშაო ზონები. ეს გარემო მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, საგაკვეთილო პროცესის მიღმაც აქტიურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, დაგეგმონ სასკოლო ღონისძიებები და განახორციელონ შემოქმედებითი პროექტები. სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებული სკოლის შენობის მცირეკონტინგენტიანი სასწავლო გარემო, მიუხედავად მისი კომპაქტურობისა, ინტეგრირებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საერთო სოციო-კულტურულ ქსელში. მოსწავლეთა მუდმივი ჩართულობა ძირითადი შენობის ინფრასტრუქტურაში (ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, საზეიმო ღონისძიებები) უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან სოციალიზაციას. სკოლის ეზოები, თავისი მწვანე ზონებითა და ღია სპორტული მოედნებით, დამატებით ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის არაფორმალური ურთიერთობების გაღრმავებას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა არ წარმოადგენს მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნების შესასრულებელ ადგილს, არამედ წარმოადგენს სოციალური პლატფორმას, სადაც ხდება ღირებულებების გაზიარება, მოსწავლეთა ლიდერული უნარების განვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მომზადება. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ დაწესებულების ფიზიკური რესურსები ეფექტიანად მუშაობს სკოლის, როგორც სოციო-კულტურული ცენტრის, ფუნქციის შესასრულებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ძირითადი შენობა);
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (შერწყმული სკოლა);
- საკადასტრო გეგმა;
- ტექნიკური აზომვითი ნახაზები;
- იჯარის ხელშეკრულებები;
- დირექტორის ბრძანება N2-13 (29.01.2026) და „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“ (დანართი N1);
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის ჟურნალები/აღრიცხვის მეთოდოლოგია;
- სასკოლო პროექტები;
- ისტ ლაბორატორიის სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება (N 2-15);
- ისტ ლაბორატორიის გამოყენების წესი (დანართი N1);
- ბიბლიოთეკარის 2025-2026 სასწავლო წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება (N 2-23);
- ბიბლიოთეკარის სამუშაო გეგმა (დანართი N1);
- ისტ ლაბორატორიის ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი (N5, 2022 წ.);
- საოფისე ავეჯის მიღება-ჩაბარების აქტი (რესურსოთახისთვის, 2022 წ.).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ინფრასტრუქტურა, არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენებით, უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას. ძირითად შენობაში ფუნქციონირებს სრულფასოვანი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. რაც შეეხება სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ სკოლის შენობას, იქ ფიქსირებული კომპიუტერული კაბინეტის არარსებობა კომპენსირებულია მობილური ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებით. სასწავლო პროცესში მოსწავლეები იყენებენ პორტატულ კომპიუტერებს რაც უზრუნველყოფს მათ წვდომას ციფრულ რესურსებსა და ინფორმაციულ გარემოსთან. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ძირითად შენობაში არსებული ისტ-ის ლაბორატორიით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული მეცადინეობების სრულფასოვან ჩატარებას.

მნიშვნელოვანია, რომ ინტერნეტთან წვდომა უზრუნველყოფილია როგორც სკოლის ძირითად, ისე სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ შენობაში. სკოლამ თვითშეფასების პროცესში იდენტიფიცირებული ჰქონდა ინტერნეტის ხელმისაწვდომობის საკითხი, როგორც სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ შენობაში გასაუმჯობესებელი გარემოება, თუმცა, ამ ეტაპზე, აღნიშნული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სრულად არის შესრულებული. შედეგად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, არსებული მობილური ტექნიკითა და სტაბილური ინტერნეტკავშირით, სრულად უწყობს ხელს სკოლის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტუქტურა საკმარისია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. სკოლის კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია სკოლის მიერ თვითშეფასების ფარგლებში მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობისთვის საკმარისი კომპიუტერებით. სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები საჭიროების დროს სარგებლობენ აღნიშნული ტექნოლოგიებით, შემუშავებული წესის მიხედვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია სკოლის მიერ თვითშეფასების ფარგლებში მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობისთვის საკმარისი კომპიუტერებით. სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები საჭიროების დროს სარგებლობენ აღნიშნული ტექნოლოგიებით, შემუშავებული წესის მიხედვით. სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად მართავს ტექნოლოგიური რესურსების განაწილებას: ძირითად შენობაში მოსწავლეებსა და პერსონალს აქვთ წვდომა კომპიუტერულ ლაბორატორიასთან, ხოლო სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლების სკოლის შენობაში არსებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სკოლამ დანერგა მობილური ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა (სქულბუქები და ლეპტოპები), რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, სრულფასოვნად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო მიზნებისთვის, ისე ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, რაც რეგულირდება სკოლის შესაბამისი შიდა წესებით. მონიტორინგის პროცესი და წესების დაცვა უზრუნველყოფს ტექნიკური რესურსების მიზნობრივ და უსაფრთხო გამოყენებას, რაც დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე.
არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ცხადდება, რომ სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში არსებულ შენობაში (საკადასტრო კოდი: 29.05.38.751) სკოლამ ადგილზე მოაწყო სათანადო ინვენტარით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია. პარალელურად, დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის N 2-63 ბრძანებით, შეიმუშავა „რესურსებზე ხელმისაწვდომობის წესი“, რომელიც დოკუმენტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა სისტემურ წვდომას როგორც ადგილობრივ, ისე ძირითადი შენობის კომპიუტერულ ლაბორატორიაზე. აღნიშნული მიდგომით დაწესებულებამ უზრუნველყო მე-2 უბნის შერწყმული სკოლის მოსწავლეთათვის თანაბარი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და ინფორმაციულ რესურსებზე სრულფასოვანი ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესი;
- ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები;
- ბრძანება კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. საქმისწარმოების საერთო წესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი და ა.შ. კორესპონდენციის ნაწილი მუშავდება ელექტრონულად, ნაწილის დამუშავება ხდება მატერიალურად, მაგ., ხელშეკრულებების რეგისტაციის ჟურნალში, რომელსაც ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ. ჟურნალები არის დანომრილი, დამოწმებული და ინახება საქმისმწარმოებელთან. სკოლის საქმისწარმოების ერთიან წესში იკითხება ინფორმაცია როგორც მატერიალურ ასევე ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით. სკოლაში იწარმოება და კანონმდებლობით დადგენილი წესით იკინძება და ინახება საბუღალტრო დოკუმენტაცია. ადგილზე ვიზიტისას გადაიხედა თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები და მასში არსებული დოკუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვასა და საქმის წარმოებაში აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები. კერძოდ, სკოლა შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას აწარმოებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow მეშვეობით; მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა შესახებ მონაცემები შესულია eschool– ის ბაზაში. სკოლა იყენებს მართვის პროცესისა თუ ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის ელექტრონულ ფოსტებს (outlook, gmail), თუ ელექტრონულს ჟურნალს. სკოლა იყენებს outlook-ში არსებული onedrive-ის ღრუბლოვან სივრცეს. სკოლაში ელექტრონული საშუალებებით მყარდება ძირითადი კომუნიკაცია განათლების სფეროს სტრუქტურებს შორის.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ავტორიზაციის ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი, Eschool-ის ბაზაში სრულადაა ასახული სკოლის პერსონალის შესახებ ინფორმაცია, გაკვეთილების ცხრილი, ინფორმაცია მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ. eschool-ის საშუალებით ხდება მოსწავლეთა მობილობა, იცვლება მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა საგნების მიხედვით, ხდება სახელმძღვანელოების შერჩევა და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. მათი მხრიდან შემოსულ დოკუმენტაციაზე რეაგირება ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, კერძოდ - საქმისწარმოების კანონმდებლობის შესაბამისი წესების გათვალისწინებით იცავს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდებს და პროცედურებს, და უზრუნველყოფს შესაბამის პროცესებს, შემოსულ კორესპოდენციაზე მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ათი დღის ვადაში გასცემს შესაბამის წერილობით პასუხს. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის ანგარიშს აბარებს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრს, პარლამენტს. ასევე, საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს ანგრიშს. ამისთვის, დირექტორის ბრძანებით ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. სკოლა თანამშრომლობს განათლების სამისტროსთან, ხარისხის მართვის განვითარების ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან. სკოლა კვარტალში ერთხელ წარადგენს დეკლარაციებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- 10 დეკემბრის ანგარიში;
- პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი;
- Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ პირველადი ინფორმაცია. ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში იძებნება ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება. ვებ გვერდზე ინფორმაცია განახლებადია (მაგ., ავტორიზაციის განაცხადის დროს შემოწმებულ ვებ-გვერდზე გათნავსებული ინფორმაცია ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში უკვე განახლებული ჰქონდა სკოლას). სკოლას შექმნილი აქვს ფეისბუქ გვერდი, რომელსაც მართავს პასუხისმგებელი პირი და განათავსებს ინფორმაციას სკოლისა და სკოლაში განხორციელებული, მიმდინარე აქტივობების შესახებ. სკოლის მასწავლებლები, საკომუნიკაციოდ იყენებენ ასევე teams-ის პლატფორმას, ელექტრონულ ჟურნალსა და კლასის დახურულ ჯგუფებს, სადაც მშობლებთან ერთად გაერთიანებული არიან კონკრეტულ კლასში შემსვლელი მასწავლებლები. ამ ჯგუფების საშუალებით მშობლებს დროულად მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის საშუალებითაც მშობლები ეცნობიან ინფორმაციას შვილის/მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი, საიდანაც ცალკე აქვთ გამოყოფილი დამრიგებლისა და მშობლის კომუნიკაციის წესის ნაწილი, რათა მშობელთა კრებებზე მოხდეს მათი განხილვა და მოსწავლის მშობლებისთვის/წარმომადგენლისთვის ყველა საკომუნიკაციო არხი კიდევ უფრო ცხადი და ხელმისაწვდომი იყოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დირექციასთან გასაუბრებისით დგინდება, რომ სკოლა ავრცელებს მხოლოდ ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელიც მიღებული აქვთ ოფიციალურად სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე ან ეფლოუს მეშვეობით ოფიციალური სტრუქტურებიდან, განათლების სამინისტროს სიპებიდან. სკოლის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის დაწესებულების აქტივობების,

მიღწევების, ჯილდოების შესახებ სანდოობაზე მეტყველებს სკოლის ფეისბუქ გვერდისა და ვებ-გვერდის მართავაზე სკოლის დირექციის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის არსებობა. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლის, მათი მშობლებისა და მასწავლებლისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ასახელებს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს აქტიურად იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. გასაუბრებისას იკვეთება სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება-გადამუშავება-გამოყენების პრაქტიკა. მაგ., სკოლა ღიაა თემთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან კომუნიკაციისთვის და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას იყენებს სკოლის ფორმალური თუ არაფორმალური განათლების წახალისებისთვის. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების წარმომადგენლებისგან მიღებული უკუკავშირის სისტემურ შეგროვებასა და ანალიზს, რაც ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის, კერძოდ, ოფიციალური ვებგვერდის, საკომუნიკაციო პლატფორმების, მშობლებთან, მოსწავლეებთან და პერსონალთან უშუალო კომუნიკაციის, აგრეთვე შეხვედრებისა და გამოკითხვების მსგავსი ფორმალური და არაფორმალური მექანიზმების გამოყენებით. სკოლის მიერ მიღებული უკუკავშირი ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და ანალიზს, რის შედეგადაც მიღებული ინფორმაცია აქტიურად გამოიყენება მართვის პროცესში გადაწყვეტილებების მისაღებად და სკოლის საქმიანობის დაგეგმვისა და შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი (https://skolebi.emis.ge/schools/840) სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge , რომლის დათვალიერებითაც ირკვევა, რომ განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე და ემთხვევა სკოლის სწავლების განხორციელების ენას (სახელმწიფო ენა-ქართული ენა).

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლას აქვს ვებგვერდი რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სკოლის შინაგანაწესი, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, საკონტაქტო ინფორმაცია, გასაჩივრების მექანიზმები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია იკითხება „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესში“, ხოლო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების განთავსებას სკოლა აპირებს ეტაპობრივად). სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი საგანმანათლებლო კუთხით წრეები და კლუბები, რომელთა შესახებ ინფორმაციას ასევე ასახულია სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდის ლინკი (https://skolebi.emis.ge/schools/840);
- Facebook სოციალური გვერდი;
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

თვითშეფასების პროცესში სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული ბიუჯეტი და ფინანსური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულება ფინანსურად მდგრადია და უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება; ბიუჯეტი არის მიზნობრივი და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს. სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის ანალიზით დგინდება, რომ სკოლა არსებული ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფს დასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელებას, რაც დასტურდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების აქტებით და ინვენტარიზაციის სისტემური ოქმებით. ბიუჯეტირების პროცესი არის ორიენტირებული სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რასაც ადასტურებს სამეურვეო საბჭოს მიერ ბიუჯეტის დამტკიცებისა და ფინანსური საკითხების განხილვის ოქმები, რაც სკოლას აძლევს შესაძლებლობას, საჭიროებისამებრ ოპერატიულად მოახდინოს ფინანსურ გეგმებში კორექტირება.

როდესაც სკოლის ფინანსური რესურსები არ არის საკმარისი ვალდებულებების შესასრულებლად ან ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, სკოლა ოფიციალური შუამდგომლობით მიმართავს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ეს პროცესი გულისხმობს დირექტორის მიერ მომზადებულ წერილობით მიმართვას, სადაც დეტალურად არის დასაბუთებული კონკრეტული საჭიროება - მაგალითად, ინფრასტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრა, სამედიცინო კაბინეტის მოწყობა ან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება; რესურსცენტრი, თავის მხრივ, აფასებს მოთხოვნას და საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ან ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი რესურსცენტრისა და წყალტუბოს მერიის

კორესპონდენციებით. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს სკოლის ფინანსური საჭიროებების ადმინისტრირებას და აუცილებელი მხარდაჭერის დროულ მოპოვებას სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის ფარგლებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

საგანმანათლებლო დაწესებულების დოკუმენტების შესწავლა და სკოლის ბუღალტერთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლა ფლობს ფინანსური რესურსების მართვის მექანიზმს, რომელიც მოიცავს დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის ყველა აუცილებელ ეტაპს. ფინანსური რესურსების დაგეგმვა და ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება გამჭვირვალედ, სამეურვეო საბჭოს მიერ ფორმალური გადაწყვეტილებების საფუძველზე, ხოლო მიმდინარე ფინანსური საკითხების განხილვა ხდება პერიოდულად, რაც დასტურდება სხდომათა ოქმებით. სახსრების განკარგვა მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც დასტურდება შესყიდვების ხელშეკრულებებითა და მათი განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციით. სისტემის მონიტორინგს უზრუნველყოფს მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმი, რაც აისახება სისტემატურ ინვენტარიზაციასა და შესაბამის ოქმებში, რაც საბოლოოდ ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილი ფინანსური მართვის სისტემა არის სტრუქტურირებული და უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ გამოყენებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;
- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7 (ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6 (ფინანსური საკითხების განხილვის შესახებ)
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- მიღება-ჩაბარების აქტი;
- ინვენტარიზაციის აქტი;
- მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის წიგნი/უწყისი;
- წერილი წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის სახელზე (ფინანსური დახმარების შესახებ);
- წერილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების დაცვა უზრუნველყოფილია როგორც დოკუმენტურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების დაცვა ეფუძნება სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციასა და გამართულ პროცედურულ მექანიზმებს. სკოლის ფუნქციონირებისა და მოსწავლის სამართლებრივი მდგომარეობის ფუნდამენტური პრინციპები განსაზღვრულია „სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის წესდებით“. მოსწავლის უფლებების პრაქტიკული რეალიზაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დირექტორის 2025 წლის 19 დეკემბრის N2-130 ბრძანებით დამტკიცებულ „განცხადების/საჩივრების წარდგენისა და განხილვის წესს“. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს მოსწავლისთვის (და მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის) სამართლებრივი დაცვის ეფექტიან მექანიზმს, რაც გულისხმობს ნებისმიერი დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობას გამჭვირვალე და ობიექტური განხილვის გზით. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლის ემოციურ კეთილდღეობას. დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის **N2-08 ბრძანებით დამტკიცებული „ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები“** ქმნის პრევენციულ გარემოს ბულინგისა და ძალადობის წინააღმდეგ. ამასთანავე, მოსწავლეთა სკოლაში ინტეგრაციასა და მხარდაჭერას ემსახურება **„მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები“** (ბრძანება N2-123, 26.12.2025), რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და მზრუნველ გარემოს. სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის N2-14 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“ ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს მოსწავლეთა ჩართულობისთვის სკოლის მართვის პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების წარმომადგენლობასა და მათ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის წარმომადგენელი ჩართულია სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში, რაც პირდაპირ პასუხობს მოსწავლის უფლებას — მონაწილეობა მიიღოს მისი ინტერესების მომცველი საკითხების განხილვაში. დირექტორის ბრძანებით

განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. შექმნილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, სკოლის შენობის უსაფრთხოებასა და წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, მოსწავლის უფლებების დაცვის მუდმივ გაუმჯობესებაზე მიუთითებს „სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის შინაგანაწესი“, რომელიც წარმოადგენს მოქნილ, ცოცხალ დოკუმენტს. მასში საჭიროებისამებრ შედის ცვლილებები, რაც მიზნად ისახავს სასკოლო გარემოში წარმოქმნილ ახალ გამოწვევებთან კოორდინაციას, მათ სამართლებრივ რეგულირებას და მოსწავლის გარანტიების კიდევ მეტად განმტკიცებას.ცვლილებების პროცესი გამჭვირავლეა და ეფძვნება არსებული პრაქტიკის ანალიზს. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3, 4.09.2025)

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. დაწესებულება იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან არხებს რეგულაციების საჯაროობის უზრუნველსაყოფად. ყველა ფუნდამენტური დოკუმენტი, მათ შორის სკოლის წესდება, შინაგანაწესი და „განცხადების/საჩივრების წარდგენისა და განხილვის წესი“ (ბრძანება N2-130, 19.12.2025), ხელმისაწვდომია როგორც ციფრულ ფორმატში (სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში), ისე ფიზიკურად — სკოლის ფოიეებსა და დერეფნებში განთავსებულ საინფორმაციო დაფებსა და სპეციალურ სივრცეებში. ეს უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა მუდმივ ინფორმირებულობას მათი უფლებებისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. უფლებების დაცვის პრაქტიკულ რეალიზაციას ადასტურებს მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური საქმიანობა (დებულება დამტკიცებული ბრძანებით N2-14, 19.12.2025). მათი წარმომადგენლის მონაწილეობა სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესს ხდის გამჭვირვალეს. გარდა ამისა, რეგულაციების გაზიარება და მათში შესული ცვლილებების განხილვა სისტემატურად ხდება სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმით N1 (29.09.2025), სადაც დეტალურად იქნა განხილული სკოლის შინაგაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა. ეს პროცესი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ცნობიერების ამაღლებას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, რაც ქმნის უსაფრთხო და სამართლიან საგანმანათლებლო გარემოს.სკოლაში არსებული დინამიკური მიდგომა შინაგანაწესის პერიოდული განახლებისა და საჯაროობის კუთხით ქმნის მოსწავლის უფლებების დაცვის მყარ გარანტიებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობა რეგულირდება გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებით, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ხელშეკრულება დეტალურად განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სასწავლო პროცესის ორგანიზების პირობებსა და მოსწავლის უსაფრთხოების გარანტიებს. დოკუმენტი ეფუძნება სკოლის შინაგანაწესსა და წესდებას, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივ სიმყარეს. ხელშეკრულების გაფორმებამდე მშობლები დეტალურად ეცნობიან მის შინაარსს, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმით (N1, 29.09.2025), სადაც განხილულ იქნა სასკოლო რეგულაციები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-58 11.09.2019 უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;

2. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება;

3. დამრიგებლის დებულება, დამტკიცებული სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5/ნ, 22.09.2026

4. მშობელთა კრების ოქმი; (დანართი მე-7 კლასი N1, 22.09.2025)

5. თვითმართველობის დებულება დირექტორის ბრძანება N 2-14, 29.01.2026

6. შინაგანაწესი დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3, 04.09.2026

7. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-130. 19.12.2025 განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ.

8. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-08 , 26.0102026 ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ,

10.დირექტორის ბრძანება N2-123 26.12.2025- სკოლაში მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმების შესახებ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში მოსწავლის სტატუსის მართვის ყველა ეტაპი რეგულირდება გამჭვირვალე და კანონშესაბამისი მექანიზმებით. სკოლის დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის N2-20 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მოსწავლის მობილობისა და სტატუსის მართვის ძირითად სახელმძღვანელოს, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას. მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის საკითხები და აკადემიური წინსვლის შეფასების კრიტერიუმები გაწერილია 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 5 სექტემბრის N6 სხდომის ოქმით. საფეხურის დაძლევის პრაქტიკულ აღსრულებასა და კანონიერებას ადასტურებს აგრეთვე სკოლის დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N2-40 ბრძანება. ეს მექანიზმები საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც გამორიცხავს სუბიექტურ გადაწყვეტილებებს და იცავს თითოეული მოსწავლის უფლებას განათლების უწყვეტობაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა ზედმიწევნით იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის მართვის დადგენილ მექანიზმებს.სკოლაში ადმინისტრაციული პროცესები მიმდინარეობს დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის N2-20 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. აღნიშნული წესის პრაქტიკული გამოყენება უზრუნველყოფს, რომ მოსწავლის სტატუსის შეჩერება, აღდგენა ან შეწყვეტა განხორციელდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, რაც იცავს მოსწავლის ინტერესებს და გამორიცხავს პროცედურულ ხარვეზებს. სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და აკადემიური ვალიდურობის დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით (დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს N6 ოქმით, 05.09.2025). საფეხურის დაძლევის მექანიზმების დაცვა დასტურდება დირექტორის N2-40 ბრძანებით (23.06.2025), რომლის საფუძველზეც მოხდა მოსწავლეთა მომდევნო საფეხურზე გადაყვანა აკადემიური მიღწევების ობიექტური შეფასების შედეგად.მობილობის პროცესი სკოლაში წარიმართება გამჭვირვალედ, ელექტრონული ბაზის (eSchool) მეშვეობით, ვადებისა და პროცედურების სრული

დაცვით. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის პირადი საქმეების მოწესრიგებულ წარმოებასა და სტატუსის ცვლილების შესახებ მშობელთა დროულ ინფორმირებას, რაც ადასტურებს ჩარიცხვისა და მობილობის მექანიზმების ეფექტიან აღსრულებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში მომსახურების სახეების, პროგრამების, შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, რაც დასტურდება დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის N2-19 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ტრანზიციის გეგმით“. აღნიშნული გეგმა განსაზღვრავს ერთი საფეხურიდან მეორეზე (ან ერთი სკოლიდან მეორეში) გადასვლის სპეციფიკასა და იმ მხარდამჭერ პროგრამებს, რომლებსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახლადჩარიცხული მოსწავლეების ინტეგრაციას, რაც რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის N2-123 ბრძანებით — „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“. ეს დოკუმენტი საჯაროა და მშობლებს აწვდის ინფორმაციას იმ პროცედურებისა და სერვისების შესახებ, რაც მიზნად ისახავს ბავშვისთვის უსაფრთხო და მზრუნველი გარემოს შექმნას. ინფორმაცია სკოლის შიდა პოლიტიკის, მოსწავლის ეთიკისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფებზე, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში. ვინაიდან სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საგანმანათლებლო მომსახურება უფასოა, რაც ასევე მკაფიოდაა მითითებული სკოლის საინფორმაციო სივრცეებში. ყველა პროგრამისა და მექანიზმის შესახებ მშობელთა ინფორმირებულობა უზრუნველყოფილია სისტემატური კომუნიკაციითა და საჯარო შეხვედრებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია პროგრამების, სერვისებისა და აქტივობების შესახებ არის ობიექტური, განახლებული და ემსახურება

სასკოლო საზოგადოების ჯეროვან ინფორმირებას. სკოლის მიერ ინფორმაციის გავრცელების პროცესი ეფუძნება ბავშვის უფლებათა კოდექსისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპებს. სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული მასალები (სასწავლო პროგრამები, ადაპტაციისა და ტრანზიციის მექანიზმები - ბრძანებები N2-19; N2-123) არის გამჭვირვალე და ფორმულირებულია ისე, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია (ეთნიკური, რელიგიური, სოციალური თუ სხვა ნიშნით). სკოლის პერსონალი, ინფორმაციის გავრცელებისას (მშობელთა კრებები, საჯარო პოსტები), იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. გავრცელებული ინფორმაცია მუდმივად ახლდება, რაც დასტურდება იმით, რომ სკოლამ 2025-2026 სასწავლო წელს საზოგადოებას მიაწოდა განახლებული შინაგანაწესი და სასწავლო გეგმა (მშობელთა კრების ოქმი N1, 29.09.2025). ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სკოლის ფიზიკურ სივრცეში (განცხადებების დაფა, ბანერები, ფოიე, დერეფნები) უზრუნველყოფს იმას, რომ სკოლის სერვისების შესახებ მონაცემები თანაბრად მისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, რაც ხაზს უსვამს პროცესის არადისკრიმინაციულობასა და გამჭვირვალობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს სხდომა N6, 05.09.2025
2. სკოლის დირექტორის ბრძანება საფეხურის დაძლევაზე N2-40 23.06.2025
3. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-19, 29.01.2026 მოსწავლის ტრანზიციის გეგმის დამტკიცების შესახებ.
4. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-123, 16.12.2025 მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი
5. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-20, 29.01.2026 მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის აღდგენისა და შეჩერების წესი, სკოლის დირექტორის ბრძანება N2-94, 22.09.2025 შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება, სკოლის დირექტორის ბრძანება N2-21, 02.02.2026 რემედიაციის დებულების დამტკიცება
6. მშობლებთან დადებული ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სკოლამ შეიმუშავა მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლაში ჯანსაღი გარემოს შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, თუმცა განსაკუთრებული როლი მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებლებს აკისრიათ. მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში მათი ჩართულობით იქმნება მზრუნველი გარემო, რაც წინაპირობაა სკოლაში უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. სკოლა განსაკუთრებულად ემზადება პირველკლასელთა სკოლაში მიღებისათვის. სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში, სკოლის დირექცია დეტალურ ინფორმაციას აწვდის მშობელს ინკლუზიური განათლების მუშაობის პრინციპების შესახებ, აცნობს სპეც.მასწავლებლესა და სკოლაში არსებულ რესურს ოთახს. სხვა სკოლიდან მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში, დამრიგებელს აქვს განსაკურებული როლი, რომელიც ამზადებს მიმღებ კლასს მოსწავლის დასახვედრად; ასევე, შეისწავლის მოსწავლის ხასიათს და ინტერესებს, ეხმარება მას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში და სასკოლო თემთან ინტეგრაციაში სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. რომელიც მიზნად ისახავს ახლადჩარიცხული ან საფეხურიდან საფეხურზე გადასული მოსწავლეებისათვის სტრესის შემცირებასა და პოზიტიური სასწავლო კლიმატის შექმნას. პროცესი რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის N2-123 ბრძანებით დამტკიცებულ „გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმით“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლებსაც სკოლის პერსონალი (კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები, საჭიროების შემთხვევაში — ფსიქოლოგი/მანდატური) დგამს მოსწავლის სოციალიზაციისა და სასკოლო კულტურაში ინტეგრაციისთვის. ადაპტაციის მექანიზმი მოიცავს:

- საინფორმაციო შეხვედრებს მშობლებთან და მოსწავლეებთან სკოლის შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების გასაცნობად (რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმით N1, 29.09.2025);
- სკოლის ინფრასტრუქტურისა და რესურსების გაცნობის ტურებს;
- ინდივიდუალური მხარდაჭერის სისტემას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც განიცდიან სოციალურ ან აკადემიურ სირთულეებს ახალ გარემოში.

ამ მექანიზმის პრაქტიკული იმპლემენტაცია უზრუნველყოფს მოსწავლის ემოციურ სტაბილურობას, რაც პირდაპირ აისახება მათ აკადემიურ მოსწრებასა და სასკოლო ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან აქტიურად ახორციელებს მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს. ეს პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლისთვის უსაფრთხო, მიმღებლური და სტრესისგან თავისუფალი გარემოს შექმნას, რაც საფუძვლად უდევს მის შემდგომ აკადემიურ და სოციალურ წარმატებას. სასწავლო წლის დაწყებისთანავე სკოლა ხელმძღვანელობს დირექტორის 2025 წლის 16 დეკემბრის N2-123 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმით“. აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში, სწავლის პირველივე დღეებში ხდება მოსწავლეებისა და მშობლებისთვის სკოლის ფიზიკური გარემოს, რესურსების, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების გაცნობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირველკლასელთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციას. სკოლის პერსონალი და დამრიგებლები პირველივე დღიდან მუშაობენ მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. შექმნილია უსაფრთხო, კეთილმოწყობილი და მოსახერხებელი სასწავლო გარემო: , საფეხურების მიხედვით კლასებში განლაგებულია ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო მერხები; სკოლის ბუბლიოთეკა მდიდარია სახვადასხვა სახის როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურით; კეთილმოწყობილია სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, კეთილმოწყობილი და ადაპტირებულია სველი წერტილები ცალ-ცალკე გოგონების, ვაჟებისა და სკოლის პერსონალისათვის სქესის გათვალისწინებით. სკოლას ჰყავს სამი სსსმ მოსწავლე, მათთან მუშაობს სპეცმასწავლებელი, სპეცმასწავლებლის დამხმარე და პედაგოგები, ისგ-ით, კეთილმოწყობილი და აღჭურვილია სათანადო ტექნიკით, ავეჯითა და სასწავლო მასალებით რესურსოთახი. მიერთებული დაწყებითი კლასების სკოლიდან სასკოლო ავტობუსით ხდება მოსწავლეთა მოწვევები ძირითად სკოლაში, რათა მოხდეს მათი ადაპტაცია და იმ სერვისების ხელმისაწვდომობა რომელიც პატარებს თავიანთ მიერთებულ სკოლაში არ აქვთ (საკონფერენციო ოთახებში

ღონისძიებები,ისტ ლაბორატორიით და სპორტ დარბაზით სარგებლობა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა). სკოლისათვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის აზრი/ინიციატივა. მოსწავლეს/ მოსწავლეთა ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს კლასის დამრიგებელს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, სკოლის დირექციას. ინიციატივის განსახორციელებლად სკოლას შეუძლია გამოყოს ფინანსები, სხვადასხვა სახის რესურსი, სივრცე. სკოლში შექმნილია ყველანაირი პირობა იმისათვის, რომ სკოლაში მოსულმა ყველა მოსწავლემ თავი იგრძნოს დაცულად და კომფორტულად, იოლად შეეჩვიონ ახალ გარემოს, მასწავლებლებს, კლასელებს, არ გაუძნელდეთ სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის ეფექტიანი სისტემა. სკოლა უზრუნველყოფს ინდივიდუალურ კონსულტაციებსა და დამატებით დახმარებას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც აქვთ აკადემიური ჩამორჩენა ან საჭიროებენ სპეციფიკურ სასწავლო მიდგომებს.

ამ მხარდაჭერის ნათელი მაგალითია სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები. მაგ. გერმანიიდან (ემიგრაციიდან) დაბრუნებული მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრაციისთვის. ვინაიდან მოსწავლეს ესაჭიროებოდა აკადემიური მხარდაჭერა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობისა და ენობრივი ბარიერის დაძლევის მიზნით, სკოლამ გამოიყენა „მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი“ (ბრძანება N2-123) და „ტრანზიციის გეგმა“ (ბრძანება N2-19). მოსწავლისთვის შემუშავდა ინდივიდუალური კონსულტაციების განრიგი, ჩაერთო კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები, რათა დახმარებოდნენ მას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და სასკოლო გარემოსთან სრულფასოვან ადაპტაციაში. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებაზე და უზრუნველყოფს მათთვის სათანადო მხარდაჭერის გაწევას. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სისტემური კონსულტაციისა და მხარდაჭერის მიღებას მასწავლებლების, კლასის დამრიგებლისა და სკოლის დირექციის მხრიდან. აღნიშნული მხარდაჭერა ხორციელდება განმავითარებელი უკუკავშირის მეშვეობით, რომელიც მიმართულია მოსწავლის ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით სწავლის პროცესში არსებული სირთულეების იდენტიფიცირებასა და მათ ეტაპობრივ დაძლევაზე. სკოლა უზრუნველყოფს, რომ უკუკავშირი იყოს დროული, გასაგები და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.
ადმინისტრაციული მომსახურების გამართულობა ეყრდნობა „მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის მართვის წესს“ (ბრძანება N2-20, 29.01.2026). სკოლა ოპერატიულად გასცემს მოსწავლის სტატუსის შესახებ ცნობებს, პირად საქმეებს მობილობის დროს და სხვა კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას. ნებისმიერი ადმინისტრაციული მოთხოვნა სრულდება დადგენილ ვადებში, რაც გამორიცხავს მოსწავლის სასწავლო პროცესის შეფერხებას.
ამასთანავე, „განცხადების/საჩივრების წარდგენისა და განხილვის წესი“ (ბრძანება N2-130, 19.12.2025) ადგენს მკაფიო ვადებსა და პროცედურებს მოსწავლის უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული მიმართვების განსახილველად. სკოლის კანცელარია და ადმინისტრაციული გუნდი მუშაობს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით, რაც მშობლებისა და მოსწავლეებისთვის ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიღებას ხდის მარტივს და ხელმისაწვდომს. ადმინისტრაციული მხარდაჭერის ეფექტიანობა დასტურდება იმითაც, რომ მობილობით გადმოსული ან ემიგრაციიდან დაბრუნებული მოსწავლეების ჩარიცხვისა და აღრიცხვის პროცედურები სრულდება შეფერხების გარეშე, კანონით განსაზღვრულ უმოკლეს დროში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში შექმნილია მრავალფეროვანი გარემო მოსწავლეთა ინიციატივების მხარდასაჭერად და არაფორმალური განათლების წახალისებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს, რომ თითოეული აქტივობა იყოს მიზანმიმართული და მას უძღვებოდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი.
მოსწავლეთა ინტერესების რეალიზების მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები და წრეები, რომლებიც მოქმედებენ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებებისა და სამუშაო გეგმების საფუძველზე. აღსანიშნავია გერმანული ენის კლუბი „შპიგელი“, რომელსაც გააჩნია საკუთარი წესდება, დეტალური სამუშაო გეგმა და ჩატარებული მუშაობის რეფლექსია, რაც პროცესის ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებულობაზე მიუთითებს.
გარდა ამისა, სკოლაში აქტიურად მუშაობს ხელოვნების, ქართული ენისა და დაწყებითი საფეხურის კლუბები. ეს გაერთიანებები ხელს უწყობენ მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრებას. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივებს, რაც გამოიხატება მათთვის

ფიზიკური სივრცის დათმობით, საჭირო რესურსებით უზრუნველყოფითა და პედაგოგთა მხრიდან ფასილიტაციით. არაფორმალური აქტივობების შედეგები სისტემატურად ზიარდება სასკოლო საზოგადოებასთან, რაც კიდევ უფრო მეტ მოტივაციას უჩენს მოსწავლეებს ახალი პროექტების განსახორციელებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება ეფუძნება სისტემურ უკუკავშირს. სკოლა იყენებს სხვადასხვა მექანიზმს სასკოლო საზოგადოების წევრების მოსაზრებების შესასწავლად და მათზე რეაგირებისთვის. უკუკავშირის ერთ-ერთი მთავარი პლატფორმაა მოსწავლეთა თვითმმართველობა და მათი წარმომადგენლობა სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. მოსწავლეთა ინიციატივების საფუძველზე მოხდა სასკოლო კლუბების (მაგალითად, „შპიგელი“, „მზის სხივთა ფენა“) საქმიანობის სტრუქტურირება და მათი სამუშაო გეგმების მორგება მოსწავლეთა ინტერესებზე. მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლაში განხორციელდა შინაგანაწესის პერიოდული განახლება, რაც უზრუნველყოფს რეგულაციების შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან. ასევე, უკუკავშირის საფუძველზე დაიხვეწა „მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი“ (ბრძანება N2-123) და „ტრანზიციის გეგმა“ (ბრძანება N2-19), რათა ემიგრაციიდან დაბრუნებულ ან ახლადჩარიცხულ მოსწავლეებს მიეღოთ უფრო მიზნობრივი მხარდაჭერა. მშობელთა კრებებზე მიღებული წინადადებები აისახება სკოლის ყოველდღიურ საქმიანობასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-123 19.12.2025 მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ
3. სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-13119.12.2025მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები;

4. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო პროექტების ჩამონათვალი (დანართი N1)
5. სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N-6/ნ 22.09.2025
6. სასკოლო სასწავლო გეგმა; დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6, 05.09.2026
7. არაფორმალური აქტივოების ამსახველი დოკუმენტაცია
8. დირექტორის ბრძანება N 2-19, 29.01.2026 მოსწავლეთა ტრანზაქციის შესახებ (დებულების დამტკიცება).
9.სკოლის დირექტორის ბრძანება N2-08 , 26.0102026 ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ,
10.განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში.**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი მომსახურება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც მოსწავლეებს ეხმარება მომავალი პროფესიის გააზრებულ არჩევაში. აღნიშნული დასტურდება გაფორმებული მემორანდუმებით აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, რაც ითვალისწინებს ერთობლივ საგანმანათლებლო პროექტებსა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას აკადემიური პროგრამების შესახებ.
განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიული უნარების პრაქტიკულ განვითარებასა და შრომით აღზრდას. სკოლის ეზოში მოსწავლეთა უშუალო ჩართულობით გაშენებულია მოცვისა და ვარდის პლანტაციები, სადაც ბავშვები ეუფლებიან აგრო-ტექნოლოგიების საფუძვლებს. სკოლა გეგმავს პრაქტიკული სწავლების არეალის გაფართოებას და ვაზის გაშენებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სამეწარმეო უნარების განვითარებასა და რეგიონისთვის აქტუალური პროფესიების მიმართ ინტერესის გაღვივებას.
კარიერული დაგეგმვის პროცესში ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია და დამრიგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ინფორმირებულობას პროფესიული ტესტირებების, ღია კარის დღეებისა და შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ. ამგვარი კომპლექსური მიდგომა — აკადემიური პარტნიორობა და პრაქტიკული საქმიანობა — ქმნის მყარ საფუძველს მოსწავლეთა წარმატებული პროფესიული მომავლისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მუდმივ ინფორმირებულობას ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული და აკადემიური განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

სკოლა სისტემატურად აწვდის მოსწავლეებს განახლებულ ინფორმაციას უმაღლესი და პროფესიული განათლების სიახლეებზე. ამ მიმართულებით სკოლის მუშაობა ეფუძნება აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სუბტროპიკულ ინსტიტუტთან გაფორმებულ მემორანდუმებს, რომელთა ფარგლებშიც ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ღია კარის დღეები და ერთობლივი აქტივობები. ეს პარტნიორობა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აძლევს საშუალებას, მიიღონ სანდო ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, ჩარიცხვის პირობებისა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივების შესახებ.ეს ემსახურება მოსწავლეებში იმ უნარების განვითარებას, რომლებიც საჭიროა რეგიონალური ეკონომიკისთვის აქტუალური პროფესიების ასარჩევად.

ინფორმაციის მიწოდება ხდება როგორც ჯგუფური (მშობელთა კრებები, საათები), ისე ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. სკოლის საინფორმაციო დაფებზე, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში რეგულარულად იდება განახლებული მონაცემები ეროვნული გამოცდების, პროფესიული ტესტირებებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების მაღალ ინფორმირებულობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვა ეფუძნება გაწეული საქმიანობის ანალიზსა და შეფასების შედეგებს. სკოლა მუდმივად ახდენს არსებული პროგრამებისა და სერვისების რევიზიას სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე.

მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინების თვალსაჩინო მაგალითია სასკოლო კლუბების საქმიანობა. კლუბებში (მაგალითად, გერმანული ენის კლუბი „შპიგელი“) ჩატარებული მუშაობის რეფლექსია საშუალებას აძლევს სკოლას, შეაფასოს არაფორმალური განათლების ეფექტურობა და მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმოს უფრო მეტად მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული აქტივობები. სწორედ მსგავსი შეფასების საფუძველზე გადაწყდა კარიერული ორიენტაციის გაძლიერება და ვაზის გაშენების დაგეგმვა, რაც მოსწავლეთა მხრიდან პრაქტიკული საქმიანობისადმი გამოხატულმა ინტერესმა განაპირობა.

ასევე, „მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმისა“ (ბრძანება N2-123) და „ტრანზიციის გეგმის“ (ბრძანება N2-19) ეფექტურობის შეფასება ხდება მშობლებთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური გასაუბრებებისა და კრებების მეშვეობით. მიღებული ინფორმაცია აისახება სკოლის სამოქმედო გეგმაში, რაც უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის მუდმივ ზრდას. ადმინისტრაციული მხარდაჭერის პროცესის შეფასება კი ხდება სტატისტიკის ანალიზით, რაც ეხმარება სკოლას ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებასა და მომსახურების ოპერატიულობის გაუმჯობესებაში

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო პროექტების ნუსხა (დანართი N1)
2. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-0526.01.2026 - შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.
3. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალებით.
4. დამრიგებლის ანგარიშები პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N7, 29.12.2026

5.სკოლის შიდა მომიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმიები N 1 26.11.2024 N 2 17.04.2025

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში შემუშავებული და დანერგილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის ეფექტიანი მექანიზმი,

რომელიც სრულ შესაბამისობაშია „ინკლუზიური განათლების რეგულირების წესთან“.დაწესებულებას შემუშავებული აქვს სს სმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. სკოლაში ამჟამად სწავლობს 5 სსსმ მოსწავლე , რომელსაც ემსახურება ერთი სპეციალური მასწავლებელი და ორი სპეციალური მასწავლებლის დამხმარე, სკოლაში არის კეთილმოწყობილი რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, სკოლის ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები და შეტყობინების სისტემები. სკოლის სსსმ მოსწავლეები ჩართულია არიან სასკოლო ღონისძიებებში და სახადასხვა არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესებში, მათთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლას აქვს შექმნილი ისგ-ს შემუშავების ჯგუფები, ინკლუზიური განთლების სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, ისგ თითოეული მოსწავლისთვის; შემუშავებულია რესურს ოთახით სარგებლობის განრიგი. რესურს ოთახი მდებარეობს სკოლის პირველ სართულზე. რესურს ოთახი აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსებით, რომელთა შეძენა და დამზადება ხდება თითოეული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. რესურს ოთახში არსებული მრავალფეროვანი რესურსები გარდა სპეც. მასწავლებლისა, საგნის მასწავლებლებსაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დიფერენცირებული სწავლების განხორციელებაში. სპეც. პედაგოგებს საკუთარი ხელით აქვთ შექმნილი არაერთი განმავითარებელი რესურსი სსსმ მოსწავლეებისათვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით, პერიოდულად ხორციელდება ისგ გეგმების მონიტორინგი და მათი განხილვა. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერა ხორციელდება მულტიდისციპლინური მიდგომით. პროცესი მოიცავს მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებასა და მის პერიოდულ მონიტორინგს. სკოლის ადმინისტრაცია და ინკლუზიური განათლების გუნდი (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი) მუდმივ კომუნიკაციაშია მშობლებთან, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმებით, სადაც განიხილება მოსწავლეთა პროგრესი და საჭირო მხარდაჭერის ღონისძიებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ხორციელდება გუნდური თანამშრომლობის პრინციპით. სკოლა უზრუნველყოფს გარემოს, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი პასუხისმგებელია ინკლუზიური კულტურის განმტკიცებაზე.

თანამშრომლობის მთავარი მექანიზმია ისგ ჯგუფი, რომელიც აერთიანებს საგნის მასწავლებლებს, სპეციალურ მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და მშობელს. ჯგუფის მუშაობა ორიენტირებულია მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ პროგრესზე, რაც დასტურდება ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმებით. მშობელთა აქტიური ჩართულობა მხარდაჭერის პროცესში ასევე ასახულია მშობელთა კრების ოქმში N1 (29.09.2025), სადაც განიხილება ინკლუზიური განათლების პრინციპები და სკოლის შინაგანაწესი.

საჯარო სკოლა ინკლუზიური განათლების დანერგვისას ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ინდივიუალური საწავლო გეგმების შემუშავების ჯგუფებში ჩართულები არიან, როგორც სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნების მასწავლებლები, ასევე მშობლები. სკოლა იყენებს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების სისტემას . სპეც მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა სახის სასკოლო და საკლასო ღონისძიებებში, პროექტებში.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2025- 2026 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა; დამტკიცებული პედ.საბჭოს სხდომა N6,
05.09.2025, სკოლის დირექტორის ბძანება N 2-93 09.09.2025
2. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-90,08.09.2025 სკოლის ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის დამტკიცება
3. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-90, 08.09.2025- სკოლის ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის დამტკიცების შესახებ, სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა სხდომის ოქმი N-1 02.06. 2025 წ.
4. მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა;
5. სკოლის დირექტორის ბრძანება N2-24, 02.02.2026 ინტერვენციის წესის დამტკიცების შესახებ
6. შრომითი ხელშეკრულება სპეც მასწავლებელთან.
7. შრომითი ხელშეკრულება სპეციალური მასწავლებლის დამხმარესთან
8. დირექტორის ბრძანება N2-128, 18.12.2025 სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;

9. ინდივიდუალური გეგმები დამტკიცებული სკოლი პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6, 05.09.2026
10. დირექტორის ბრძანება N2-123, 16.12.2025 ადაპტაციის მექანიზმების შესახებ

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებები (კვება, ტრანსპორტირება, ქორეოგრაფიული წრე) ხორციელდება სრული სამართლებრივი საფუძვლით და შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების ნებართვების საფუძველზე.

1. კვების მომსახურება და იჯარა: სკოლის სასადილო ფუნქციონირებს კანონმდებლობის შესაბამისად. 88,53 კვ.მ ფართის იჯარით გაცემა შეთანხმებულია სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან (წერილი N13/59360, 31.10.2023) და მიღებულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა (წერილი N203347, 23.02.2024). აღნიშნული ადასტურებს, რომ კვების სერვისის მიწოდებისას დაცულია ქონების მართვისა და საქმიანობის განხორციელების ყველა სამართლებრივი ნორმა.
2. ტრანსპორტირების სერვისი: სკოლა უზრუნველყოფს 71 მოსწავლის ტრანსპორტირებას ორ ძირითად მარშრუტზე: (სოფელი წყალტუბო - გოგიაურების უბანი- სკოლა და სოფელი გაღმა ჩუნეში-სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა. სერვისის უსაფრთხოებასა და ხარისხს ადასტურებს სკოლის შიდა მონიტორინგის მექანიზმი, რაც რეგულირდება სათანადო ბრძანებით (პასუხისმგებელი პირი: ეკატერინე ქინქლაძე).
3. დამატებითი საგანმანათლებლო/კულტურული სერვისი: სკოლაში მოქმედებს ქორეოგრაფიული წრე, რომლისთვისაც 381.27 კვ.მ ფართის იჯარით გაცემა ასევე ნებადართულია მარეგულირებლის — სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (წერილი N13/11443, 29.02.2024) და სამინისტროს მიერ (წერილი N1356467, 12.10.2023).

ამრიგად, ყველა არასავალდებულო მომსახურება ეფუძნება ოფიციალურ ნებართვებს, რაც უზრუნველყოფს სერვისების მდგრადობასა და მოსწავლეთა ინტერესების დაცვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლამ ადგილზე წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 22.01.2024, რომელზეც განიხილა სკოლისათვის ცეკვისა და სპორტული(უფასო) წრეების ფუნქციონირებისათვის381.27 კვ.მ. ფართის -სპორტული დარბაზის სასწავლო დღის მეორე ნახევარში სამი წლით გაიჯარების შესახებ და სამეურვეო საბჭოს სხდომის N2, 15.08.2022წ. სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით 88,53 კვ.მ. ფართის გაიჯარების შესახებ. ორივე შემთხვევაში სამეურვეო საბჭომ გამოთქვა თანხმობა გაიცეს იჯარით შესაბამისი ფართები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში დამატებითი მომსახურებები ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების მკაცრი დაცვით, რაც ორიენტირებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესებზე. კერძოდ:

- კვების ობიექტის კონტროლი: სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის N2-38 ბრძანებით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი (შემადგენლობით: 3 მასწავლებელი, ექიმი და უფროსკლასელი მოსწავლე). ჯგუფი ყოველთვიურად ახორციელებს ინსპექტირებას, რაც დასტურდება სხდომის ოქმებით.
- რეგულაციებთან შესაბამისობა: მონიტორინგის პროცესი მოიცავს კვების ორგანიზების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, პროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის წესების შემოწმებას. პროცესი სრულად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 26 სექტემბრის N98/ნ ბრძანებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის ჯანსაღი და უსაფრთხო კვების გარემოს.

- ჩართულობა: მონიტორინგის ჯგუფში ექიმისა და მოსწავლის მონაწილეობა ხაზს უსვამს პროცესის გამჭვირვალობას და პროფესიულ მიდგომას ჯანმრთელობის დაცვის კუთხით.
- **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.სასკოლო ბუფეტის მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმები(N1)
- დირექტორის ბრძანება N2038, 13.02.2026(სასკოლო ბუფეტის მონიტორინგის ჯგუფის შექმნაზე)
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილები (N13/59360; N13/11443);
- სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის თანხმობის წერილები (N203347; N1356467);
- სკოლის დირექტორის ბრძანება ტრანსპორტირების მონიტორინგის შესახებ;
- საიჯარო ხელშეკრულებები
- სასკოლო ტრანსპორტის ტაბელები
- სკოლის დირექტორის ბრძანება N2-38 (13.02.2026) — კვების ობიექტის მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმები — სადაც ასახულია შემოწმების შედეგები (კვების ორგანიზება, ჰიგიენა, პროდუქციის შენახვა);
- რეალიზებული პროდუქციის ნუსხა — რომელიც ადასტურებს შესაბამისობას N98/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☐ შეესაბამება**

	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც დეტალურადაა გაწერილი როგორ ხდება სკოლაში კურიკულუმის შემუშავება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, მათი ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინება. სკოლაში კურიკულუმის შემუშავება და განვითარება ეფუძნება გამჭვირვალე და მონაწილეობით პრინციპებს, რაც რეგულირდება სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის N2-95 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით“. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების ასახვას სასწავლო პროცესში: მეთოდოლოგია ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და ინტერესების წინასწარ კვლევას, რაც საფუძვლად ედება კურიკულუმის დაგეგმვას. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, სასწავლო პროცესი გახადონ მოსწავლეზე ორიენტირებული. კურიკულუმის განვითარების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი საგნობრივი კათედრები. მეთოდოლოგია განსაზღვრავს მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას, სადაც ხდება შეხედულებებისა და პრიორიტეტების შეჯერება. დოკუმენტი იძლევა მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც სკოლა განსაზღვრავს საკუთარ პრიორიტეტებს (მაგალითად, გარემოსდაცვითი განათლება, ტექნოლოგიების ინტეგრირება ან კულტურული მემკვიდრეობა), რაც აისახება კიდეც სასკოლო სასწავლო გეგმაში. ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგია არ არის ფორმალური ხასიათის; იგი ითვალისწინებს კურიკულუმის პერიოდულ რევიზიას და მასში ცვლილებების შეტანას სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესის დაგემვაზე. კურიკულუმის შემუშავებისა და

განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის როლი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კურიკულუმის შემუშავების პროცესში პედაგოგები თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: რომელ თემებს ასწავლიან, რა საკითხებს დაამუშავებენ კონკრეტულ კლასში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, რომელ დავალებებზე ამუშავებენ მოსწავლეებს, რომელი რესურსებით იმუშავებენ, როგორ შეაფასებენ შედეგებს და ა.შ. სასკოლო კურიკულუმის მომზადებაში მონაწილეობს პედაგოგიური საბჭო და გადაწყვეტილებები მიიღება დირექციის ჩართულობითა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. პროცესები ეყრდნობა, როგორც მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისაგან მიღებულ უკუკავშირს. მეორე უცხოური ენისა თუ არჩევითი საგნების არჩევა სკოლაში ხდება მშობლებისა და მოსწავლეების გათვალისწინებით. სასკოლო პროექტების და კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა ხდება მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები, რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია პროცესები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელია ჩართული ისინი შეიმუშავებენ რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად; რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად; რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში; რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის; რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას. სკოლის სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის პროფესიული საზოგადოების აქტიური მონაწილეობითა და თანამშრომლობით. პროცესის ორგანიზება და განხორციელება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს გუნდურ მუშაობას და ჩართულობის პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ სკოლის მასწავლებლები, სკოლის დირექტორის მოადგილე და დირექტორი, მშობლებისა და მოსწავლეთა ჩართულობა ვლინდება მათი უკუკავშირის გათვალისწინების ფორმით. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლაში ჩატარდა კათედრების სხდომები, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებმა იმსჯელეს კურიკულუმის შინაარსზე, წინა წლის შედეგების გათავალისწინების გზებზე. კურიკულუმების პროექტის განხილვა ხდება როგორც სამეურვეო საბჭოს წევრებთან, ასევე პედაგოგიურ საბჭოზე. ინტერვიუების ფარგლებში აღნიშნულმა პირებმა დეტალურად აღწერეს კურიკულუმის შემუშავების ეტაპები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა სასკოლო სასწავლო გეგმა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის კურიკულუმს იზიარებს სასკოლო საზოგადოება. შემუშავების ეტაპზე სასკოლო საზოგადოების წევრთა თანამონაწილეობა იძლევა დოკუმენტის პროექტის გაზიარების საშუალებას. ასევე, პროექტის განხილვა ხდება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს წევრებთან. დამტკიცებული დოკუმენტის სახით. მიღებული საბოლოო პროდუქტი გაზიარებულია მშობლებთანაც სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით და მოსწავლეებთან - მასწავლებლებისა და დამრიგებლების მიერ. შეხვედრებზე ზიარდება სასკოლო სასწავლო გეგმის საორგანიზაციო ნაწილი, შესასწავლი საგნობრივი საკითხები, შეფასების სისტემა, სწავლების მეთოდები და ა.შ. ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლისთვის გაზიარება არ ნიშნავს მხოლოდ კურიკულუმის დამტკიცებაში ფორმალურ მონაწილეობასა და მის გასაჯაროებას – იგი განიხილება როგორც დინამიკური პროცესი, რომელიც ეფუძნება თანმიმდევრულ თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობის განაწილებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება N2-95 (22.09.2025) — „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დანართის სახით);
- კათედრების სხდომის ოქმები, სადაც ასახულია მეთოდოლოგიით გათვალისწინებული სამუშაო შეხვედრებისა და დისკუსიების შედეგები;
- კურიკულუმის რევიზიის/უკუკავშირის დოკუმენტები
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრის (უცხო ენების კათედრა N1, 02.09.2025, N2, 12.11.2025, N3, 29.12.2025,
- სხდომის ოქმი N1, 22.01.2026
- ქართული ენის, მათემატიკის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, უცხო ენის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, 2025-2026 სასწავლო
- წლის სამოქმედო გეგმა
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შემოქმედებითი დავალების ბარათები;
- შემოქმედებითი დავალებების მასალები - ვიზუალურად.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი) დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმიN6, 05.09.2025
- შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი)
- მოსწავლის დიაგნოსტირება (დანართი)
- სკოლის დირექტორის ბრძანება N2-21, 02.02.2026 რემედიაციის წესის დამტკიცების შესახებ

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამივე საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს ორიენტირებულია მოსწავლეზე. ყველა დოკუმენტი გამართულია შინაარსობრივად და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. კურიკულუმებში გაწერილია თემის შესაბამისი შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც მოსწავლეებში განავითარებს დაკვირვების, ვარაუდების გამოთქმის, კვლევის დაგეგვმა-ჩატარების და დასკვნების გამოტანის უნარებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შემუშავებისას სკოლა მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით აძლევს არჩევანის საშუალებას, ზოგჯერ სთავაზობს შემოქმედებითი დავალების რამდენიმე ვარიანტს. მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ კომპლექსური დავალების ფარგლებში მატერიალური სახით წარმოადგენენ თუ ელექტონული სახით პროდუქტს. სხვადასხვა კვლევითი აქტივობების დაგეგვმისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რაც თავის მხრივ საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს და მოსწავლეებში ზრდის სწავლის მოტივაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მასში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული აუცილებელი თემები. ორიენტირება ხდება

	გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. **რჩევა:** - სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს სკოლის სახელწოდება. - სასურველია, მე და საზოგადოების მე-4 კლასის კურიკულუმში თემა „განათლების“ სახელწოდება შეიცვლაოს როგორც „სად და როგორ ვიღებ განათლებას“, რათა იგი უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს. - სასურველია, მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში შეიცვალოს სავალდებულო თემების სახელწოდება, რათა უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს. - სასურველია, მე-12 კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმში შეიცვალოს სავალდებულო თემების სახელწოდება, რათა უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს. - სასურველია, მე-12 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმს დაემატოს სავალდებულო თემა - „გლობალური ეკონომიკა და საქართველო“, რათა უფრო ზუსტად ასახავდეს საგნობრივი სტანდარტის შინაარსს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილ უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. კომპლექსური ტიპის დავალებები განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მუსიკის საგანში სკოლამ წარმოადგინა I-IX და XI კლასების კურუკულუმები, ხოლო სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში - I-X კლასების კურიკულუმები. ორივე საგნის კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, სწავლება დაგეგმილია კონსტრუქტივიზმის პრინციპების შესაბამისად. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები, მათი წინარე ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება. კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების კრიტერიუმები. კურიკულემებში ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალებების სახით, რომლებიც წარმოადგენენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, უვითარებენ მას კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, შემოქმედებით და პრობლემების გადაწყვეტის უნარებს. შემუშავებული კურიკულუმები პასუხობს საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც უნდა გაიაროს მოსწავლემ გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. თემების ფარგლებში დასამუშავებელი ტექსტები, შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი და დამატებითი რესურსები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში გაწერილია საგნის სტანდარტით

	გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები. საკითხებით/საკითხთა კლასტერით დაფარულია ყველა სავალდებულო თემა. სამიზნე ცნებებთან მიმართებით, დაზუსტებულია შუალედური დავალებები და რესურსები. შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის და შესაძლებლობების შესაბამისად. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **რჩევა**: მე-11 კლასის კურიკულუმში დაემატოს თემები: კოსინუსების თეორემა, სინუსების თეორემა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები და პრაქტიკული საქმიანობის ანალიზი ადასტურებს, რომ პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული შემდეგი გარემოებების გამო: სწავლება ეფუძნება მოსწავლის წინარე ცოდნას. მაგალითად, I-II კლასებში პირობითი ნიშნების გაცნობა ხდება ყოველდღიური კონტექსტით (ამინდის სიმბოლოები, საგზაო ნიშნები), რაც საფუძველს უქმნის ალგორითმების გააზრებას და ვიზუალურ პროგრამირებას (მაგ. II კლასის კურიკულუმი, თემა „პირობითი ნიშნები“). თეორიული ცოდნის ტრანსფერი ხდება შემოქმედებით პროდუქტში. მაგალითად: IV კლასში „ჩემი პერსონალური გამოფენა OneDrive-ში“ მოსწავლეს ასწავლის ფაილების მართვასა და ღრუბლოვან სერვისებს. VI კლასში დავალება „წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე“ თეორიულ ცოდნას ციფრულ პრეზენტაციად

	(PowerPoint, Canva, Sway) აქცევს. მოსწავლე თავად ხდება შემოქმედი და აანალიზებს ციფრულ ეთიკას. კურიკულუმი სტრუქტურირებულია გრძელვადიან მიზნებზე — სამიზნე ცნებებზე: ალგორითმი, კომპიუტერული მოწყობილობა, ინტერნეტი და ციფრული წიგნიერება. ეს უზრუნველყოფს მოსწავლის უნარების სიღრმისეულ და თანმიმდევრულ განვითარებას. კურიკულუმი მოიცავს ფუნქციურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროებებზე, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის განსაზღვრულია ადაპტირებული მიზნები (მაგ: წიგნის ავტორის ამოცნობა და ნახატის წარდგენა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს მათ მიერ განხორციელებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა, თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით მოთხოვნილ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შემოქმედებით დავალებებში ნათლად

	ჩანს, რომ მოსწავლე აქტიურადაა ჩართული ყველა პრაქტიკული დავალებების შესრულებაში და გამოხატავს საკუთარ ვარაუდებს, მოსაზრებებს და დასკვნებს, რაც თავისთავად აძლევს მოსწავლეებს შეძენილი ცოდის გამოყენების შესაძლებლობას. კათედრის წევრებმა წარმოადგინეს კვლევის ანგარიშის, ექსპერიმენტის და ცდის განხორციელების ფორმები, ასევე დაწყებით საფეხურზე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს დაკვირვების დღიურები, რაც იძლევა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში მოსწავლეებში განავითაროს დაკვირვებისა და კვლევა-ძიების უნარი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები. კურიკულუმებში თემები, დავალებები, დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების მრავალფეროვანი იდეები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ კურიკულუმებზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე გეგმავენ განახორციელონ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებები ესგ-ს შესაბამისად, რაც გამოიწვევს კურიკულუმებში მცირე ცვლილებას. **რჩევა:** - სასურველია, კურიკულუმებში სამიზნე ცნებებთან ერთად შესაბამისი ქვეცნებებიც აისახოს. - სასურველია, საშუალო საფეხურის ისტორიის კურიკულუმებში სტანდარტით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო თემაში, დაემატოს სამიზნე ცნება - წყარო. - სასურველია, საშუალო საფეხურის საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში სტანდარტით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო თემაში, დაემატოს სამიზნე ცნება - წყარო.

	- სასურველია, მე-10 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში, თემა: გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები, აისახოს სამიზნე ცნებები: გეოგრაფიული გარსი; გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხოური ენების კურიკულუმებების ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. თემებში კლასების მიხედვით განსაზღვრულია სამიზნე ცნებების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შედეგები, რაც მოსწავლეებში აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს უწყობს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დავალებები და ეყრდნობა საგნობრივ სამიზნე ცნებებს, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კათედრა ცდილობს სასწავლო პროცესი ააგოს შემოქმედებით დავალებებზე. კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ ესთეტიკური აღზრდის საგანებში მოსწავლეები ასრულებენ მინიმუმ, ერთ შემოქმედებით დავალებას, ხშირ შემთხვევაში კი შემოქმედებითი დავალებები ყველა თემის დასრულების შემდეგ ხორციელდება. დეკლარატიული ცოდნის შემოწმება ხდება სადიაგნოსტიკო ტესტების საშუალებით, შედეგებზე დაყრდნობით კი ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება, როგორც ეს მოხდა მუსიკაში მე-5 კლასში, როდესაც თემაზე მუშაობა გადავადდა ორი კვირით, რათა მოსწავლეებს უკეთ გაეცნობიერებინათ მუსიკის გამომსახველი საშუალებების (ქვეცნებების) როლი მხატვრული სახის შექმნის პროცესში. კურიკულუმში საკითხები შერჩეულია მოსწავლეებისთვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოწავლეებმა უნდა შექმნან გრაფიკული ნახატი ბუნების

	მოვლენების გადმოსაცემად ან სასურველი ტექნიკის გამოყენებით შექმნან საახალწლო მისალოცი ბარათი (დაწყებითი საფეხური - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტების საშუალებით მუსიკალურად გააფორმონ ზღაპრის წინადადებები ან უხმოდ მოცემული მხატვრული ფილმის ფრაგმენტი (მუსიკა, დაწყებითი საფეხური); საბაზო საფეხურზე მოსწავლეებმა უნდა შექმნან სასურველი ფილმის, ანიმაციის ან თეატრალური წარმოდგენის პოსტერი, (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მე-7 კლასი), შემოთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტებით შექმნან კომპოზიცია, რომელშიც გადმოცემული იქნება მხატვრის მიერ ასახული გმირი/ანტიგმირის მუსიკალური დახასიათება (მუსიკა მე-9 კლასი); საშუალო საფეხურზე, მე-10 კლასში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მათ უნდა შექმნან პროექტი, რომელიც ადგილობრივი კულტურის კვლევას ეყრდნობა. მუსიკაში მე-11 კლასში მოსწავლეები იმსჯელებენ ქართულ და უცხოურ ანდეგრაუნდზე. ამრიგად, ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივოებები და შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით და კრიტიკული აზროვნებას, ანალიზისა და კომუნიკაციის უნარებს. პედაგოგების თქმით, შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებასა და ჩართულობას, რაც მოსწავლეებს საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევაში ეხმარებათ. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში დასამუშავებელი თემების ფარგლებში წარმოდგენილი ტექსტები, მათთან დაკავშირებული აქტივობები და შემოქმედებითი დავალებები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს , უზრუნველყოფს მიზნის შესაბამისი საკითხების

	სიღრმისეულად დამუშავებას და საგნობრივი ცნებების გაცნობიერებას, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმებში იკვეთება კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებთან და სამიზნე ცნებებთან. დაგეგმილი შემოქმედებითი ტიპის დავალების შინაარსი, მიზნობრივი აქტივობებისა და რესურსის შეთავაზება, მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. კურიკულუმებში თითქმის ყველა თემის გასწვრივ წაროდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალება, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ კურიკულუმებზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მომავალში გეგმავენ, განახორციელონ მხოლოდ შერჩეული შემოქმედებითი დავალებები, რაც გამოიწვევს კურიკულუმებში მცირე ცვლილებას. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	-მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისობა დასტურდება შემდეგი გარემოებებით: კურიკულუმი სტრუქტურირებულია სამიზნე ცნებებზე: ალგორითმი, კომპიუტერული მოწყობილობა, ინტერნეტი და ციფრული წიგნიერება. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის დამახსოვრებაზე, არამედ ამ ცნებების სიღრმისეულ გააზრებაზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის უნარების თანმიმდევრულ განვითარებას. სწავლება ეფუძნება მოსწავლის გამოცდილებას. მაგალითად, **I-II კლასებში** პირობითი ნიშნების გაცნობა ხდება ყოველდღიური კონტექსტით (ამინდის სიმბოლოები, საგზაო ნიშნები), რაც საფუძველს უქმნის ალგორითმების გააზრებას და ვიზუალურ პროგრამირებას (მტკიცებულება: II კლასის კურიკულუმი, თემა „პირობითი ნიშნები“). ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა — ცოდნის პრაქტიკული გამოყენება — რეალიზებულია შემოქმედებითი დავალებებით. **IV კლასში** დავალება „ჩემი პერსონალური გამოფენა OneDrive-ში“ მოსწავლეს ასწავლის ფაილების მართვასა და ღრუბლოვან სერვისებს. **VI კლასში** დავალება „წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე“ თეორიულ ცოდნას ციფრულ პრეზენტაციად (PowerPoint, Canva, Sway) აქცევს, სადაც მოსწავლე თავად ხდება შემოქმედი და აანალიზებს ციფრულ ეთიკას. კურიკულუმი მოიცავს ფუნქციურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროებებზე. სსსმ მოსწავლეებისათვის განსაზღვრულია ადაპტირებული მიზნები (მაგ: წიგნის ავტორის ამოცნობა და ნახატის წარდგენა), რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივს*კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდატებში წარმოდგენილი

	შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის სამივე საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში არის მითითებული გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგნის სტანდარტთან, თემასთან, საკითხთან, მოსწავლეთა ინტერესებთან, რაც ზრდის სწავლების მოტივაციას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების არ ქონის გამო ხშირად იყენებენ ვიტუალურ ლაბორატორიას, ელექტრონულ რესურსებს და სიმულაციურ თამაშებს. მწირი რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებლობების ფარგლებში ატარებენ მარტივ ექსპერიმენტებს და ცდებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების შერჩევას. კურიკულუმში წარმოდგენილი და კათედრაზე შეთანხმებული ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი

	სასწავლო რესურსებისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს. უცხოური ენების კათედრის წევრებს მიეცათ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ესთეტიკური მიმართულების საგნებში სწავლების პროცესში კათედრა იყენებს როგორც გრიფრებულ სახელმძღვანელოებს (გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელიც მოცემულია კათედრის ოქმის დანართი 1-ში, ემთხვევა კურიკულუმში მოცემულ სახელმძღვანელოებს), ასევე კათედრა მიმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსპერტების მიერ შემუშავებულ სასწავლო მასალებს, ტელესკოლის ჩანაწერებს და სხვადასხვა საგანმანათლებლო ვებგვერდს. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისთვის შერჩეული ძირითადი და დამხმარე რესურსები ერთმანეთთან შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების გათავისებას სხვადასხვა თემატურ კონტექსტში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ კათდრა ზრუნავს მოსწავლეთა არაფორმალურ განათლებასა და მათი თვალსაწიერის გაფართოებაზე. სწორედ ამ მიზნით მე-6 კლასში კათედრამ განახორციელა პროექტი „ქართული კინომუსიკა“, რომლის განხორციელებაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები მოსწავლეები. გარდა ამისა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგების მიერ განხორციელდა პროექტი „ვხატავთ სკოლის ინტერიერს“ (V-IX კლასები), რომლის მიზანიც, სკოლის ინტერიერის გალამაზების გარდა, მოსწავლეთა შემოქმედებითი სოციალური და გუნდური უნარების განვითარება, სკოლისადმი კუთვნილებისა დაპასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაც იყო. **რჩევა:** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ V-VI კლასების მუსიკის სახელმძღვანელოები ორი გამომცემლობის „წყაროსთვალისა“ და „კლიოს“ (ავტორები ნ. ქუმსიშვილი, რ. ჯულაყიძე, მ.

	ოთიაშვილი, ი. მიქაძე, ი. გაბუნია) ერთობლივ პროდუქტს წარმოადგენენ და სასურველია, რომ კურიკულუმებში ორივე გამომცემლობა მიუთითოთ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე შემოშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული რესურსებ შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. კურიკულუმებში ასევე წარმოდგენილია მრავალფეროვანი დამხმარე საგანმანათლებლო ციფრული რესურსები, რომლებიც ჩაშენებულია ლინკების სახით (Phet, Ck-12 სიმულაციები, desmos, geogebra-ს პლატფორმები, ტელესკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემიის, math.ge რესურსები, იუტუბის ვიდეო რესურსები) წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების შერჩევას. კურიკულუმში წარმოდგენილი და კათედრაზე შეთანხმებული ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების **ინდიკატორი 2.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სპორტი	მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით ,საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.3 დადასტურებულია**
ტექნოლოგიები	შერჩეული რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას მასწავლებლების მიერ გამოყენებულია როგორც მატერიალური, ისე მრავალფეროვანი ციფრული რესურსები. მაგალითად, **I-IV კლასებში** აქტიურად გამოიყენება „ვსწავლობთ თამაშით“, Paint და Paint 3D, რაც ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ხელს უწყობს კომპიუტერული მოწყობილობების ათვისებას და ვიზუალური პროგრამირების საწყისების გააზრებას. ზედა კლასების (V-VI) კურიკულუმებში ვხედავთ ისეთ რესურსებს, როგორიცაა **Code.org** (ალგორითმების შესასწავლად), **Scratch**, **PowerPoint** და **Canva** (პრეზენტაციებისა და ციფრული პროდუქტების შესაქმნელად). ეს პლატფორმები მოსწავლეს აძლევს საშუალებას, თეორიული ცოდნა დაუყოვნებლივ გარდაქმნას პრაქტიკულ პროდუქტად, როგორიცაა „ჩემი პერსონალური გამოფენა OneDrive-ში“ (IV კლასი) ან ანიმაციები Scratch-ში (VI კლასი). კურიკულუმებში მითითებულია სამინისტროს მიერ რეკომენდებული პორტალები (მაგ: school.emis.ge, ელექტრონული ბიბლიოთეკა), რაც უზრუნველყოფს შინაარსის შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. თითოეული დავალებისთვის (მაგ: „წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე“) წინასწარ არის განსაზღვრული შესაბამისი რესურსი (ვიდეო-გაკვეთილები, საინფორმაციო ბმულები, Sway პლატფორმა), რაც ეხმარება მოსწავლეს დამოუკიდებლად კვლევასა და დავალების შესრულებაში. რესურსების შერჩევისას დაცულია ბალანსი ტექნოლოგიურ და მატერიალურ საშუალებებს შორის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის, მათ შორის **სსსმ მოსწავლეების** ჩართულობას და ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ეფექტიან რეალიზებას.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ასახულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში. კერძოდ: მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექურად მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით, ასევე წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითავლისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	როგორც მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, სკოლას სამივე საფეხურზე გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. სწავლა-სწავლების პრინციპები ორიენტირებულია: სასწავლო გარემოს მოქნილობაზე; სწავლის პროცესზე; მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე; დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების როლი სწავლა-სწავლების პროცესში. როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ

	შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; დავალების ადაპტირებას სსსმ მოსწავლისათვის; ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების და სწავლის პოტენციალის გათვალისწინების აუცილებლობაზე. მასწავლებლები თითოეულ მოსწავლეს განიხილავენ, როგორც უნიკალურს თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, სწავლის სტილით მოტივაციითა და პირადი ინტერესებით (შეთავაზებულია როგორც ფოტო და ვიდეო რესურსები ასევე მოსასმენი სავარჯიშოები), ისგ ნიმუში.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სასწავლო პროცესი მოიაზრებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. შემოქმედებით ტიპის დავალებები იძლევა მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტელექტისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას. სსმ ბავშვებთან მუშაობისას ყოველთვის ხდება მათი უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ინლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებში მათ განსაკუთრებით ეხმარებათ სამინისტროს მიერ შემოთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, აკავშირებენ სწავლების პროცესს პირად გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობასა და სწავლის პროცესში ჩართულობას. სწავლების პროცესში მასწავლებელი მოსწავლეთა მზაობის დონის გათვალისწინებით სთავაზობს განსხვავებული სირთულისა და ფორმატის დავალებებს. დაბალი მზაობის მქონე მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია დავლებების გამარტივება, მხარდამჭერი რესურსები და დამატებითი ინსტრუქციები,

	მაღალი მზაობის მქონე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შეასრულონ უფრო მაღალ სააზროვნი უნარებზე გათვლილი შემოქმედებითი დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს, აქვთ რემედიაციის გამოცდილება. კურიკულუმი იძლევა მოდიფიცირების საშუალებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. გამოიყენება ადაპტირებული რესურსები და დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრინციპები. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; კათედრას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს დიფერენცირებული მიდგომების ამსახველი კონკრეტული დავალებები თემების მიხედვით. ასევე ,წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში .იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალი

	საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში აღწერილი ფიზიკური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სწავლების პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპს და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. დიფერენცირებული მიდგომების არსებობა დასტურდება შემდეგი გარემოებებით: კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები (მაგ: „პირობითი ნიშნები“, „ჩემი კომპიუტერი“) იძლევა მათი ადაპტირების საშუალებას. პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა სირთულის აქტივობებს, რათა სასწავლო პროცესში თანაბრად იყვნენ ჩართულები როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (**სსსმ**) მქონე მოსწავლეები. სწავლება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ფორმატით; გამოყენებულია ვიზუალური (ვიდეო-გაკვეთილები), აუდიო და კინესთეტიკური (მაკეტების შექმნა, ბარათებით მანიპულირება) მეთოდები. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მასალის ათვისებას სხვადასხვა ტიპის სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებისთვის. დიფერენცირებისთვის აქტიურად გამოიყენება ციფრული პლატფორმები (მაგ: „ვსწავლობთ თამაშით“, Minecraft, Scratch), სადაც მოსწავლეს შეუძლია საკუთარი ტემპით მუშაობა. მასწავლებლების მიერ დანერგილი მიდგომები უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა მოსწავლისთვის, რაც ამცირებს ბარიერებს სწავლის პროცესში და ზრდის თითოეული მოსწავლის მოტივაციას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად.

	რჩევა: სასურველია საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის დროს მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომები შემოქმედებით პროდუქტში აისახოს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს წარმოადგინეს კვლევის და ექსპერიმენტის შეფასების რუბრიკებიც. თუმცა გამოიკვეთა, რომ აღნიშნული რუბრიკები საჭიროებს უფრო მეტად დახვეწას და დაზუსტებას კონკრეტული თემებთან/საკითხთან მიმართებაში. **რჩევა:** სასურველია კონკრეტული აქტივობების ან დავალებების შესრულებისას მასწავლებლებმა შეიმუშაონ შესაბამისი რუბრიკები კონკრეტული მისაღწევი შედეგებით. ასევე, მივეცი რჩევა, რომ მოსწავლეებს წინასწარ გააცნონ შეფასების კრიტერიუმები, რაც აძლევს მათ საშუალებას ორიენტირებულნი იყვნენ სასწავლო მიზანზე და შედეგზე. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეებს იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი ეხმარება შეფასება. კათედრაზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. სამივე საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას

	რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. **რჩევა:** სასურველია, ყველა შეფასების რუბრიკა ეყრდნობოდეს ეროვნული სასწავლო გეგმაში მოცემულ სამიზნე ცნებებს **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>**
უცხოური ენები	სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, ამის დასადასტურებლად უცხოური ენების მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების სქემები. გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი დავალების შესრულების შემდგომ მოსწავლის თვითრეფლექსია მას საშუალებას აძლევს გაიაზროს რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარე. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრა ხელმძღვანელობს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომელთა მეშვეობითაც მოწმდება, თუ როგორ მოხდა მოსწავლეთა მიერ ცნებებისა და ქვეცნებების გათავისება სხვადასხვა თემატურ კონტექსტში. ესთეტიკური აღზრდის საგნებში განმავითარებელი შეფასება მოცემულია სამივე საფეხურისთვის. დოკუმენტაციაში კათედრამ, ნიმუშის სახით, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოადგინა სხვადასხვა საფეხურის მისაღწევი შედეგების ინდიკატორებზე და ცნებებზე დაყრდნობით შემუშავებული შეფასების სქემები და რამდენიმე შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკა. გარდა ამისა, დოკუმენტაციაში მოცემულია მუსიკის დიაგნოსტიკური წერის ნიმუშებიც, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. ესგ-ს შესაბამისად, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის მეშვეობით

	შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვა, მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი, მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებული შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოდის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები იყენებენ განმავითარებელ განმსაზღვრელ შეფასებას. სამივე საფეხურისთვის შედგენილია როგორც ზოგადი (სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის), ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალების რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს . <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>
მათემატიკა	სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკის ნიმუშები. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ. ასევე, განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. შემოქმედებითი ტიპის დავალებაზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ ასევე წარმოადგინა ზოგადი შეფასების რუბრიკები. (თვითშეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის) მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ და ერკვევიან შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. **რჩევა:** სასურველია, სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

	სასურველია, განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას პედაგოგებმა მეტად გამოიყენონ ესგ-ს მიხედვით სამიზნე ცნებები და შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგის, მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის ანალიზი ადასტურებს, რომ იგი სრულად პასუხობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სწავლის პროცესში პრიორიტეტი ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს აძლევს უკუკავშირს არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა იცის, არამედ იმის შესახებაც, თუ როგორ გააუმჯობესოს შედეგი. მასწავლებლის მიერ შემუშავებული რუბრიკები (მაგ: I, II, IV კლასების განმავითარებელი შეფასების სქემები) უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების სიღრმისეულ შეფასებას. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასა და კავშირების დამყარების უნარზე. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული დავალების ბარათებში (მაგ: VI კლასის შემოქმედებითი პროდუქტის ბარათი „წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე“). მოსწავლემ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე იცის, რა მოეთხოვება და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი ნამუშევარი. წარმოდგენილი მტკიცებულებები (მაგ: VI კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და 10-ქულიან სისტემაზე გადაყვანის სქემა) ადასტურებს შეფასების გამჭვირვალობას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია იმაზე, რომ მოსწავლემ გააცნობიეროს, რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების შესრულებისას.

	<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ანგარიში
- კათედრის ოქმი.
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
- ღონისძიებების, პრეზენტაციების. ინვენტარის ამსახველი ფოტოები.
- ურთიერთდასწრების შეფასების ფორმა.
- მოსწავლის შეფასების კრიტერიუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის.

- შემოქმედებითი დავალებები თანდართული შეფასების რუბრიკებით.
- მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც მოცემულია შემოქმედებითი დავალებებთან ერთად
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ბრძანება N2-27- ვერიფიკატორთა გუნდი
- დიაგნოსტირების ანგარიშის ფორმა: მე-7 კლასი - მოსწავლის ნაშრომის ანალიზი
- დანართი1- გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები

- კათედრაზე დამტკიცებული რესურსები

შეფასება

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება სკოლის კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმეტაციით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებითა და შექმნილი ნამუშევრებით, ასევე სკოლის ვებგვერდზე ატვირთულია მოსწავლეთა აქტივობების, ნამუშევრების ფოტო და ვიდეო მასალა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი, შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევს ინტერესს, რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემას, საგნობრივ საკითხებს და რესურსებს შორის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება უცხოური ენების კათედრაზე შემუშავებული უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმები, მეორე მხრივ მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოკვეთილი სწორი აქცენტები და სასწავლო პროცესის გააზრებული ხედვა.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სადაც მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. შუალედური მიზნების სახით კათედრას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი დავალებები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით, პროექტების გეგმები და შექმნილი პროდუქტები. კათედრამ ასევე შეიმუშავა სადიაგნოსტიკო წერები თავისი ანალიზებით, რაც იძლევა სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და თუ საჭირო გახდა, კურიკულუმების მოდიფიცირების საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს (ერთობლივი გადაწყვეტილებით) შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმებში აქტივობების, რესურსების, შემოქმედებითი დავალებების გამრავალფეროვნების ან ადაპტირების მიზნით . **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან: მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: მზის სისტემის პლანეტები, გეომეტრიული ფიგურები არქიტექტურაში, ორიგინალური ნახატი ფუნქციების გრაფიკების გამოყენებთ, სადეზინფექციო ხსნარების დამზადება, სამუხრუჭე მანძილის გაზომვა)

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი სტრუქტურირებულია კურიკულუმში მოცემული თემატური ჩარჩოს მიხედვით. თითოეული სამიზნე ცნების (მაგ: „ალგორითმი“, „ინფორმაცია“, „კომპიუტერული მოწყობილობები“) დამუშავება ხდება წინასწარ დაგეგმილი ეტაპების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას. სწავლება აგებულია კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც კურიკულუმის განუყოფელი ნაწილია. სასწავლო პროცესში ნათლად ჩანს კავშირი დაგეგმილ აქტივობებსა და მოსწავლის მიერ შესასრულებელ საბოლოო პროდუქტს შორის, რაც ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგალითად, IV კლასში დაგეგმილი დავალება „ჩემი პერსონალური გამოფენა OneDrive-ში“ ან VI კლასში „წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე“ სრულად მიჰყვება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კურიკულუმის სამუშაო ვერსიები, დავალების ბარათები, კათედრის ოქმი №1). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა გეგმავს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის ადაპტაციის და სოციალიზაციის დოკუმენტი ითვალისწინებს მოქნილ რეაგირებას სხვადასხვა სიტუაციაზე: საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა, ახალი მოსწავლის ინტეგრაცია, სადაც დამრიგებლისა და მასწავლებლის როლია გამოკვეთილი, რათა მოსწავლეებმა მარტივად და სტრესის გარეშე გადალახონ ცვლილებები. დოკუმენტი პასუხობს მოთხოვნას, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ის უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიდგომების, მრავალფეროვანი მხარდაჭერისა და დროული რეაგირების მექანიზმებს. აღწერილია ახალი მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები (ინფორმაციის მიწოდება, კლასში ინტეგრაცია, წარდგენა თანაკლასელებს, კომუნიკაცია მშობლებთან). ასევე გათვალისწინებულია უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლის დასახმარებელი წესები; სკოლის ხედვით კლასის დამრიგებელს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოსწავლის ემოციურ და სოციალურ ადაპტაციაში. ადაპტაციის მექანიზმები დეტალურადაა გაწერილი გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის საჭიროება (ახალი მოსწავლე, უცხოეთიდან დაბრუნებული, სსსმ მოსწავლე). ტრანზიციები ყველა საფეხურზე გაძლიერბულია (ბაღი-სკოლა-უნივერსიტეტი/პროფესიული). რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლესთან უზრუნველყოფს ცვლილებებზე დროულ რეაგირებას.

შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის სამივე საფეხურზე შეფასების სიტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. შეფასების სიტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმატებით იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასება შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია საგნობრივი შედეგების შესაბამისად. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. კათედრას შექმნილი აქვს მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შეფასების სისტემის ობიექტურობაში და გამჭირვალეობაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრამ სწავლების ყველა საფეხურისთვის წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეთათვის ცნობილია და გამოკრულია საკლასო ოთახებში, შეფასების სისტემის შესახებ ინფორმირებულნი არიან მშობლებიც. სკოლაში შექმნილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. კათედრის მიერ ნაჩვენები დოკუმენტების, სხდომის ოქმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგები კათედრაზე მოქმედებს

	ურთიერთდაკვირვების ინსტიტუტი, სკოლაში მოქმედებს მხარდაჭერისა და ხარისხის ჯგუფები, რომლებიც განსაზღვრავენ მასწავლებელთა საჭიროებას და გასცემენ უკუკავშირს. გარდა ამისა, მასწავლებლები სისტემატიურად მიმართავენ თვითშეფასებას. შემოქმედებითი დავალებების შეფასება ხდება ცნებებზე ორიენტირებული კრიტერიუმების საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ერთობლივად . შეფასების კრიტერიუმები უკავშირდება სტანდარტით გათვლალისწინებულ საგნობრივ სამიზნე ცნებებს , რაც უზრუნველყოფს მათ ვალიდურობას და სანდოობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან: მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: მზის სისტემის პლანეტები, გეომეტრიული ფიგურები არქიტექტურაში, ორიგინალური ნახატი ფუნქციების გრაფიკების გამოყენებთ, სადეზინფექციო ხსნარების დამზადება, სამუხრუჭე მანძილის გაზომვა) **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები,შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პირდაპირ კავშირშია სწავლის შედეგებთან. ფასდება არა მეორეხარისხოვანი ფაქტები, არამედ სამიზნე ცნებების გააზრების ხარისხი (მაგ: როგორ იყენებს მოსწავლე ალგორითმულ აზროვნებას Scratch-ში ან ინფორმაციის დახარისხების უნარს OneDrive-ში), რაც უზრუნველყოფს შეფასების შინაარსობრივ სიზუსტეს. შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებისთვის ცნობილია წინასწარ, დავალების მიცემის ეტაპზე. მასწავლებლები დავალების ბარათებში (მაგ: VI კლასის კომპლექსური დავალება „საავტორო უფლებები“) დეტალურად განმარტავენ მოლოდინებს, რაც გამორიცხავს გაურკვევლობას და ზრდის მოსწავლეთა ნდობას პროცესის მიმართ. თითოეული მოსწავლე ფასდება მისი ინდივიდუალური ნამუშევრისა და პროგრესის მიხედვით, თანაბარი პირობების დაცვით, რაც დასტურდება წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების სქემებით. პედაგოგების მიერ გაცემული განმავითარებელი კომენტარები არის პოზიტიური და ორიენტირებული მოსწავლის წახალისებაზე, რაც ქმნის უსაფრთხო და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შეფასები სისისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს შეფასების ხარისხის მართვისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ახორციელებს ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი

ითვალისწინებს: შერჩევის საკითხს, ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირს, განმახორციელებლებს, პროცედურას და თითოეული ეს საკითხი აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია ცალკე. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის ერთგვარ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავ სშეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს. სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება შეფასების სიზუსტეს, სანდოობასა და პროცესების გამჭვირვალობას. სკოლამ თითოეულ საგანში წარმოადგინა ვერიფიკატორის მიერ დაწერილი შემაჯამებელი დავალების შემოწმების შედეგები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში. ამასთან, შეფასებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების წარმოება, აღრიცხვა და შენახვა ხორციელდება სკოლის საქმისწარმოების წესის მიხედვით. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-27- ვერიფიკატორთა გუნდი
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი დავალებები თანდართული შეფასების რუბრიკებით.
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების მუსიკის კურიკულუმები;
- შეფასების ვერიფიკაციის დებულება;
- ვერიფიკაციის დებულების დამტკიცება;
- ს კათედრის ოქმები
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

- ჩატარებული კვლევის ანგარიში და მოსწავლეთა პრეზენტაციები.
- კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი
- მოსწავლეთა ნამუშევრები
-

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ გრიფირებული სახლემღვანელოს გარდა კათედრა იყენებს სხვადასხვა თვალსაჩინოებს: მულაჟებს, ტაბულებს, მიკროსკოპს. ასევე ელექტრონულ რესურსებს, ვიდეო ანიმაციებს და სიმულაციურ თამაშებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მწირი რესურსების მიუხედავად მაინც ახერხებენ მარტივი ექსპერიმენტების ჩატარებას ხელმისაწვდომი რესურსებით, რაც მოსწავლეებისთვის საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად სკოლა ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოებს, ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსებს. მათი გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების შესრულებას და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის წევრები სასწავლო პროცესს

	წარმართავენ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენებით. გარდა კურიკულუმებში მითითებულისა, გასაუბრებაზე მათ დაადასტურეს, რომ იყენებენ მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლებისას გამოიყენება როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე თემებთან/საკითხებთან კორელაციის მქონე დამხმარე რესურსები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სიღრმისეული, სახალისო, მრავალფეროვანი სწავლების დანერგვის მიზნით, კათედრისთვის მნიშვნელოვანია დამხმარე სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა და საგაკვეთილო პროცესში მათი აქტიური გამოყენება. დამხმარე რესურსები ემყარება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსპერტების მიერ შემუშავებულ სასწავლო მასალებს, ტელესკოლის ჩანაწერებს და სხვადასხვა საგანმანათლებლო ვებგვერდს. ძირითადი და დამხმარე რესურსები - თემებთან შესაბამისი სახელმძღვანელოს გვერდები და ინტერნეტ ბმულები კურიკულუმებში წარმოდგენილია თემების შესაბამის რესურსებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები დამატებითი საკითხავის და ციფრული რესურსების სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი და მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსების ბმულები, მათემატიკური სიმულაციების

	ციფრული პლატფორმები, რომლიც გამოყენებასაც გეგმავს მასწავლებელი სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ტექნოლოგიები	პედაგოგები სასწავლო პროცესში ეფექტურად იყენებენ სახელმწიფო საგანმანათლებლო პორტალებს (მაგ: school.emis.ge, buki.ge), რაც უზრუნველყოფს სწავლების შინაარსობრივ გამართულობას. პრაქტიკული უნარების განსავითარებლად და დავალებებზე მუშაობისას აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი პლატფორმები: დაბალ საფეხურზე (**I-IV კლასი**) — „ვსწავლობთ თამაშით“, Paint და Paint 3D, ხოლო ზედა საფეხურზე (**V-VI კლასი**) — Code.org, Scratch, PowerPoint, Canva და Sway. აღნიშნული რესურსები ეხმარება მოსწავლეებს აბსტრაქტული ცნებების (მაგ: ალგორითმი, ციკლი, ციფრული მოქალაქეობა) ვიზუალიზაციასა და პრაქტიკულ რეალიზებაში. მაგალითად, VI კლასში კომპლექსური დავალების „საავტორო უფლებები“ შესრულებისას მოსწავლეები იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ დამხმარე ციფრულ ინსტრუმენტებს (Sway/Canva). სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით

	(კომპიუტერები, პროექტორი, ინტერნეტი). გარდა ციფრული რესურსებისა, მასწავლებლები იყენებენ მატერიალურ დამხმარე საშუალებებსაც (ბარათები, მაკეტები, სქემები), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგო რც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავებას. **რჩევა**: სასურველია,ბუნებისმეტყველების კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული ელ.რესურსების ბმულები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც დასტურდება პედაგოგებთან გასაუბრებით. ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტიანობასა და საგნობრივი სტანდარტების დაცვას. სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის N1 ოქმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი) მიხედვით უცხოური ენების კათედრა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი საფეხურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ პირველივე სხდომაზე (ოქმი#1) მოხდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა. გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი მოცემულია როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე ესთეტიკის კათედრის ოქმი#1-ის დანართში. დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრის სხდომაზე ძირითადი რესურსის შერჩევასთან ერთად. კერძოდ, კათედრის მიერ 2025 წლის 2 სექტემბერს ჩატარებული კათედრის სხდომის ოქმიდან (ოქმი#1) ჩანს, რომ სხდომაზე გატანილ იქნა საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვისა და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის საკითხი (საკითხი2). სხდომაზე კათედრის თავმჯდომარის მიერ შეთავაზებულ იქნა დამხმარე რესურსების ვალიდაციის მექანიზმი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა პედაგოგის მიერ. კათედრის მიერ შერჩეული ვალიდაციის კრიტერიუმების შესაბამისად, კურიკულუმებში ლინკების სახით წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები უნდა იყოს შინაარსობრივად გამართული, შეესაბამებოდეს ასაკობრივ თავისებურებებს, იყოს სანდო და უსაფრთხო. სასწავლო რესურსის გამოყენების შემდეგ მასწავლებლებმა უნდა დაადგინონ: გამოიწვია თუ არა დამხმარე რესურსმა მოსწავლეთა ინტერესი, გაიზარდა თუ არა მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო რესურსის გამოყენების პროცესში, შეუწყო თუ არა

	სასწავლო რესურსმა შედეგების მიღწევას ხელი, რამ გაამართლა, რა იყო რთული, რას გააუმჯობესებენ და ა.შ. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კათედრა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრა. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის N1 ოქმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ტექნოლოგიები	პედაგოგებთან გასაუბრებითა და კურიკულუმის სამუშაო ვერსიების ანალიზით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ციფრული პლატფორმები (მაგ: Paint

	3D, Scratch, Code.org, Canva, Sway) წინასწარ არის შერჩეული მათი საიმედოობის, უსაფრთხოებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ ამ რესურსებს მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრის ფარგლებში (მაგ: კათედრის ოქმი №1), რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი ზუსტად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და თემებს. დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება მათი პრაქტიკული გამოცდის საფუძველზე, რაც აისახება კომპლექსური დავალებების ბარათებში (მაგ: VI კლასის დავალება „საავტორო უფლებები“). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული, შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმტყველო კათერაზე ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ არ ფუნქციონირებს ლაბორატორიები. თუმცა აღნიშნა, რომ სკოლას ყველა სართულზე აქვს ორი საკლასო ოთახი სველი წერტილით და დამხმარე სათავსოებით, სადაც შესაძლებელია განთავსდეს შესაბამისი საგნის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ლაბორატორიები. სკოლას აქვს ცენტრალური ვენტილაცია, თუმცა არ არის გამწოვი კარადა და მჟავატუტოვანი ზედაპირიანი დამხმარე მაგიდა ქიმიური ცდების ჩასატარებლად. სკოლას ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა გაწერილი შესაბამისობის გეგმაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შესახებ. რესურცენტრთან გაგზავნილი წერილებიდან ჩანს, რომ სკოლას ესაჭიროება ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორიები შესაბამისი აღჭურვილობებით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა ხარვეზი, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე არ არის ლაბორატორიები შესაბამისი აღჭურვილობით და ინვენტარით (ქიმიური ჭურჭელი და რეაქტივები) არ არის გამწოვი კარადა, მჟავატუტოვანი ზედაპირიანი მაგიდა ცდებისთვის. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში იკითხება რესურსცენტრთან კორესპონდეცია, რომელიც ცხადყოფს ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორიების შესაბამისი აღჭურვილობებით სკოლის უზრუნველყოფაზე თანხმობას, ამასთან სკოლა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებში ასახელებს, რომ „განხორიცელდა მიმართვა განათლების მეცნიერებისა და ახლაგაზრდობის სამინისტროსთან. ტენდერის ფარგლებში განხორციელდება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსების შესყიდვა.“ აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს შესრულების ვადები, ამიტომ სკოლას მიეცეს **რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი ლაბორატორიული გარემოს მოწყობა, რაც მოიცავს სივრცის აღჭურვას სათანადო ინვენტარით (მჟავატუტოვანი ზედაპირიანი მაგიდა, გამწოვი კარადა), ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.**

	ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტრანდარტის მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით: გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მატერიალური და ციფრული რესურსებით, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ეფექტურად განახორციელოს სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ფოტომასალისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, კერძოდ, პედაგოგებს საშუალება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერები და წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. გარდა ამისა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნეისთვის სკოლას გააჩნია შემდეგი დამატებითი ინვენტარი: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები, პლაკატები, სახატავი მასალა. მუსიკის საგნისთვის პედაგოგების განკარგულებაშია პიანინო, მუსიკალური მასალის დისკები, ქართული მუსიკალური საკრავების პლაკატები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს წვდომას დამატებით საგანმანათლებლო რესურსებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკური აღზრდის საგნებისათვის, რადგან აუდიო-ვიდეო აპარატურისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებასა და ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით, რაც ხელს უწყობს ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სკოლის ძირითად შენობაში გვხდება როგორც დახურული სპორტდარბაზი (თავისი გამოსაცვლელებითა და სველი წერტილებით) ასევე დაწესებულების ეზოში ღია სპორტული კეთილმოწყობილი მოედანი. ხოლო სკოლის დამატებით შენობაში (სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის დასახლებაში მდებარე შენობაში სკოლას არ აქვს დახურული მოედანი მაგრამ აქვთ სკოლის გვერდით (სკოლის ტერიტორიაზე) სივრცე სადაც ანხორციელებენ კურიკულუმით გათვალისწინებული თემებს. ასევე სკოლა აქტიურად მიმართავს პროექტულ სწავლებას ზამთრის და ცუდი ამინდის პერიოდში. ასევე აქვთ მაგიდის ჩოგბურთი, სადაც აქტიურად არიან მოსწავლეები ჩართულები. ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მოძრავ თამაშებში, აქტიურად ანხორციელებენ მეზობელ სკოლებთან სპორტულ აქტივობებში (ამხანაგურ შეეედრებს) სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე,

	რესურსები, პრეზენტაციები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია გამართული ტექნიკით, რაც საშუალებას იძლევა თითოეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად იმუშაოს ციფრულ დავალებებზე. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ ტექნიკური პარამეტრი (ოპერაციული სისტემა, მეხსიერება) სრულად პასუხობს იმ პროგრამების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმშია გაწერილი (მაგ: Scratch, Paint 3D, Office 365, Canva). კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა შეესაბამება სასწავლო სივრცის ფართობსა და ტექნიკურ რესურსს. მოსწავლეებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ მათ აქვთ თავისუფალი წვდომა ინტერნეტთან და ონლაინ პლატფორმებზე, რაც აუცილებელია ისეთი დავალებების შესასრულებლად, როგორიცაა „ჩემი პერსონალური გამოფენა OneDrive-ში“ ან მუშაობა Sway-ს ფორმატში. მატერიალური რესურსების ადეკვატურობა და მათი შესაბამისობა მოსწავლეთა რაოდენობასთან ქმნის მყარ საფუძველს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლს შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში კურიკულუმის განხორციელების პროცესის შეფასებისას, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ადამიანური რესურსის შესაბამისობა დასახულ მიზნებთან. პერსონალის პირადი

საქმეების შესწავლით დგინდება, რომ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მასწავლებელთა უმეტესობის კვალიფიკაცია და გამოცდილება სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. პირადი საქმეები წარმოგენილია სრულყოფილად, ხოლო შრომითი ურთიერთობები დარეგულირებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებებით. თუმცა, ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში კურიკულუმის დანერგვის ნაწილში გამოიკვეთა რომ დაწყებით საფეხურზე (1-6 კლასები) საგან „მუსიკას“ ასწავლიდა პირი, რომელსაც არ აქვს გავლილი შესაბამისი სერტიფიცირება, რაც არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს მასწავლებლის კვალიფიკაციის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სკოლის ადმინისტრაციას გაცნობიერებული ჰქონდა აღნიშნული საჭიროება — მიმდინარე წლის თებერვალში სკოლამ გამოაცხადა კონკურსი მუსიკის მასწავლებლის ვაკანსიაზე, თუმცა კონკურსი კანდიდატების არარსებობის გამო ჩაიშალა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად სკოლის მცდელობისა, მოცემულ ეტაპზე საგნობრივი კურიკულუმის განხორციელება მუსიკის ნაწილში არ იყო სრულად უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით, ამიტომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ სასურველია, სკოლას პერიოდულად გამოაცხადებინა კონკურსი 1-6 კლასის მუსიკის მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის შერჩევამდე. მანამდე კი, მიზანშეწონილი იქნებოდა შიდა მონიტორინგის გზით კონტროლის გაძლიერება აღნიშნულ საგანში კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლის მტკიცებულებებში იკითხება დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფს მუსიკის მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადებას, ჩატარებას და კადრის დანიშვნას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგან „მე და საზოგადოების“ III და IV კლასების კურიკულუმები; საგან „ჩვენი საქართველოს“ V და VI კლასების კურიკულუმები; საგან „ისტორიის“ VII, VIII, IX, X, XI და XII კლასების კურიკულუმები; საგან „საქართველოს ისტორიის“ X, XI და XII კლასების კურიკულუმები; საგან „გეოგრაფიის“ VII, VIII, IX, X, XI და XII კლასების კურიკულუმები; საგან „მოქალაქეობის“ VII, VIII, IX, X, XI და XII კლასების კურიკულუმები; საგან „პროექტი სამოქალაქო განათლებაში“ X, XI და XII კლასების კურიკულუმები
- შემოქმედებითი დავალებები თანდართული შეფასების რუბრიკებით.

- მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც მოცემულია შემოქმედებითი დავალებებთან ერთად
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ბრძანება N2-27- ვერიფიკატორთა გუნდი
- დიაგნოსტირების ანგარიშის ფორმა: მე-7 კლასი, საგანი მოქალაქეობა - მოსწავლის ნაშრომის ანალიზი
- დანართი1- გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები
- კათედრაზე დამტკიცებული რესურსები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა: „ჩვენი საქართველო“ მე-5 კლასი
- დიფერნეცირებული შემოქმედებითი დავალების ნიმუში: „ჩვენი საქართველო“ მე-5 კლასი
- ოქმი #1 საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია პროცესები, კერძოდ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და გადანაწილებულია ფუნქცია მოვალეობები. სკოლა აქვს მზაობა სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია პროცესები. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში აგროვებენ მონაცემებს, სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ მათ ანალიზს გამოკვეთენ პრობლემას და მოახდენენ მის გადასაჭრელად კონკრეტული აქტივობების დაგეგმვას. შესაბამისად კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზის და საშუალების გამოვლენას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განიხილება, როგორც განვითარების მხარდამჭერი ინსტრუმენტი. სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საქმიანობის პროცესშიც ხორციელდება საგაკვეთილო დაკვირვებები ხარისხის ჯგუფის წევრებისგან და დირექციისგან მასწავლებლები იღებენ განმავითარებელ რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. დაკვირვებების გზით გამოვლენილ მიგნებებს სკოლა იყენებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესათვის. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ეხმარება მათ განხორციელებული პროცესის ეფექტიანობის დადგენასა და შედეგების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინტერვენციების განსაზღვრაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დირექტორის ბრძანება N-2-95,22.09.2025
2 საგნობრივი კურიკულუმები
3 სასკოლო სასწავლო გეგმა
4 დიაგნოსტირების შედეგი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო საჯარო სკოლამ ხარისხის მართვის დოკუმენტში დეტალურად გაწერა სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასების პროცესები. სკოლაში შექმნილია შიდა საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფი, რომის მიზანია სწავლა სწავლებისა და მართვის პროცესების შეფასება დ გაუმჯობესება. დოკუმენტში გაწერილია შიგა და გარე მექანიზმები, რომლის მიხედვით სკოლა განახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დებულებაში გაწერილია, რომ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველი არის კომპლექსური ანალიზი. კერძოდ- შეფასება ეფუძნება როგორც რეფლექსიურ პროცესს, ასევე სტატისტიკურ მონაცემებს (შესწავლილი საფეხურების შედეგები, საგნობრივი მიღწევები, მასწავლებლის დაკვირვება). ეს მიუთითებს მრავალი წყაროს გამოყენებაზე, ხოლო ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება“ კი ასახავს ასევე, მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებას. მაგალითად, ესე, პრეზენტაცია, პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, და სხვ. გამოყენებულია როგორც საგნობრივი დავალებები, ასევე კრიტერიუმები: ობიექტურობა, ვალიდურობა, სანდოობა. დოკუმენტში აშკარად ჩანს მრავალწყაროიან შეფასებაზე ორიენტაცია – აქცენტი არის არა ერთ მეთოდზე, არამედ კომბინირებულ ინსტრუმენტებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის 2025–2026 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა შეფასებას განიხილავს არა მხოლოდ როგორც ქულების დადგენის მექანიზმს, არამედ როგორც სწავლა–სწავლების ხარისხის მართვისთვის აუცილებელ სისტემას. დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით კერძოდ, მოსწავლის აკადემიური შედეგების პარალელურად გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტები, სასკოლო პროგრამა, სასწავლო გარემო, ხელმისაწვდომი რესურსები და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროება. სკოლა იყენებს

მრავალფეროვან ფორმებს – ესეს, პროექტს, ლაბორატორიულ კვლევას, პრეზენტაციას, დისკუსიასა და სხვა აქტივობებს, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა ინტერესებისა და უნარების მქონე მოსწავლეებს წარმოჩინონ საკუთარი მიღწევები. ამასთან, გათვალისწინებულია გაცდენილი დავალებების ალტერნატიული შესრულების შესაძლებლობა, რაც პროცესში მოქნილობას ზრდის. დოკუმენტი ასევე აღიარებს ისეთ კონტექსტებს, როგორიცაა მოსწავლისა და მისი გარემოს ინკლუზიურობა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა და ადაპტაციის შესაძლებლობა. ეს მიუთითებს, რომ შეფასების სისტემა არ არის ერთგვაროვანი, არამედ ცდილობს მოერგოს სხვადასხვა საჭიროებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის მასწავლებლები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავენ მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით. . სკოლის თვითშეფასებიდან და დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. ასევე საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს ის შუალედური პროდუქტები, რომელიც იძლევა მრავალფეროვანი შეფასების საშუალებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლაში შეფასების პროცესი ეფუძნება მულტიფაქტორულ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები ყურადღებას უთმობენ არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებსაც. პედაგოგების პრაქტიკა, რომლებიც მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ კომპლექსურ, მრავალმხრივ ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგები ადგენენ მოსწავლის დიფერენცირებულ პროფილს, რაც გულისხმობს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებასა და ამ უნარებზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს მაქსიმალურად ინდივიდუალიზებული და ასახავდეს მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და განვითარების დონის სრულ სურათს. გარდა ამისა, მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ როგორც დროით, ისე სივრცით პარამეტრებს, ეს ნიშნავს, რომ თითოეული შედეგი განიხილება იმ მრავალფეროვანი ფაქტორების კონტექსტში, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს მოსწავლის აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე. შესაბამისად, შეფასების პროცესი ხდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და პოტენციალის სრულფასოვან გამოვლენას. მოცემული მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის შეფასების სიზუსტესა და სანდოობას, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და აკადემიური პროგრესის სრულფასოვან ანალიზს

და ქმნის საფუძველს მიზანმიმართული პედაგოგიური ინტერვენციებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი და მასწავლებელებს აქვთ საშუალება ზემოაღნიშნული პროცესები წარმართონ ნაკლები რისკებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების ინსტრუმენტები;
2. შემოქმედებითი დავალების ანალიზი
3. შემაჯამებებლი დავალების ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“ მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მხარდაჭერას. დოკუმენტი სტრუქტურულად გამართულია, რადგან მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, კონკრეტულ აქტივობებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ინდიკატორებს. ეს ფორმატი თავისთავად ქმნის იმ „საჭიროებათა პაკეტის“ საფუძველს, რომელიც სკოლას საშუალებას აძლევს სისტემატურად გააანალიზოს არსებული გამოწვევები და დაგეგმოს მიზანმიმართული ინტერვენციები კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. მაგალითად, გეგმაში აშკარად იკვეთება კურიკულუმზე ორიენტაცია, რადგან გაწერილია ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისკენ. აქტივობები მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ და სოციალურ მიმართულებებს, რაც კომპლექსურ მიდგომაზე მიუთითებს. ასევე, დოკუმენტი ითვალისწინებს დამატებითი რესურსების გამოყენებას სუსტი მხარეების გასაძლიერებლად, რაც მხარდაჭერის პაკეტის პრინციპს ეფუძნება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გარკვეულწილად ასახავს სკოლის მზაობას, წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით შეადგინოს ახალ სასწავლო წლის შესაბამისი საქმიანობები. დოკუმენტში მოცემული აქტივობები და მათი განხორციელების ვადები ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ სკოლა შეძლოს წინსვლისა და გამოწვევების გაანალიზება. გათვალისწინებულია მონიტორინგის მექანიზმი: აქტივობებს ახლავს ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და განმახორციელებელი სტრუქტურები. ეს უქმნის წინაპირობას, რომ დაგეგმილი სამუშაოები შეფასდეს და მიღებული გამოცდილება გამოყენებულ იქნას შემდგომი კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკაში. მასწავლებელებთან და სკოლის დირექციასთან ინტერვიუდან გამოიკვეთა , რომ სასწავლო წელი ემყარება წინა სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებსა და გამოწვევებს. საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო და სხვა სტრუქტურული ერთეულები სისტემატურად აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს, აიდენტიფიცირებენ როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს და ამ ანალიზის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს კურიკულუმის განახლების ან ცვლილებების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დიაგნოსტირების ამსახველი დოკუმენტაცია

2.სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული პედაგოგიური სხდომის ოქმი N6 05.09.2025

3.სასწავლო პროცესის შეფასების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების დოკუმენტაცია:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 14.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნათია ოზბეთელაშვილი_____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლია ჯალაღონია_____

ინგა ალავერდაშვილი_____

გოგი ლატარია _____

ნონა ბეროშვილი_____

თამარ თავშავაძე_____

ანგელინა ეფრემიძე_____

მაკა ინაშვილი_____

ხათუნა გერგაია_____

ალექსანდრე ლაცაბიძე_____

ლანა კუჭავა_____